პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 64, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 12 ივლისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 160 (2203)

## დღიური

- საბჭოთა მფრინავმა ჩუხნოვსკიმ აღმოაჩინა მალგრემის ჯგუფი.
- განხეთქილება გერმანიის ნაციონალისტურ პარტიაში.
- ტერორი საბერძნეთში.—გაფიცვების დროს მოკლულია 15, დაჭრილია 180 მუშა.
- ამჟამად ჩინეთის წყლებშია იაპონიის 55 სამხედრო გემი.
- დაპატიმრებანი სოფიაში.
- გრიგალი პოლონეთში.—მოკლულია 62 კაცი.
- მოსკოვში ჩამოვიდა იაპონელთა ექსკურსიის მეორე ჯგუფი.

## პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა

პოლონეთ-ლიტვის ეხლანდელ ურთიერთობასთან დაკავშირებით ცენტრის ორგანო „გერმანია“ ამას წინედ წერდა: თოფის წამლის საწყობი აღმოსავლეთ ევროპაში კვლავ პირამდე გატენილია. მდგომარეობის სწორი დახასიათებაა. ბურჟუაზიული გაზეთიც კი იძულებულია აღიაროს ის სერიოზული საფრთხე, რომელსაც მშვიდობიანობისათვის წარმოადგენს პოლონეთ - ლიტვის დაუსრულებელი დავა.

ხსენებულ ქვეყნებ შორის უკანასკნელად კოვნოში გამართულ მოლაპარაკების სრული უნაყოფობა, რის შესახებ დეპეშებმა გვაუწყეს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ მხრივ. მოლაპარაკების მთავარი საგანი იყო ურთიერთი თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გამომუშავება. პოლონეთმა წარადგინა ხელშეკრულების ისეთი პროექტი, რომელიც ფარულად ვილნოს ოლქს პოლონეთის ტერიტორიის ნაწილად აღიარებს, ლიტვამ კი საპასუხოდ წამოაყენა კონტრპროექტი, რომელიც უარყოფს პოლონეთის ამ თვალსაზრისს. ამგვარად ვილნოს საკითხის გამო, რომელიც პოლონეთ - ლიტვის დავის ძირითად მიზეზს შეადგენს, ეხლაც შეუძლებელი გახდა მათი შეთანხმება.

რა იქნება ამის შემდეგ? როგორც ვიცით, პოლონეთის იმპერიალისტურ ზრახვებს ლიტვის მიმართ აშკარად უჭერენ მხარს საფრანგეთის და ინგლისის მთავრობები. წინედაც არ ყოფილა ეს საიდუმლო, ხოლო ერთა ლიგის საბჭოს ივნისის სესიაზე მათი ასეთი პოზიცია ყველასათვის უფრო ნათელი შეიქნა. ჩემბერლენი პირდაპირ მუქარით გამოვიდა ლიტვის წინააღმდეგ, რომელიც თითქო მშვიდობიანობას ემუქრებოდეს და პოლონეთთან ომისათვის ემზადებოდეს. ჩემბერლენს ამ საკითხში ზურგი გაუმაგრა „სოციალისტმა“ ბონკურმა, რომელიც საფრანგეთის იმპერიალიზმის წარმომადგენელია ერთა ლიგაში. სესიის წინ კი ბრიანმა შეაქო ვარშავის მთავრობის „მშვიდობისმოყვარეობა“ და მოითხოვა ლიტვის მესვეურთა „მოჭკვიანება“, ე. ი. ლიტვის დამონება პოლონეთისადმი.

თუმცა ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე შეიქმნა იმპერიალისტების მთლიანი ფრონტი პოლონეთის სასარგებლოდ და ლიტვის წინააღმდეგ, მაგრამ მაშინ ვერ მოხერხდა ლიტვის მიმართ ძალადობის უშუალოდ განხორციელება. ამას, ჯერ ერთი, ხელი შეუშალა ფორმალურმა მიზეზმა: ერთა ლიგის წესდების თანახმად, საჭირო იყო დადგენილების ერთსულოვნად გამოტანა, მაგრამ ვოლდემარასმა გაილაშქრა იმ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა პოლონეთ-ლიტვას შორის ურთიერთი შეთანხმების მიღწევას სამი თვის განმავლობაში. ცხადია, ეს „შეთანხმება“ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს ესმოდათ, როგორც ლიტვის სრული კაპიტულიაცია პოლონეთის წინაშე. შემდეგ: ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ მომწიფებული რომ ლიტვისათვის ერთა ლიგას, ე. ი. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს თავისი ნებისყოფა მოეხვიათ თავზე: ამისათვის საჭირო გახდებოდა ომი ლიტვის წინააღმდეგ, თუ უკანასკნელი „ნებაყოფლობით“ არ დასთანხმდებოდა პოლონეთის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე; საამისოდ პოლონეთი, ალბად, მზად არ იყო. გარდა ამისა, ამ ომის წარმოება ჰგულისხმობდა წინასწარ პოლიტიკურ შეთანხმებას ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის, რაც არ იყო მიღწეული.

ამგვარად, ვიმეორებთ, ძალადობის განხორციელება გადიდებულ იქნა. პოლონეთ - ლიტვის დამოკიდებულების საკითხი გადატანილია ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე. იგივე გაზ. „გერმანია“ აღნიშნავს: „არსებობს რწმენა, რომ სექტემბერში ვილნოს საკითხი ჟენევაში გადაჭრილი იქნება ძალმომრეობითი გზით. რაც შეეხება კომპრომისის შესაძლებლობას, თუ მივიღებთ საქმეთა ეხლანდელ მსვლელობას, ის სრულებით მოუხერხებელია. საფრანგეთი და ინგლისი, როგორც ეტყობა, მივიდენ დასკვნამდე, რომ ვილნოს კონფლიქტი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ უსუსტესი მხარის ხარჯზე“. ყველა ნიშანი იმაზე მეტყველებს, რომ ერთა ლიგა, როგორც ეს ყოველთვის ხდება, ასე მოიქცევა, თუ მანამდი არ მოხდა რაიმე ისეთი ამბები, რომლებიც ხელს შეუშლიან იმპერიალისტებს ამ განზრახვის გატარებაში. პოლონეთის სამხედრო სამინისტროს ორგანო „პოლსკა ზბროინა“ ამბობდა: „ძალადობა, რომლის მიზანია ორ სახელმწიფოს შერიგება და საბოლოო შეთანხმება, ალბად, არავის არ შეაშინებს“-ო. როგორც ვხედავთ, ლაპარაკია შეიარაღებული ძალით ლიტვის დამორჩილებაზე. მეორე პოლონური გაზეთი („კურიერ პორანნი“) მიუთითებს სხვა გამოსავალზე: თუ ვილნო - ლიტვის დედა - ქალაქს წარმოადგენს (გავიხსენოთ, რომ ლიტვის მთავრობამ კონსტიტუციაში შეიტანა მუხლი, რომლის თანახმად ვილნო ლიტვის დედა - ქალაქადაა გამოცხადებული. **რედ.**) იქ შეიძლება შეიქნას ლიტვის მთავრობა, რომელიც იპოვის საშუალებას თავისი ძალაუფლება მთელ ლიტვაზე გაავრცელოსო. მაშასადამე, საქმე ეხება ლიტვის ემიგრანტების დახმარებით პოლონეთის მიერ ლიტვის დაპყრობას.

ასეა თუ ისე, ლიტვის დამოუკიდებლობას პირდაპირი საშიშროება მოელის პოლონეთის და ერთა ლიგის მხრით. რატომ უჭერენ ასე მხარს ერთა ლიგა და მასში გაბატონებული იმპერიალისტური მთავრობები პოლონელ მილიტარისტების მტაცებლობას? მთავარი აქ ის არის, რომ იმპერიალისტები ამ გზით ცდილობენ ანტი-საბჭოთა მთლიანი ფრონტის შექმნას. ამ მხრივ, სხვათა შორის, საგულისხმოა ვარშავაში ლინდსეის (ინგლისის ყოფ. ელჩი ბერლინში, ეხლა ჩემბერლენის ამხანაგი) ჩასვლა ვარშავაში. როგორც „გერმანია“ გადმოგვცემს, ლინდსეის წინადადება მიუცია პილსუდსკისათვის: ინგლისი აქტიურად დაუჭერს მხარს პოლონეთს ლიტვის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ პოლონეთი ანტი-საბჭოთა ბლოკში ჩაებმებაო. ამნაირად, ყველაფერი ნათელია.

ეს ცდა ძველია. მაგრამ დღემდე იგი მარცხით მთავრდებოდა. კერძოდ პოლონეთის იმპერიალისტები ვერ ბედავდენ ლიტვის გადაყლაპვას იმ მტკიცე სამშვიდობო პოზიციის გამო, რომელიც საბჭოთა მთავრობას უკავია პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის საკითხში. ცნობილია, რომ შარშან პოლონეთის გალაშქრება ლიტვის წინააღმდეგ შეუძლებელი გახადა ჩვენი მთავრობის ენერგიულმა გამოსვლამ. „პოლსკა ზბროინა“ ამაოდ ლამობს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას ამ მხრივ ჩრდილი მიაყენოს, როცა ამბობს, რომ თითქო საბჭოთა კავშირი რაც არ უნდა დაჯდეს ცდილობს ხელი შეუშალოს პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის მოწესრიგებას. საბჭოთა მთავრობა გულწრფელი მოსურნეა ამ ურთიერთობის მოწესრიგების და ამ მიმართულებით მას არა ერთი ნაბიჯი გადაუდგამს როგორც ვარშავაში, ისე კოვნოში. მაგრამ პოლონეთ-ლიტვის შეთანხმება, რა თქმა უნდა, ჩვენ ისე არ გვესმის, როგორც პოლონელ იმპერიალისტებს. ეს შეთანხმება უნდა იყოს ნამდვილად ნებაყოფლობითი და უნდა ემყარებოდეს ლიტვის სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის ცნობას. პოლონელ იმპერიალისტებისათვის კი ლიტვასთან „შეთანხმება“ ნიშნავს უკანასკნელის დამონებას. ამის წინააღმდეგ კი საბჭოთა კავშირი, ცხადია, ილაშქრებს და შემდეგაც გაილაშქრებს, მიტომ რომ ის მტკიცედ დგას ხალხთა უფლებების და მშვიდობიანობის სადარაჯოზე.

ამ მშვიდობიანობის და ლიტვის დამოუკიდებელ არსებობას, როგორც ვსთქვით, საფრთხეს უმზადებენ პოლონეთი და მის ზურგს უკან მდგომი იმპერიალისტები. მსოფლიო მუშათა კლასმა და ყველა, მშვიდობიანობის დაცვით დაინტერესებულ ელემენტებმა ამ გარემოებას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და აქედან შესაფერი პრაქტიკული დასკვნები გამოიყვანონ.

## მიწის მოწყობის ახალი ფორმებისათვის*)

მე - 15 პარტყრილობამ მორიგ ამოცანად წამოაყენა სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქცია. მართლაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ დღევანდელი ჩვენი წვრილი და ისიც რამოდენიმე მიწის ნაჭრად დაქუცმაცებული გლეხის მეურნეობა გარდავქმნათ, სათანადო მიწისმოწყობის გარეშე, იმ გვარად, რომ ის გახდეს მომგებიანი? რასაკვირველია არა. ისმება. ამიტომ საკითხიც, როგორ ფორმებში უნდა იწარმოოს ამ მიწის მოწყობამ. დღემდე დახარჯული ფული და ენერგია დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ამ მუშაობით სოფლად ჩვენ არ შეგვიტანია ახალი რამ: დაგვრჩა მიწების იგივე ნაჭრები, რომლებიც ნორმის ფარგლებში მოსარგებლეს მივეცით სათანადო საბუთით და მეტი არაფერი. რა არის აქ ახალი? რასაკვირველია ასეთი მიწის მოწყობით ვერ მოვუმზადებთ ნიადაგს სოფლის მეურნეობის გარდაქმნას. ამიტომ არსებულ მიწის მოწყობის წესზე ხელი უნდა ავიღოთ.

ზოგი ამბობს: მიწის მოწყობა მარტო კოლექტიურ მეურნეობებში უნდა ჩატარდეს, ხელი არ ვახლოთ ინდივიდუალურსო. ეს ნიშნავს ინდივიდუალურ მეურნეობის უარყოფას და მის იძულებით გადასვლას კოლმეურნეობაზე. ეს კი ეწინააღმდეგება ყრილობის დადგენილებას, რომლის თანახმად ეს გადასვლა უნდა მოხდეს მშრომელი გლეხობის ნებაყოფლობით.

ამნაირად იმის თქმა, რომ მიწის მოწყობამ უნდა იწარმოოს მარტოდ მარტო კოლმეურნეობებშიო, შეუძლებელია. როგორც მიმდინარე, ისე მომავალ მიწის მოწყობა სოფლად უნდა ტარდებოდეს კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობათათვის. საქართველოს მიწის კოდექსში (მუხლი 138) ვკითხულობთ; „სოფლის მიწადმოწყობას მიზნად აქვს შექმნას მიწად სარგებლობისათვის ისეთი პირობები, რომ სოფელს გაუადვილდეს ეკონომიური და კულტურული განვითარება“-ო. ამ მუხლს ჩვენ უნდა დავუმატოთ, მომავალში ინდივიდუალური მიწადმოწყობა ისეთი წესით ტარდებოდეს, რომ სოფელს ადვილად შეეძლოს კოლმეურნეობაზე გადასვლა. ასეთი ფორმა იქნებოდა მიწის მოწყობის დროს მთელი დაქუცმაცებულ მეურნეობის ერთ ნაჭრად გაერთიანება. დღევანდლამდე ჩვენი მიწად-მოწყობა ამ ღერძულებას გვერდს უვლის და ამიტომმა ის უვარგისი მომავალი ახალი სოფლისათვის. ჩვენი მიწის კოდექსი მრავალ მიწის ნაჭრების იძულებით ერთ ნაჭრად გაერთიანების შესახებ არაფერს ამბობს. 147 მუხლში სწერია მხოლოდ: „მიწის მზომელს კატეგორიულად მოეთხოვება, მიწების დაქუცმაცების თავიდან ასაცილებლად, იხმაროს ყოველგვარი ღონისძიება, რათა ხვედრი მიწა ამა თუ იმ პირს მიეცეს ერთ ნაჭრად. რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ნაკვეთების გაცვლა-გამოცვლა“.

ეს მუხლი ისეთი გამოდგა, რომ ვერც ერთი მიწის მზომელი საქართველოში ვერ მიმითითებს ყოფ. მრავალ ნაჭრებიან მამულების ერთ ნაჭრად გაერთიანებაზე. და ეს არ არის მიწის მზომელის ბრალი. ეს არის კოდექსის ნაკლი. ამიტომ საჭიროა, რომ მიწის მრავალნაჭრიანობის ერთ ნაჭრად გაერთიანება იქნეს სავალდებულო.

როგორც ზევით აღვნიშნე დღემდე არსებული მიწის კოდექსის 147 მუხლით მიწის მრავალნაჭრიანობის მოსპობას სრულებით ვერ მივაღწიეთ. მიწის მზომელმა „მოიხადა“ კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობა იმით, რომ ის ყოველთვის გლეხს აგონებს მიწის მრავალ ნაჭრიანობის ერთ ნაჭრად გაერთიანების მიზანშეწონილობაზე და სარგებლიანობაზე. ამით თავდება საქმე, ფაქტიურად მდგომარეობა ძველი რჩება. ასეთი მიწის მოწყობით ჩვენ სოფლად ახალი არაფერი შეგვიტანია. ეს კი ყოვლად მიუღებელია. მიწის მოწყობით ჩვენ ინდივიდუალურ მეურნეს უნდა გაუადვილოთ კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა. ეს მოხდება მაშინ, როდესაც სახნავ - სათეს მიწების გაბნეულ ნაჭრებს გავაერთიანებთ გაცვლა - გამოცვლის გზით. უამისოდ ვერ შევსძლებთ კოლმეურნეობაზე გადასვლას და კოლმეურნეობაზე გადაუსვლელად ხომ ზედმეტია ლაპარაკი ჩვენი გლეხური მეურნეობის დაწინაურებაზე, მის მომგებიან მეურნეობად გადაქცევაზე.

თანამედროვე წვრილ გლეხურ მეურნეობას საუკეთესოდ ახასიათებს ამხ. სტალინი თავის მოხსენებაში მოსკოვის აქტივის კრებაზე. იმ ამბობს: „რა არის წვრილი გლეხური მეურნეობა? ეს არის ყველაზე ნაკლებ უზრუნველყოფილი, ყველაზე უფრო პრიმიტიული, ყველაზე უფრო განუვითარებელი, ყველაზე ნაკლებ საქონლიანი მეურნეობა. მთელი საქმე კი ამაშია, ამხანაგებო! განაყოფიერება, მანქანები, აგრონომიული ცოდნა და სხვა გაუმჯობესებანი—ეს ისეთი რამეებია, რომლებიც წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას მსხვილ მეურნეობებში, მაგრამ რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას წვრილ გლეხურ მეურნეობებში“.

მთელი ჩვენი მუშაობა სოფლად უნდა იქნეს მიმართული კოლმეურნეობაზე გადასვლის გასაადვილებლად. მიწის კოდექსის 147 მუხლში უნდა იქნეს შეტანილი ცვლილება იმ აზრით, რომ მიწის მზომელს კატეგორიულად ევალება ამა თუ იმ მიწის მუშას მისცეს ხვედრი მიწა ერთ ნაჭრად, რისთვისაც ფართოდ იქნეს გამოყენებული ნაკვეთების გაცვლა - გამოცვლა სამაზრო საადგილ - მამულო განყოფილების კონტროლის ქვეშ.

**ი. ჟვანია.**

---

*) დისკუსიის წესით.

# პოლონეთის ნოტა ლიტვის მთავრობას

## იტალია თანახმაა გადასინჯოს იტალია-ჩინეთის ხელშეკრულებები

## კომუნისტური მოძრაობის გაცხოველება ხუნანში.--უთანხმოება მუკდენელთა ბანაკში

## გაზ. „დეილი ჰერალდი“ განწირულად თვლის პილსუდსკის დიქტატურას

## პოლონეთის ნოტა ლიტვას

**ბერლინი,** 10 ივლისი. პოლონეთის რწმუნებულმა ლიტვის ელჩს გადასცა ნოტა, რომელშიაც **პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ ლიტვის პროექტი პოლონეთთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ ეწინააღმდეგება ერთა ლიგის საბჭოს დეკემბრის რეზოლიუციას.** პოლონეთის მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ ლიტვა გადასინჯავს საკითხს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში პოლონეთი იძულებული გახდება აცნობოს ერთა ლიგას, რომ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. ნოტაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ **კენიგსბერგის კონფერენციაზე, რომელიც უნდა შესდგეს ერთა ლიგის საბჭოს შემოდგომის სესიამდე, ივლისში ან აგვისტოში, ლიტვას უკანასკნელად ექნება საშუალება გადასინჯოს თავისი შეხედულებები და ამით თავიდან აიშოროს პოლონეთის მიმართვა ერთა ლიგისადმი.**

ნოტის ასლი გადაეცა გერმანიის მთავრობას. (ადს).

### უნაყოფო მოლაპარაკების კომენტარიები

**კოვნო,** 10 ივლისი. ოფიციოზი „ლეტუვოს აიდას“ კომენტარიებს უკეთებს პოლონეთთან უნაყოფო მოლაპარაკებას და სწერს:

**თავისი უახლოესი დიდი მეზობელი სახელმწიფოების საბჭოთა კავშირისა და გერმანიის, აგრეთვე დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოს რჩევის თანახმად, ლიტვა დასთანხმდა, რომ პოლონეთთან დავა მშვიდობიანობის გზით მოეწესრიგებია.** მაგრამ, პოლონეთის მთავრობამ უარჰყო ლიტვის პროექტი და არ მოისურვა მისი მიღება თუნდაც შემდგომი მოლაპარაკების საფუძვლად. ეს კიდევ ცოტაა: პოლონეთის პრესაში გაისმა მუქარა, რომ პილსუდსკი აპირებს პოლონეთის მოკავშირე რუმინეთში გამგზავრებას რუმინეთის შტაბის მოღვაწეებთან მოლაპარაკების გასამართავად. ყოველივე ეს არ ეთანხმება პოლონეთის მშვიდობიან განცხადებებს და ერთა ლიგის საბჭოს დეკემბრის რეზოლიუციას. (ადს).

## გერმანიის რეიხსტაგში

### მემარცხენე სოციალ-დემოკრატ დეპუტატების საბოტაჟი

**ბერლინი,** 10 ივლისი. იმ რეზოლიუციის კენჭის ყრის დროს, რომელიც იწონებდა მიულერის დეკლარაციას, სხდომაზე არ იყო ბევრი მემარცხენე სოციალ-დემოკრატი, რომელთა შორის ნაწილი სულ არ გამოცხადდა რეიხსტაგში, ხოლო ნაწილმა სხდომის დარბაზი დასტოვა თვით კენჭის ყრის წინ. (ადს).

### ვეიმარის კონსტიტუციის მიღების დღის უქმედ გამოცხადების საკითხი გადაეცა კომისიას

**ბერლინი,** 10 ივლისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ზევერინგმა რეიხსტაგში წინადადება შეიტანა, რომ 11 აგვისტო გამოცხადებულ იქნას ნაციონალურ დღესასწაულად, ვინაიდან ამ დღეს გამოცხადდა ვეიმარის კონსტიტუცია. ზევერინგმა აღნიშნა, რომ ვეიმარის კონსტიტუციამ დიდი როლი ითამაშა გერმანიაში წესრიგის აღდგენის საქმეში.

ზევერინგს რამოდენიმეჯერ გააწყვეტინეს სიტყვა კომუნისტებმა მკაცრი პროტესტით. კამათში გამოირკვა, რომ არც ერთი ბურჟუაზიული პარტია მთლიანად არ უჭერს მხარს იმას, რომ კონსტიტუციის დღე ნაციონალურ დღესასწაულად გამოცხადდეს. სხვათა შორის, ნაციონალისტების ორატორმა მონარქიის მომხრედ გამოაცხადა თავი და განაცხადა, რომ სასურველია ნაციონალური დღესასწაული გადატანილ იქნას 18 იანვრისათვის, ე. ი. გერმანიის იმპერიის დაარსების (1871 წ.) დღისთვის. კომფრაქციის ორატორი დიტრიხი აღნიშნავდა ვეიმარის კონსტიტუციის კლასობრივ ხასიათს. მან განაცხადა, რომ ვეიმარის კონსტიტუცია წარმოადგენს რევოლიუციონური მოძრაობის დევნის იარაღს. მან წინადადება შეიტანა, რომ ნაციონალურ დღესასწაულად გამოცხადდეს 1 მაისი. მთავრობის პარტიების 214 ხმით 136-ის წინააღმდეგ, გადაწყვეტილ იქნა, რომ საკითხი გადაეცეს კომისიას. (ადს).

## ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობა

### კომენტარიები ნახას ფაშას გადადგომის შესახებ

**ლონდონი,** 10 ივლისი. „სენდეი უორკერ“-ის სპეციალური კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს ნახას-ფაშის გადადგომას და აცხადებს, რომ აქ ადგილი ჰქონდა არა შემთხვევას, არამედ მოფიქრებულად მოწყობილ კამპანიას.

კორესპონდენტის სიტყვით, ნახას-ფაშის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიის ორგანიზატორი იყო ეგვიპტის და ტრანსიორდანიის უმაღლესი კომისარი ლორდ ლოიდი, რომელიც ცდილობს ინდოეთის მეფის ნაცვალის თანამდებობის მიღებას. ლოიდს იმედი აქვს, რომ ამ მიზანს მიაღწევს მას შემდეგ, რაც დაამტკიცა, რომ შეუძლია ინგლისის მთავრობის პოლიტიკის მტკიცედ გატარება.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ნახას-ფაშის წინააღმდეგ მიმართული კამპანია მიზნად ისახავდა ნაციონალური მოძრაობის ჩაშლას ეგვიპტეში და ეგვიპტის ხალხისთვის იმის დამტკიცებას, რომ „დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ვერავინ გაბედავს წასვლას“.

„ლოიდის გეგმა მდგომარეობს იმაში,— სწერს გაზეთი, — რომ დაუმტკიცოს ეგვიპტის ხალხს, თუ რამდენად უსარგებლოა წინააღმდეგობა მის მხრივ; ეგვიპტის ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ პარტიები, პარლამენტები და კონსტიტუციები არარაობაა, თუ მიმართული იქნება ინგლისის უმაღლესი კომისარის სურვილსა და ძლიერების წინააღმდეგ, კომისარის, რომლის განკარგულებაში ჯარი და სამხედრო კრეისერებია. ალექსანდრიაში კრეისერები გაიგზავნენ იმისათვის, რომ აიძულონ პარლამენტი ხელი აიღოს ინგლისის მთავრობისათვის მიუღებელი კანონების გატარებაზე. მეფემ გადააყენა ნახას - ფაშა, რომელიც ეყრდნობოდა პარლამენტის საგრძნობ უმრავლესობას. ნამდვილად კი ეგვიპტეში ყველასათვის აშკარაა, რომ ის გადააყენა არა მეფემ, არამედ ლოიდმა. ეგვიპტელებს ეხლა არ შეუძლიათ ინგლისელებს წინააღმდეგობა გაუწიონ. ეგვიპტე იძულებულია დასთანხმდეს იმ პირობებს, რომლებიც მას თავზე მოახვია ჩემბერლენმა, მაგრამ თუ ეს არის მხოლოდ ქედის მოხრა უფრო ძლიერის წინაშე, თუ მისწრაფება აჯანყებისაკენ არ არის გამქრალი, თუ თანხმობა იძულებითია, მაშინ უნდა ითქვას, რომ ჩემბერლენი და ლორდ ლოიდი დამარცხდენ. ინგლისს უნდა ეგვიპტეში დაეყრდნოს ხიშტებს, ხოლო ხიშტები, როგორც ოდესღაც სთქვა ტალეირანმა, „ისეთი რამეა, რომელზედაც ჯდომა სასიამოვნო არ არის“.

### ინტერვიუ მოხამედ-ფაშა მახმუდთან

**ლონდონი,** 10 ივლისი. ეგვიპტის ახალმა პრემიერმა მოხამედ-ფაშა მახმუდმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ, მისი აზრით, არსებულ მდგომარეობაში შეუძლებელია ინგლისთან მოლაპარაკების განახლება. ის ამჟამად არასასურველადაც სთვლის მოლაპარაკების განახლებას (ადს).

## განხეთქილება გერმანიის ნაციონალისტურ პარტიაში

**ბერლინი,** 10 ივლისი. ნაციონალისტების დეპუტატის ლამბახის გამოსვლამ, რომელმაც საჯაროდ მოითხოვა, რომ გერმანიის ნაციონალისტურმა პარტიამ უარი სთქვას ახალგაზრდობის აღზრდაზე მონარქიზმის პრინციპების მიხედვით, ძალიან გაამწვავა შინაგანი წინააღმდეგობანი გერმანიის ნაციონალისტურ პარტიაში. ნაციონალისტური პარტიის დეპუტატების ჯგუფმა გუგენბერგის მეთაურობით მოითხოვა ლამბახის დაუყოვნებლივ გამორიცხვა პარტიიდან, ხოლო პარტიის გამგეობამ, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტიის თავმჯდომარე ვესტარპი, გადასწყვიტა—ლამბახის საქმე ჩვეულებრივი წესით გადასცეს პარტიულ სასამართლოს.

გუგენბერგმა პარტიის გამგეობას აცნობა, რომ მან, ნაციონალისტების სხვა 12 დეპუტატთან ერთად, მოაწყო ფრაქცია „პანგერმანული გაერთიანება“. ამ ჯგუფის დეპუტატები ჯერ-ჯერობით ნაციონალისტურ პარტიაში რჩებიან. (ადს).

### გუგენბერგის საგაზეთო კონცერნის საიდუმლოებანი

**ბერლინი,** 10 ივლისი. „როტე ფანე“ აქვეყნებს საბუთებს, რომლებიდანაც ნათლად სჩანს, თუ არ პირობებში დაარსდა გუგენბერგის საგაზეთო კონცერნი, რომელიც წარმოადგენს ნაციონალისტური პროპაგანდის აპარატს. ამ საბუთებიდან სჩანს, რომ რამდენიმე პირი „გუგენბერგისათვის მოკვდა „მართ თავის დროზე“ მეტად საეჭვო პირობებში. თავისი ნათესავების უეცრად და მოულოდნელად სიკვდილის შედეგად გუგენბერგი გახდა წარმოების სრული ბატონპატრონი. ეს იყო პირველი ნაბიჯი.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ მაშინდელი მთავრობა. რომელიც უკანონოდ აძლევდა გუგენბერგს მრავალ მილიონიან სუბსიდიებს, დაინტერესებული იყო იმით, რომ არ გახმაურებულიყო, თუ რა პირობებში და როგორ მოკვდენ გუგენბერგის ნათესავები.

გაზეთი ამტკიცებს, რომ სოციალ-დემოკრატ მიულერის ეხლანდელი მთავრობა ვერ გაბედავს ამ საიდუმლოებას ფარდა ახადოს, ვინაიდან გუგენბერგს ზურგს უჭერენ დასავლეთ გერმანიის მძიმე მრეწველობის მაგნატები. (ადს).

## მუკდენი და ნანკინი

### მუკდენი და ნანკინი

**პეკინი,** 10 ივლისი. პოლიტიკური წრეების აზრით, უკანასკნელ ხანებში მუკდენისა და ნანკინის მთავრობის ურთიერთობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა, მიუხედავად იაპონელთა აშკარა წინააღმდეგობისა მანჯურიაში.

სამხრეთ - მანჯურიის რკინის გზის იაპონური ოფიციოზი „მანსიუ ნიპო“ ირწმუნება, ვითომ ჩჟან-სიუე-ლიანმა ჯერ კიდევ 1 ივლისს ოფიციალურად აუწყა სამხრეთელების ლიდერებს, რომ თანახმაა აღმართოს გომინდანის დროშა. მუკდენის იაპონური გაზეთები ემყარებიან ტოკიოდან მიღებულ დეპეშას და ირწმუნებიან, ვითომ ჩჟან-სიუე-ლიანი დანიშნულია გომინდანის პოლიტიკური განყოფილების თავმჯდომარედ მანჯურიაში. ამასთანავე გაზეთები ამბობენ, რომ ეს დანიშვნა მოხდა თვით ჩჟან-სიუე-ლიანის დაუკითხავადაო.

ზოგიერთ წრეებში ამტკიცებენ, რომ მუკდენის ჯგუფი ენ-სი-შანთან და ჩან-კაი-შისთან შეთანხმებისა და დაახლოვების საჭიროების ერთ-ერთ მთავარ მოტივად ასახელებს „საერთო ფრონტის შექმნას კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად“. (ადს)

### მანჯურიის სამშვიდობო დელეგაცია

**პეკინი,** 10 ივლისი. მოვიდა მანჯურიის სამშვიდობო დელეგაცია ოთხის წევრის შემადგენლობით. დელეგაციამ ინახულა ჩან-კაი-ში.

### ციციკარის დუბანი თავს იცავს

**ხარბინი,** 10 ივლისი. ხარბინის ჩინური გაზეთი „დუნ-სან-შან-ბაო“ ირწმუნება: ციციკარის დუბანად ახლად დანიშნულმა ვან-ფუ-ლინმა საბჭოთა კავშირთან მოსაზღვრე რაიონებში თავდაცვის გასაძლიერებლად გადასწყვიტა ისევ ციციკარის პროვინციაში გადაიყვანოს მთელი თავისი ხელქვეითი ჯარი, რომელიც ამჟამად ლუან-ჩჟოუ და შანხაიგუანის რაიონში იმყოფება. გარდა ამისა, საზღვრის გასწვრივ განზრახულია მე-18 სათადარიგო დივიზიის დაბანაკება. (ადს)

### იტალია მხარს უჭერს იტალია - ჩინეთის ხელშეკრულების გადათვალიერებას

**შანხაი,** 10 ივლისი. იტალიის ელჩმა პეკინში რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იტალია უკვე დასთანხმდა პრინციპიალურად განიხილოს საკითხი იტალია - ჩინეთის ხელშეკრულების გადათვალიერების შესახებ. (ადს)

### სესხი სამხრეთელ სამხედრო ლიდერებს

**შანხაი,** 10 ივლისი. ინგლისურ გაზეთის „ნორდ ჩაინა დეილი ნიუს“-ის ცნობით, ბანკირთა ჩინეთის ორგანიზაციას წინადადება მიეცა მოაწყოს სამხრეთელ სამხედრო ლიდერებისათვის სამი მილიონიანი დოლარის სესხი.

### აჯანყების ხელმძღვანელთა დაპატიმრება

**შანხაი,** 10 ივლისი. როგორც გაზეთი „სინ ვენბაო“ იტყობინება, შანხაის საერთაშორისო უბნის ხელისუფლებამ დააპატიმრა, კომუნისტი ტინ-იანი-ენი, რომელიც ხელმძღვანელობდა კუნძულ ცზუნგინზე და მდინარე იონცზის ნაპირად ივნისის აჯანყებას. ამ უბნის ხელისუფლებამ ტინ-იანი-ენი გადასცა ჩინეთის სამხედრო ხელისუფლებას.

### კომუნისტური მოძრაობის ზრდა

**შანხაი,** 10 ივლისი. ინგლისური გაზეთი „სენტრალ ჩაინა პოსტ“, რომელიც გამოდის ხანკოუში, იუწყება, რომ, ხანკოუს სამხედრო ხელისუფლების ცნობით, ხუნანის პროვინციაში კომუნისტური მოძრაობა კვლავ გაძლიერდა. გაზეთის სიტყვით, ორი როტა გადავიდა კომუნისტების მხარეზე. ჯარისკაცებმა განიარაღეს მოხალისეთა რაზმები ცზინანში და დაიჭირეს ხუბეი-ცზიან-სის პროვინციისაკენ.

ჩინური პრესის ცნობით, ხანკოუში 15 ივნისს სიკვდილით დასაჯეს სამი კომუნისტი ევენან-ვანი, ტეინ-ჩან-კუანი და ეუნდეო. (ადს).

### ერთი-მეორის საწინააღმდეგო ხმები იან-იუ-ტინის ბედის შესახებ

**ხარბინი,** 10 ივლისი. „მანჩურია დეილი ნიუს“ (იაპონელთა ორგანო) იუწყება, რომ მუკდენში ჩავიდა ჩჟან-ცზუნ-ჩანი.

გაზეთის სიტყვით, ჩან-ცზუნ-ჩანმა იაპონელ კორესპონდენტს განუცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს „დაიბრუნოს შანდუნი“. იან-იუ-ტინის შესახებ დადის ერთი მეორის საწინააღმდეგო ხმები. არაფერი იციან იმის შესახებ, თუ სად იმყოფება იან-იუ-ტინი.

იაპონიის სააგენტოს ტოხოს მუკდენელი კორესპონდენტი იუწყება, თითქოს იან-იუ-ტინის ჯგუფი აწარმოებს ფარულ ბრძოლას ჩჟან-სუე-ლიანის წინააღმდეგ. იან-იუ-ტინი ემხრობა სამხრეთელებთან შეერთებას და გომინდანის დროშის შემოღებას.

გაზეთი „მანსიუ ნიპო“ ირწმუნება, რომ საიდუმლოეთ ინახავენ ცნობას იმის შესახებ, თუ სად იმყოფება იან-იუ-ტინი ვინც ამ ცნობას გამოაქვეყნებს — დახვრეტა მოელის. გაზეთი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა არის ასეთი განკარგულების მიზეზი (ადს).

### „კომუნიზმის შემდგომი გამარჯვების თავდები“

**შანხაი.** 10 ივლისი. 8 ივლისს კანტონში სიკვდილით დასაჯეს 14 ახალგაზრდა ქალი და სამი მოწაფე ვაჟი, რომელთაც კომკავშირის წევრობას აბრალებდენ. გაზეთების სიტყვით, **დასჯილნი გმირულად შეხვდენ სიკვდილს.** უკანასკნელ წუთში მათ განაცხადეს: ჩვენი სიკვდილით დასჯა თავდებია კომუნიზმის შემდგომი წარმატებისაო.

### იაპონიის სამხედრო გემების რაოდენობა ჩინეთში

**შანხაი.** 10 ივლისი. პრესის ცნობით, ჩინეთის წყლებში ამ ჟამად იაპონიის 55 სამხედრო გემი იმყოფება.

### სიკვდილით დასჯილ კომუნისტთა საქმეები

**შანხაი.** 10 ივლისი. კანტონის ხელისუფლების დადგენილებით, სიკვდილით დასჯილ კომუნისტების და, საერთოდ, „წითლების“ საქმეები ამიერიდან აღარ გამოქვეყნდება.

### იმ პირთა დაპატიმრება, რომელთაც კომუნისტობა ბრალდება

**შანხაი.** 10 ივლისი. შანხაიში არსებული ინგლისური გაზეთის „ნორდ ჩაინა დეილი ნიუს“-ის კანტონელი კორესპონდენტი იუწყება: ამ უკანასკნელ დროს კანტონში დააპატიმრეს ბევრი პირი, რომელთა შესახებაც ეჭვი აქვთ, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ კომუნისტურ მოძრაობაში.

„მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა შეთქმულება ლი-ტი-სინის წინააღმდეგ,—სწერს კორესპონდენტი,—ლი-ტი-სინი, რათა ეჩვენებია, რომ მოკვლის განზრახვის ხმები უსაფუძვლოა და მთავრობას სრულებითაც არ ეშინია ტერორისტებისა, თამამად დაქეირობდა ავტომობილით ქალაქში. ერთი თუ ორის დღის შემდეგ ლი-ტი-სინზე ხელახალი თავდასხმა მოხდა, რომელიც მარცხით დამთავრდა.

### ახალი კომუნისტური მღელვარებანი

**შანხაი.** 10 ივლისი. ჰონკონგში არსებული ინგლისური გაზეთი „ჰონკონგ ტელეგრაფ“-ი იუწყება ახალ კომუნისტურ მღელვარებათა შესახებ ხაილოფინის რაიონში. კომუნისტებმა ისარგებლეს მთავრობის ჯარების წასვლით და გამოვიდნენ თავიანთ საიდუმლო თავშესაფარებიდან. მათ შეუერთდა 1000 გლეხზე მეტი და ერთად მოაწყეს ამბოხება.

გაზეთი უმატებს, რომ მოძრაობას მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი აქვსო.

### იაპონია - ჩინეთის მოლაპარაკება

**ტოკიო,** 10 ივლისი. ლიბერალური გაზეთი ხოცი ამტკიცებს, რომ იაპონიის მთავრობა აპირებს კომპრომისზე წასვლას ცზინანის ინციდენტის საკითხში. გაზეთი ფიქრობს, რომ მოლაპარაკება ნანკინის მთავრობასთან დაიწყება შანხაიში. იაპონიის წარმომადგენლად მოლაპარაკებაში იქნება იაპონიის გენერალური კონსული შანხაიში იადა (ადს).

### გენერალი არაი ყოფილ იმპერატორ პუსთან

**პეკინი,** 10 ივლისი. იაპონიის სააგენტოს ნიპპონ დემპოს ცნობით, იაპონიის ჯარის უფროსმა ჩრდილოეთ ჩინეთში გენერალმა არაიმ მრავალის მეთაურების თანხლებით ინახულა ჩინეთის ყოფილი იმპერატორი პუ, რომელიც ამ ჟამად ჩინიუანში (ჩილის პროვინციაში).

### თეთრგვარდიელ მერკულოვის დაპატიმრება

**პეკინი,** 10 ივლისი. იუწყებიან, რომ ჩან-ცზუნ-ჩანის მოთხოვნილებით მუკდენის ხელისუფლებამ დააპატიმრა თეთრგვარდიელი მერკულოვი. (ადს).

### 7.000 დოლარი სამი კომუნისტის დაჭერისათვის

**შანხაი,** 10 ივლისი. ქალაქ ჩანდას ხელისუფალნი (ხუნანის დასავლეთ ნაწილის პროვინციაში) იუწყებიან, რომ მათ ვითომ აღმოაჩინეს ჩინეთის კომპარტიის დასავლეთ ხუნანის ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის საცხოვრებელი ადგილი. ხუნანის მმართველებმა 7.000 დოლარი ჯილდო დანიშნეს კომუნისტების სამი ლიდერის დაჭერისათვის.

## ესტონური გაზეთი

### ესტონელთა მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში

**რეველი,** 10 ივლისი. გაზეთმა „ვაბა მაა“-მ 5 ივლისს მოათავსა წერილი იმის შესახებ, რომ ესტონეთის მთავრობამ არ მისცა ესტონეთში შესასვლელი ვიზა, საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ესტონელებს, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ „საზღვარ გარეთ მცხოვრებ ესტონელთა დღე“-ში მონაწილეობის მისაღებად. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ესტონელთა მოწვევა მოხდა ხელისუფლებასთან შეთანხმებით. მეორე წერილში გაზეთი იუწყება. საზღვარ გარეთ მცხოვრებ ესტონელებისაგან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ესტონელები ყველაზე უფრო კარგი კულტურული პირობებით სარგებლობენ საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირში არის 150 - ზე მეტი ესტონური პირველ - დაწყებითი სკოლა, რამოდენიმე საშუალო სასწავლებელი და ესტონური უნივერსიტეტიცკი. ყველა ამ დაწესებულებას ინახავს საბჭოთა მთავრობა. ასეთი მდგომარეობა არც ერთ სხვა ქვეყნებში არ არსებობს. (ადს).

## მუშების ბრძოლა

### დასრულდა ანტვერპენის ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა

**პარიზი,** 10 ივლისი. ანტვერპენის ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა დასრულდა, მუშაობა განახლდება 11 ივლისს. ანტვერპენის რეფორმისტულმა პროფკავშირებმა გადასწყვიტეს, მიიღონ ანტვერპენის გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ. რომ ნავთსადგურის მუშები შეუდგნენ მუშაობას ხელფასის საკითხის მოწესრიგებამდე. ეს საქმე უნდა მოგვარდეს ორი კვირის განმავლობაში. (ადს)

### ბომბეის ფეიქართა დამხმარე კომიტეტი

**ქაბული,** 10 ივლისი. ბომბეიდან იუწყებიან: ამ დღეებში აქ გამართულმა მასიურმა მიტინგმა დაადგინა, შექმნას გაფიცულ ფეიქართა დამხმარე სპეციალური კომიტეტი.

რკინისგზელთა გაფიცვა წარმატებით მიმდინარეობს. არც ერთი რკინისგზელი მუშაობას არ შესდგომია. (ადს)

### მთავრობის ტერორის მსხვერპლი

**ვენა,** 10 ივლისი. მუშათა პრესის ცნობით, მთავრობის ტერორი საბერძნეთში გაფიცვის გამოცხადების მომენტიდან გამოიხატება შემდეგ ციფრებში: 15 მოკლული, 150 დაჭრილი, 500 დაპატიმრებული და 31 გადასახლებული.

### გაფიცული მუშები მტკიცედ არიან

**ნიუ - იორკი,** 10 ივლისი. 26 საფეიქრო ფაბრიკის პატრონებმა ნიუ-ბედფორდში განახლეს მუშაობა შტრეიკბრეხერების დახმარებით. ამ გზით ცდილობენ ისინი გასტეხონ გაფიცული მუშების სიმტკიცე და დაითანხმონ ისინი სამუშაო ხელფასის 10 პროცენტით შემცირებაზე. მუშები მაინც განაგრძობენ გაფიცვას. ფაბრიკებს იცავენ პოლიცია და ჯარი.

### კომპრომისული შეთანხმება

**ბერლინი,** 10 ივლისი. რეინის სახელმწიფოების მემადნეოთა ფედერაციაში შემავალ გემთსაშენის მუშების ნაციონალურ კავშირებში მომხდარ რეფერენდუმებიდან გამოირკვა, რომ გაფიცვის შეწყვეტის სასარგებლოდ ხმას აძლევს ორ მესამედზე მეტი. მიღწეულია კომპრომისული შეთანხმება, და გაფიცვა, რომელიც რამდენიმე კვირა გრძელდებოდა, შეწყდება. ახალი კოლექტიური ხელშეკრულება ითვალისწინებს კიდევ 6 დასასვენებელ დღეს წელიწადში, 8 დღის შვებულებას ყოველ წელიწადს და, გარდა ამისა, საბუქსირო ნაოსნობის მუშების ხელფასის მნიშვნელოვან გადიდებას (ადს).

## პილსუდსკის დიქტატურა განწირულია

**ლონდონი,** 10 ივლისი. „დეილი ჰერალდ“ პილსუდსკის ავადმყოფობას უფრო სერიოზულად სთვლის, ვიდრე პოლონეთის მთავრობა ამბობს. გაზეთის აზრით, პოლონეთის მთავრობას ეშინია სიმართლე სთქვას პილსუდსკის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ უეჭველად, რომ „სწყდება პილსუდსკის დიქტატურის ბედიღბალი და თვით დიქტატორი უკვე განწირულია“. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო გულმოდგინედ ადევნებს თვალ-ყურს მდგომარეობას პოლონეთში, რადგან პილსუდსკის სიკვდილს შეუძლია გამოიწვიოს ცვლილებანი აღმოსავლეთ - ევროპის პოლიტიკაში. (ადს).

## ვენიზელოსის პირველი ნაბიჯი

**ათინა,** 10 ივლისი. პრეზიდენტმა კონდურიოტისმა ხელი მოაწერა ვენიზელოსის მიერ წარდგენილ დეკრეტს, იმის შესახებ, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა შეიცვალოს მაჟორიტარულ სისტემით. ოპოზიციონურ პარტიებს ეს დეკრეტი მიაჩნიათ კონსტიტუციის დარღვევად და იმუქრებიან, რომ მომავალ არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებენ. ყოფილი დიქტატორი პანგალოსი განთავისუფლებულია სატუსაღოდან, რომელშიაც იგი დაამწყვდია წინანდელმა მთავრობამ (ადს).

## რუმინეთის ვალიუტის სტაბილიზაციის გარშემო

**ვენა,** 10 ივლისი. რუმინეთის დეპეშათა სააგენტო რადორ აქვეყნებს ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ რუმინეთსა და ინგლისის ბანკს შორის დაიდო წინასწარი შეთანხმება ინგლისის ბანკის მონაწილეობის შესახებ რუმინეთის ვალიუტის სტაბილიზაციაში.

ამავე დროს ბუქარესტის პრესაც იუწყება, რომ რუმინეთის მთავრობამ, ინგლისის და საფრანგეთის ბანკების სურვილის თანახმად, გადასწყვიტა განაახლოს გერმანიის რეიხსბანკთან შეწყვეტილი მოლაპარაკება და დასთანხმდეს ომის წინ გერმანიაში დაბანდებული რენტების რევალორიზაციას. საფრანგეთის ბანკი რუმინეთს მისცემს ავანსს 800 მილ. ლეის რაოდენობით. მთავრობას განზრახული აქვს ივლისის შუა რიცხვებში მოიწვიოს პარლამენტის საგანგებო სხდომა იმისათვის, რომ გაატაროს კანონი სტაბილიზაციის შესახებ.

ოპოზიციონური პრესა სკეპტიკურად უყურებს სტაბილიზაციის პერსპექტივებს (ადს).

## ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად

### მფრინავმა ჩუხნოვსკიმ აღმოაჩინა მალგრემის ჯგუფი

### ჩუხნოვსკიმ აღმოაჩინა მალგრემის ჯგუფი

**მოსკოვი,** 11 ივლისი. „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტმა მიიღო რადიოგრამა ჩრდილოეთ - დასავლეთი ექსპედიციის („კრასინი“) უფროსის პროფესორ სამოილოვიჩისაგან, რომ მფრინავი ჩუხნოვსკი 10 ივლისს 16 საათზე გაფრინდა დასაზვერავად. ჩუხნოვსკიმ აეროპლანიდან რადიოს საშუალებით აცნობა ექსპედიციის უფროსს, რომ 18 საათზე მან ყინულზე აღმოაჩინა მალგრემის ჯგუფი, ორი კაცი ფეხზე იდგა და ერთი ბაირაღებს აქნევდა. ერთი იწვა. ჩუხნოვსკიმ ხუთჯერ შემოუარა მალგრემის ჯგუფს. ჯგუფი აღმოჩენილია ჩრდილოეთის განივის 80 გრადუსსა და 42 წუთზე და აღმოსავლეთის სიგრძედის 25 გრადუსსა და 45 წუთზე, 20 მილის მანძილზე „კრასინი“-ის აღმოსავლეთით.

შემდეგ რადიოდეპეშით ჩუხნოვსკი იუწყება, რომ ნისლის გამო მას არ შეუძლია ყინულისმტეხელზე დაბრუნება და სხვა რაიონს ეძებს დასაშვებად.

„იტალია“-ს დამხმარე კომიტეტს შეუწყვეტელი კავშირი ჰქონდა „კრასინ“-თან, რათა გამოერკვია — იპოვა თუ არა ჩუხნოვსკიმ მოხერხებული ადგილი დასაშვებად.

მფრინავ ჩუხნოვსკის მიერ აღმოჩენილი ჯგუფი სამი კაცისაგან შესდგება. ეს ჯგუფი დედამიწის საძებრად წავიდა „იტალია“-ს ავარიისთანავე. ამ ჯგუფს იარაღი არა აქვს, დღემდე მის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა და ბევრი მას დაღუპულად სთვლიდა. მალგრემი შვედი მეცნიერია, რომელიც „იტალია“-ს ეკიპაჟს შეუერთდა სამეცნიერო გამოკვლევათა მოსახდენად. (ადს)

**მოსკოვი,** 11 ივლისი. დამხმარე კომიტეტმა, როგორც კი მიიღო ცნობა ჩუხნოვსკის მიერ მალგრემის ჯგუფის აღმოჩენის შესახებ, მაშინვე უბრძანა „კრასინ“-ს დაუყოვნებლივ გავიდეს ჯგუფის დასახმარებლად. ჩუხნოვსკის რადიო - მოხსენების მიღებიდან 6 საათის გასვლის შემდეგ „კრასინ“-ი უკვე გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც მალგრემის ჯგუფი იმყოფება. კომიტეტში დარწმუნებულნი არიან, რომ „კრასინ“-ი შესძლებს მალგრემის ჯგუფთან მისვლას და მის გადარჩენას. (ადს)

### მაგნიტის ქარიშხალი არქტიკაზე

**ყინულის მჭრელი „მალიგინი“,** 11 ივლისი. რადიო ყინულის მჭრელ „მალიგინი“-დან იუწყება: „ამინდი ნელ-ნელა უმჯობესდება. კუნძულ კარლოსის რაიონში მცურავ ყინულებზე მოწყობილია აეროდრომი თვითმფრინავისათვის. გახანგრძლივებულმა მაგნიტის ქარიშხალმა არქტიკაზე შეაჩერა მოკლე ტალღიანი რადიო - სადგურის მუშაობა, რაც ხელს უშლის ვილიერის ჯგუფის ადგილმყოფელობის გაგებას“.

### შარკოს ექსპედიცია

**პარიზი,** 10 ივლისი. ნორმანდიიდან ტრომსისაკენ წავიდა გემი „რატომაც არა“ შარკოს ექსპედიციით. გემი მოსძებნის ამუნდსენს შპიცბერგენზე და ფრანც იოსების მიწაზე. შარკომ გამოსთქვა რწმენა, რომ გილბოს და ამუნდსენს იპოვის ცოცხალს (ადს).

### არქტიკაზე რადიო - გადაცემის შეწყვეტის შესახებ

**ლენინგრადი,** 11 ივლისი. არქტიკაზე მოკლე ტალღებიანი რადიო გადაცემის შეწყვეტის შესახებ გადმოცემულ დეპეშის გამო სლუცკის აეროლოგიური ობსერვატორიის დირექტორმა **მოლჩანოვმა** განაცხადა: ობსერვატორიამ მიიღო ცნობა, რომელიც იტყობინება, რომ არქტიკაზე მაგნიტის ქარიშხალია. ცნობა ქარიშხალის ამოვარდნისა და მოკლე ტალღებიანი რადიო - გადაცემის შეწყვეტის შესახებ, უეჭველია, იმას მოწმობს, რომ მათ შორის კავშირი არსებობს. ამ ქარიშხალმა გავლენა იქონია ტელეგრაფის კავშირზედაც ლენინგრადის ოლქში.

### არ არის ცნობები

**სტოკჰოლმი,** 10 ივლისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სამი დღის განმავლობაში არ ყოფილა არავითარი ცნობები ვილიერის ჯგუფის შესახებ.

**რომი,** 10 ივლისი. სტეფანის სააგენტო უწყება, რომ „ჩიტადი მილანო“-ს ცნობით, ვილიერის ჯგუფთან კავშირის შეწყვეტა გამოიწვია იმან, რომ უკანასკნელ დღეებში შეუძლებელი გახდა ცნობების გადაცემა მოკლე ტალღიანი რადიოთი (ადს).

### ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად

**ოსლო,** 10 ივლისი. გარშტადტიდან შპიცბერგენისაკენ წავიდა ნორვეგიის გემი „ინგე“, რომელსაც მიჰყავს გერმანელი მფრინავი ლუტური ჰაეროპლანით (ადს).

### ჩეჩიონის სიკვდილი არ დადასტურდა

**ოსლო,** 10 ივლისი. ხმები დირიჟაბლ „იტალია“-ს უფროს მექანიკოს ჩეჩიონის სიკვდილის შესახებ არ დადასტურდა. (ადს).

### საბჭოთა ექსპედიციის მდგომარეობა

**მოსკოვი,** 10 ივლისი. „იტალი“-ის დამხმარე კომიტეტში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს საბჭოთა ექსპედიციების მდგომარეობის შესახებ აცნობეს შემდეგი:

„მალიგინი“ ამჟამად იმყოფება კაჩის კუნძულის რაიონში. ამ ადგილს მან დიდი წვალებით მიაღწია. ყინულის მჭრელი ვერ გაუმკლავდა ყინულის გორებს, რომლებმაც იმ ადგილას გზა გადაუღობეს. ცუდი ამინდი ხელს უშლის თვითმფრინავის გაფრენას.

„კრასინი“ გაუვალ ყინულს წააწყდა. ყინულის მჭრელი დროებით შეჩერებას იყენებს თვითმფრინავის სამოქმედოდ.

კომიტეტის აზრით, გაფრენათა დიდი რადიოდი საშუალებას მისცემს ჩუხნოვსკის ეძებოს „იტალია“-ს და „ლატამ“-ის ყველა ჯგუფი. ამას გარდა, ფრენის დროს დანამდვილებით გამორკვეული იქნება ყინულის მდგომარეობა, რაც დააჩქარებს „კრასინი“-ს წინსვლას. ამინდის მდგომარეობა ამჟამად ხელს არ უწყობს ექსპედიციის მუშაობას.

## მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### ნოსკეს „დამსახურება“

**მოსკოვი,** 11 ივლისი. „პრავდა“-ს ბერლინელი კორესპონდენტი ზამ-ი იტყობინება: მენშევიკ ნოსკეს შეუსრულდა 60 წელი. ამის გამო გერმანიის და პრუსიის მთავრობებმა გაუგზავნეს მას მისასალმებელი დეპეშები. სამხედრო მინისტრმა გრენერმა განაცხადა. რომ ამ „ღირსშესანიშნავ“ დღეს გერმანიის არმია იგონებს ნოსკეს დამსახურებას სამშობლოს აღდგენის საქმეში, სოციალ-დემოკრატმა გრჟეზინსკიმ განაცხადა, რომ პრუსიის მთავრობას ყოველთვის ახსოვს ნოსკეს დიდი დამსახურება გერმანიის წინაშე.

### გერმანიის ახალი კაბინეტის პირველი სხდომა

**მოსკოვი,** 11 ივლისი. გერმანიის ახალი მთავრობის პირველ სხდომაზე უარყოფილ იქნა კანონპროექტები გადასახადების შემცირების შესახებ.

### სოციალ-დემოკრატების „ამნისტია“

**მოსკოვი,** 11 ივლისი. იმ შენიშვნის გამო, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა გაუკეთეს ამნისტიის პროექტს, გაუარესდება არა მარტო მაქს ჰელცის და მარგისის, არამედ სხვა დაპატიმრებულ რევოლიუციონერების მდგომარეობა.

### პრესამ შესწყვიტა კომენტარიები შახტის საქმეზე

**მოსკოვი,** 11 ივლისი. „კელნიშე ცეიტუნგ“-ის გამოსვლის შემდეგ გერმანიის პრესამ შესწყვიტა კომენტარიები შახტის საქმეზე.

### ეროვნულ რესპუბლიკების სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა თათბირი

**მოსკოვი,** 11 ივლისი. 12 ივლისს იხსნება ეროვნულ რესპუბლიკების სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა საკავშირო თათბირი. ამის გამო „ცენტროსოიუზ“-ის გამგეობის წევრმა ამხ. კოზლოვმა იქ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ამ თათბირს უდიდესი მნიშვნელობა ექნება სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის განვითარებისათვის ეროვნულ რესპუბლიკებში, რადგან იგი გაითვალისწინებს წარსული მუშაობის მიღწევა-ნაკლულოვანებებს და გამოიმუშავებს ღონისძიებებს მუშაობის გასაფართოვებლად მომავალში.

შემდეგ ამხ. კოზლოვმა აღნიშნა, რომ აუცილებელია კოოპერაციას გადაეცეს მთელი სახელმწიფო საწვრიმალო ვაჭრობა. „ცენტროსოიუზ“-ი თათბირის წინაშე აყენებს საკითხს კოოპერაციისათვის გრძელვადიანი საბანკო საქონლის კრედიტის მიწოდების შესახებ; „ცენტროსოიუზს“ საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე გამოყოფილი იქნეს სპეციალური თანხები კაპიტალური რემონტისათვის.

### დახმარება ნობილეს ჯგუფს

**მოსკოვი,** 11 ივლისი. ნობილეს ექსპედიციის დამხმარე კომიტეტის მდივანმა განაცხადა: ყინულის მჭრელი „მალიგინი“ ამჟამად ახლოა ვილიერის ჯგუფთან. „კრასინი“-ს აეროპლანს უკვე შეუძლია შეუდგეს „იტალია“-ს და „ლატამ“-ის ძებნას.

# უკანასკნელი ცნობები

### დაპატიმრებანი სოფიაში

ვენა, 10 ივლისი. ბულგარეთის მუშათა გაზეთი „ნოვინი" იუწყება, რომ მუშათა დამოუკიდებელმა პარტიამ გამოუშვა საპროტესტო მოწოდება პარტიის კრებების აკრძალვის წინააღმდეგ; ამასთან დაკავშირებით დააპატიმრეს სოფიის ქალაქის კომიტეტის წევრები, აგრეთვე პარტიის ბევრი უბრალო წევრი. (ადს).

### სენატის და პალატის სესიის დამთავრება

პარიზი, 10 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„სენატის და პალატის სესია დამთავრდა.

### ავტომობილის კატასტროფა

ერევანი, 11 ივლისი. 10 ივლისს საღამოს 8 საათზე კარაკლის - დელიჟანის გზაზე სოფელ ვარტანლუსთან ვიწრო მოსახვევში გადაბრუნდა მიწათ - მოქმედების სახალხო კომისარიატის ავტომობილი. ავტომობილში იყვნენ შავ—ჭირთან მებრძოლი ამიერ-კავკასიის კომისიის თავმჯდომარე ამხ. მაკინციანი, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სავეტერინარო კომისიის წევრები ამხ. ურუსოვი, ლუკანი და სოხუმის მიწსახკომის საქმეთა მმართველი ამხ. ბელუჯიანი. მგზავრები და შოფერი უმნიშვნელოდ დაშავდნენ. (ადს)

### ჩემბერლენი ესალმება კელოგის წინადადებას

ლონდონი, 11 ივლისი. თემთა პალატაში ჩემბერლენმა პასუხი გასცა შეკითხვაზე; თუ რა პასუხს აძლევს ინგლისი კელოგის წინადადებაზე ომის აკრძალვის შესახებ. ჩემბერლენმა განაცხადა: „მე მტკიცე იმედი მაქვს, რომ კელოგის წინადადებაზე პასუხის გაგზავნას საპარლამენტო სესიის დამთავრებამდე შევძლებ. მე ვესალმები კელოგის წინადადებას და განზრახული მაქვს ხელი შეუწყო კელოგის მიერ წამოყენებული ხელშეკრულების წარმატებით დადებას". (ადს).

### თავდასხმა ფრანგ გუშაგზე მაინცში

პარიზი, 11 ივლისი. მაინცში გერმანელი ველოსიპედისტი თავს დაესხა ფრანგ გუშაგს, ორჯერ ესროლა მას რევოლვერი, მძიმედ დასჭრა და მიიმალა. (ადს).

### რეფორმისტების დამარცხება ანტვერპენში

პარიზი, 11 ივლისი. ანტვერპენში (ბელგია) შედგა რეფორმისტულ პროფკავშირთა ლიდერების მიერ მოწყობილი დოკერების კრებები. ყველა კრებაზე დიდმა ოპოზიციამ იჩინა თავი ანტვერპენის გუბერნატორის ვოლეეტის წინადადებების წინააღმდეგ, რომლებიც მიიღო პროფკავშირთა გამგეობამ. მაგრამ კრებების ორგანიზატორებმა არსად არ დაუშვეს კენჭის ყრა და კატეგორიულად გაილაშქრეს რეფერენდუმის მოწყობის წინააღმდეგ. გამგეობამ განაცხადა, რომ გაფიცულებს შეუწყვეტს დახმარების მიცემას იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაემორჩილებიან გამგეობის გადაწყვეტილებას. გამგეობის ბინას იცავს პოლიციელების გაძლიერებული რაზმი. ვინაიდან ქალაქში გაფიცულები ძლიერ აღშფოთებული არიან, რეფორმისტები ბურჟუაზიულ პრესასთან ერთად ცდილობენ მუშების აღშფოთება კომუნისტების პროპაგანდას მიაწერონ. (ადს).

### აჯანყებისაკენ მოწოდებისათვის

ვარშავა, 11 ივლისი. პოლიციამ კონფისკაცია უყო პოლონეთის სოციალისტური პარტიის სახალხო ორგანოს „ხლოპსკა პრავდა"-ს წერილისათვის, რომელიც პოლონელ მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდა აჯანყებისაკენ მთავრობის წინააღმდეგ, თუ უკანასკნელმა ძალმომრეობით შესცვალა კონსტიტუცია. (ადს).

### კანონპროექტი ამნისტიის შესახებ რეიხსტაგში

ბერლინი, 11 ივლისი. რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ მიიღო კანონპროექტი ამნისტიის შესახებ, რომელიც შეტანილი იყო მთავრობის პარტიების (მათ შორის სოციალ-დემოკრატების), მიერ.

კანონპროექტი ვრცელდება პოლიტიკურ დანაშაულზე, გარდა იმ დანაშაულისა, რომელიც ჩადენილია „სიცოცხლის წინააღმდეგ". პოლიტიკურ მკვლელობისათვის მსჯავრდადებულთ პატიმრობის ვადა უნახევრდება, იმ პატიმრებმა, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ მუდმივი ციხე, 7 წლ. წელიწადი უნდა გაატარონ საპყრობილეში. კომუნისტების მიერ შეტანილი პროექტი კომისიამ უარჰყო. კომუნისტი დეპუტატი შტეკერი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატების წყალობით 20 პოლიტიკური, მათ შორის მაქს ჰელცი საპყრობილეში უნდა დარჩეს. იუსტიციის მინისტრმა კოხმა განაცხადა, რომ ამნისტია არ ვრცელდება კომუნისტური პარტიის ცეკას წევრებზე, რომლებიც 1923 წელს გაასამართლეს, ვინაიდან დღემდე არ არის განსაზღვრული პასუხისგებაში მიცემულ პირთა დანაშაული. ამიტომ ძველი რეიხსტაგის ბევრ ყოფილ კომუნისტ დეპუტატს სადეპუტატო ხელშეუხებლობის დაკარგვის გამო მომავალში დაკარგული აქვს ლეგალური პოლიტიკური მოღვაწეობის საშუალება. (ადს).

### პროფ. პეტრუშევიჩის დევნა

ვარშავა, 11 ივლისი. ვილნოს უნივერსიტეტის საბჭომ პროფესორთა რიცხვიდან გამორიცხა პეტრუშევიჩი, რომელიც დამცველად გამოვიდა ბელორუსთა გრომადის პროცესზე, პოლიტიკურ წრეებში გამორიცხვას აფასებენ, როგორც რეპრესიას პროცესზე გამოსვლისათვის. ვილნოს ნაფიც ვექილთა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც სასტიკ პროტესტს აცხადებს პეტრუშევიჩის გამორიცხვის წინააღმდეგ. პრესის ნაწილიც კიცხავს უნივერსიტეტის საბჭოს მოქმედებას.

### პატეკი პილსუდსკისთან

ვარშავა, 11 ივლისი. „ნაშ პშეგლონდ"-ის ცნობით, პილსუდსკის ვარშავაში საგარეო პოლიტიკური საქმეები აჩერებს, კერძოდ პოლონეთ-ლატვიის ურთიერთობის გამწვავება. იგივე გაზეთი იუწყება, რომ პილსუდსკიმ მიიღო პატეკი მოსკოვში გამგზავრების წინ და დიდხანს ესაუბრა მას. როგორც იუწყებიან, ამ საუბრის შემდეგ „მოსალოდნელია გარდატეხა პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობაში. (ადს).

### მალგრემის ჯგუფის დასახმარებლად

მოსკოვი, 11 ივლისი. „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტის ცნობებით, „კრასინი" 11 ივლისს 14 საათზე იმყოფებოდა ჩრდილოეთის განივის 80 გრადუსსა და 51 წუთზე და აღმოსავლეთის სიგრძედის 24 გრადუსსა და 5 წუთზე. ის საათში 4 მილის სისწრაფით მიიწევს წინ. წინსვლის შესაძლებლობა ჯერჯერობით უზრუნველყოფილია. ალბათ 12 ივლისს დილით „კრასინ"-ი მიაღწევს მალგრემის ჯგუფამდე, თუ რაიმე განსაკუთრებული დაბრკოლება არ გადაეღობა. (ადს).

—:—

### ფეხით დედამიწის გარშემო

11 ივლისს თბილისში ჩამოვიდა გერმანელი მოგზაური იოსებ ზაქსი, პროფესიით მექანიკოსი, რომელიც ფეხით მოგზაურობს დედამიწის გარშემო. ზაქსი 1926 წლის 10 აგვისტოს გამოვიდა გერმანიიდან და შემოიარა ევროპა, აფრიკა და აზიის ნაწილი. თბილისიდან ზაქსი მიდის მოსკოვში და შემდეგ ფინეთში. მოგზაურობის დამთავრებას ფიქრობს 1934 წელს, რის შემდეგ გამოუშვებს წიგნს თავისი შთაბეჭდილებების შესახებ. ზაქსის თანამგზავრი, რომელთანაც ერთად გამოვიდა ის გერმანიიდან, გარდაიცვალა აფრიკაში. (ადს)

## ინგლისი არჩევნების წინ

### ელენ კრაუფორდის კანდიდატურა

ლონდონი, 10 ივლისი. პროფკავშირების საბჭომ და მუშათა პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ ბოტუელში (ლანკაშირის ქვანახშირის რაიონი) ერთხმად დაადგინეს, რომ მომავალ არჩევნების დროს თემთა პალატის კანდიდატად წამოაყენონ ქალთა კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე ქალი ელენ კრაუფორდი. ბოტუელის პროფკავშირების საბჭო და მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია გამორიცხეს მუშათა პარტიიდან. ბოტუელის საარჩევნო ოლქის დეპუტატად ამჟამად არის მემაღაროეთა მემარჯვენე ფრთის ლიდერი სულივანი. (ადს)

## გლეხთა მოძრაობა ბენგალიაში

ლონდონი, 10 ივლისი. კალკუტიდან იუწყებიან: ფართოვდება გლეხთა მოძრაობა სავადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგ ბარდოლის რაიონში. გახშირდა შემთხვევები, როცა ინდუსები უარს აცხადებენ ადმინისტრატიულ თანამდებობაზე სოფლად. ინგლის-ინდოეთის მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები მოძრაობის მომხრეთა წინააღმდეგ. ინდოეთის პოლიტიკურ წრეებში შესაძლებლად მიაჩნიათ არსებული მდგომარეობის გამწვავება. (ადს)

## სხვადასხვა

### სათემო კავშირის დაშლა სპლიტში

ვენა, 10 ივლისი. ბელგრადის გაზეთის „პოლიტიკა"-ს ცნობით, სამხრეთ - სლავიის მთავრობამ სპლიტში დაშალა სათემო საბჭო, რადგან უკანასკნელმა, სკუპშჩინაში მომხდარ მკვლელობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ზეიმში კონსტიტუციის წლის თავზე. ქალაქის მმართველობა - გამგეობა დროებით დაეკისრა მთავრობის კომისარს (ადს).

### 6 თვიანი მორატორიუმი ბულგარეთს

ვენა, 10 ივლისი. სოფიიდან მიღებული ცნობით, პრემიერ - ლიაპჩევმა პარლამენტში განაცხადა, რომ ცენტრალურმა სარეპარაციო კომისიამ დაადგინა მიეცეს ბულგარეთს 6 თვიანი მორატორიუმი სარეპარაციო გადასახადების გასტუმრებაში. იმავე სხდომაზე ლიაპჩევმა განაცხადა, რომ ზარალი, რომელიც სახელმწიფოს მიწისძვრისაგან მოუვიდა, ერთ მილიარდ ლევს აღემატება (ადს).

### აფიორა ნავთიან ადგილების გადაყიდვაში

ვენა, 10 ივლისი. რუმინეთის იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა სახელმწიფო ნავთიანი ადგილების უკანონოთ გადაყიდვის შესახებ ტროგვისტში. სამინისტრო მთავრობის სახელით აცხადებს, რომ აფიორის ყველა მონაწილე, მათ შორის ის პირებიც, რომელთაც დიდი თანამდებობები უკავიათ, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული და მკაცრად დაისჯებიან (ადს).

# საბჭოთა კავშირში

### საკავშირო პროფსაბჭოს და სამთადნო მუშათა კავშირის შუამდგომლობა

მოსკოვი, 11 ივლისი. სამთა-მადნო მუშათა კავშირმა, ცენტრალურ პროფსაბჭოსთან ერთად, თხოვნით მიმართა შრომისა და თავდაცვის საბჭოს—გამონაკლისის სახით დააწესოს აზნევთისათვის მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების 15 პროც. გადარიცხვა ფონდში, ნაცვლად დღეს არსებულ 10 პროც. გადარიცხვისა, ამ თხოვნას ასაბუთებენ; ბაქოს ნავთის მუშების საბინაო ფონდის უკიდურესი სიმცირით. ეს ფონდი ამ ბოლო დროს უფრო შემცირდა საწარმოო რაიონებში სახლების დანგრევით.

### საბჭოთა თერმომეტრების პირველი პარტია

ლენინგრადი, 11 ივლისი. „დრუჟნაია გორკა"-ს ქარხანამ გამოუშვა სამკურნალო თერმომეტრების პირველი პარტია. ზომაწონის პალატაში შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ეს თერმომეტრები არაფრით არ ჩამოუვარდებიან საზღვარგარეთ დამზადებულ თერმომეტრებს.

### ელექტრო-ენერგიის კილოვატის შედარებითი ღირებულება

ლენინგრადი, 11 ივლისი. „გლაველექტრო"-ს საფინანსო კომისიამ დაამთავრა ვოლხოვის ჰიდროსადგურის შედარებითი ღირებულების გამორკვევა. შესადარებლად აღებულ იქნენ ასეთივე სიმძლავრის სადგურები კანადსა, შვეიცარიასა, შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში, ერთი კილოვატის საშუალო ღირებულება ამერიკაში 440 მანეთს უდრის, ვოლხოვის ჰიდროსადგურის ერთი კილოვატი უდრის (გამოტოვებულია) ჩერვონელ მანეთს.

### საზღვაო ტყის მზიდავების მეორე სერია

ლენინგრადი. ბალტიის გემთსაშენებელმა ქარხანამ დაამთავრა ხე-ტყის მზიდავების მეორე სერიის აგება. ამ სერიაში შედის ოთხი გემი: „პრავდა", „ისკრა", „რაბოჩი" და „კრესტიანინი". გემების აგება დაწყებულ იქნა 1925 წელს. თვითეული გემი 3.500 ტონიანია. სამმა პირველმა გემმა უკვე დაიწყო მუშაობა, ამასთან „რაბოჩი" შეუდგა თავის პირველ მგზავრობას საზღვარგარეთ.

## თათბირი სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შესახებ ქალთა შორის

მოსკოვი, 11 ივლისი. 10 ივლისს გაიხსნა თათბირი სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შესახებ ქალთა შორის. თათბირზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ქალთა საერთაშორისო კოოპერატიული გილდიის გენერალური მდივანი ონორა ენფილდი. იგი თათბირს მიეგება 7 წლის წინეთ დაარსებულ ქალთა საერთაშორისო კოოპერატიული გილდიის სახელით. „დიდი სიხარული ვიგრძენ,—სთქვა მან,—როცა გავიგე, რომ ქალების თქვენს თათბირზე განხილული იქნება საკითხი საბჭოთა კავშირში ქალთა კოოპერატიული ორგანიზაციის, როგორც საერთაშორისო გილდიის ნაწილის, ჩამოყალიბების შესახებ, იმედი მაქვს, როცა ამას განახორციელებთ, სათანადო ადგილს დაიჭერთ „დედათა ინტერნაციონალის" რიგებში—ასე ვეძახით ჩვენ ქალთა საერთაშორისო კოოპერატიულ გილდიას".

ენფილდმა, სხვათა შორის, განაცხადა: როდესაც საბჭოთა მთავრობამ ჟენევაში წამოაყენა წინადადება საყოველთაო დაუყოვნებელი განიარაღების შესახებ, ჩვენმა გილდიამ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

მოხსენებით გამოვიდა ცენტროსოიუზის გამგეობის წევრი ამხ. ბუტუზოვა. მოხსენება შეეხებოდა ქალების ჩაბმას კოოპერაციაში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუშა ქალების ჩაბმა კოოპერაციაში უფრო ნელის ტემპით სწარმოებს, ვიდრე მუშა ქალების რიცხვის ზრდა წარმოებაში. სუსტად იზრდება აგრეთვე ქალების რიცხვი სამომხმარებლო კოოპერაციის საარჩევნო ორგანოებში. კოოპერაციამ უნდა გააძლიეროს მუშაობა ქალების მოსაზიდად და გააუმჯობესოს საგანმანათლებლო და ყოფა-ცხოვრებითი მუშაობა როგორც მუშა ქალებს, ისე გლეხ-ქალებს შორის.

## ამერიკის ფირმის წარმომადგენლის განცხადება

მოსკოვი, 11 ვლისი. ამერიკის საპროექტო - საკონსულტაციო ფირმის „სტიუარტ ჯემს ენდ კუკსი"-ს წარმომადგენელმა სტიუარტმა შემდეგი განუცხადა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს შახტის პროცესის შესახებ:

„ვინაიდან დონბასში მომხდარ დაპატიმრებებამდე 6 თვის განმავლობაში წარმოებულმა დაკვირვებამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ პროექტებს ადგენდენ ისეთი სახით, რაც შეუძლებელს ხდიდა დადებითი შედეგების მიღებას. და ვინაიდან ჩვენი სიტყვიერი პროტესტები უნაყოფოდ რჩებოდენ, ფირმამ ფორმალური საპროტესტო განცხადება შეიტანა ტრესტის გამგეობაში. ეს განცხადება ჩვენ ორი თვით ადრე შევიტანეთ, ვიდრე დაპატიმრებები მოხდებოდა. მაშინ კიდევ არ ვიცოდით, რომ ის დაბრკოლებები, რომლებსაც ჩვენ ვუჩიოდით, შეთქმულების შედეგს წარმოადგენდნენ, ხოლო ეს შეთქმულება მოწყობილი იყო იმ ინჟინერების მიერ, რომლებსაც მიზნად ქვანახშირის მრეწველობის შეფერხება ჰქონდათ, პროცესის დროს ინჟინრები გამოტყდნენ, რომ ისინი განზრახ აბრკოლებდნენ ჩვენს მუშაობას და ქრთამებს ღებულობდნენ დონეცის მაღაროების ყოფილი პატრონებისაგან და ზოგიერთ გერმანელ მრეწველისაგან. აღსანიშნავია, რომ ამერიკის არც ერთი ფირმა მათ ცუდად არ მოუხსენებიათ. თუმცა „სტიუარტ ჯემს ენდ კუკს"-ის ფირმა რამდენჯერმე იქნა მოხსენიებული პროცესის დროს, მაგრამ არც მისი მუშაობის მეთოდებისათვის და არც მისთვის ჩრდილი არ მოუყენებიათ.

ფაქტიურად ჩვენს ფირმას ამჟამად მინდობილი აქვს ახალი მაღაროების პროექტების შედგენა და დამუშავება მოსკოვის ქვა-ნახშირის რაიონში, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია, რომ ქვანახშირის მრეწველობის აღდგენისათვის ხელისშემშლელ მოქმედებათა მიუხედავად, ამოღებული ქვა-ნახშირის რაოდენობა ამჟამად სჭარბობს ომის წინა დროის დონეს". (ადს).

## მაქსიმ გორკი უკრაინის მწერალთა შორის

ხარკოვი, 11 ივლისი. ლიტერატურის სახლში უკრაინელმა მწერლებმა გორკი მიიღეს. ამხ. პოსტოლოვსკი მხურვალედ მიეგება ღეს.

გორკის, მან, სხვათა შორის, სთქვა:

„შეიძლება ახალგაზრდა უკრაინელ მწერლებზე მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა გაუგებრობამ, რომელმაც ერთგვარი ჩრდილი მიაყენა ჩვენს ურთიერთობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავის ცნობილ გამოსვლაში უკრაინული ლიტერატურის შესახებ გორკი მსხვერპლი გახდა არა სწორი ინფორმაციისა. ამ დიდ კაცთან ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს. ვერავითარი გაუგებრობა ვერ შეამცირებს ჩვენ სიყვარულს და პატივისცემას გორკის მიმართ".

გორკიმ საპასუხო სიტყვაში სთქვა:

„ძალიან მოხარული ვარ, რომ პირდაპირ დაისვა საკითხი იმ გაუგებრობის შესახებ, რომელიც ჩემსა და უკრაინელ მწერალ სლიუსარენკოს შორის მოხდა. არ ვიცი, ჩვენ შორის ვინ უფრო მეტი უტაქტობა ჩაიდინა — შეიძლება მე, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მე ყოველთვის მჭიდრო კავშირი მქონდა მრავალ უკრაინელ საზოგადო მოღვაწესა და ლიტერატორთან. მე შოვინისტად ვერ ჩამთვლიან. ეს ეწინააღმდეგება ჩემს ძირითადს პრინციპებს. მე ინტერნაციონალისტი ვარ და ვიცი, რომ უკრაინულ რევოლიუციონურ ლიტერატურას დიდი მიღწევები აქვს. მთელ ინციდენტს ვთვლი იმის შედეგად; რომ მე და სლიუსარენკო ცოტა შევეკამათეთ ერთმანეთს, ხოლო ცხარე პოლემიკის დროს შეიძლება გადაჭარბებაც. გაჭავრება შეიძლება, მაგრამ სიფრთხილეა საჭირო. ამიტომ ინციდენტი ამოწურულად მიმაჩნია".

გორკის სიტყვები ცხარე ტაშის კვრით დაფარეს.

## წყალდიდობა აფხაზეთში

სოხუმი, 11 ივლისი. კოკისპირული წვიმის გამო მდინარე მაჯარკა 10 ივლისს ადიდდა და ახი დესეტინის მანძილზე დაფარა პოლტავა-ოლგინის და წებელდის რაიონების თამბაქოს ნათესები. წყალმა გაიტაცა იმ რკინაბეტონის ხიდის სამშენებლო მასალა, რომელიც უნდა აეგოთ სოფელ მაჯარკაზე. წყალმა აგრეთვე წაიღო დროებითი ხიდი. წყალდიდობა წალეკით ემუქრებოდა ორ დიდ ხიდს მე-14 და მე-17 ვერსზე. მაგრამ გლეხებმა თავის დროზე მიღებული ზომებით ხიდები გადაარჩინეს. წყლით დაფარულია სოფელი მაჯარკა, ქვემო მერხეული და ზემო მერხეულის ნაწილი. დაიღუპა დიდძალი შინაური ფრინველი. მცხოვრებლებმა სახურავებზე ასვლით უშველეს თავს. მთებიდან წამოსულმა ნიაღვრებმა ზვავები გამოიწვია ხევებში.

ადიდებულმა გალიზგამ დაფარა რამოდენიმე სოფელი, სათიბები და ნათესები კოდორის მაზრაში. ზარალი მნიშვნელოვანია. კოდორის აღმასკომთან დაარსდა წყალდიდობასთან მებრძოლი კომისია მიღებულია ზომები გალიზგას ნაპირების გასამაგრებლად. (ადს).

# საქ. პროფსაბჭოს მეშვიდე პლენუმი

## უკანასკნელი სხდომა

### კამათი ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო

პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე კვლავ გრძელდება კამათი ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. თალაკვაძემ, უმიკაშვილმა, მაისურაძემ, ანთიძემ, ჭეიშვილმა, სავატიორჯონიკიძემ, ფირალიშვილმა, გოგორიშვილმა და სხვ.



ამხ. ბ. მახარაძე
პროფსაბჭოს ახალი თავმჯდომარე

—:—

გამოსული ორატორები ეხებოდენ პროფესიონალურ მუშაობაში დაშვებულ გადახრებს და დაწვრილებით ახასიათებდენ ყველა იმ დეფექტებს, რომელთაც ადგილი აქვს ამა თუ იმ პროფკავშირის ხაზით ჩატარებულ მუშაობაში. ამხ. ანთიძე პროფკავშირების მუშაობის სისუსტის მიზეზად ასახელებს მუშაკების მოუმზადებლობას და მოითხოვს, რომ პროფსაბჭომ გადამჭრელი ზომები მიიღოს არსებული პროფაქტივის მოსამზადებლად და, პროფკავშირების კვალიფიკაციის ასაწევად.

ამხ. ჭეიშვილი ახასიათებს განათლების მუშაკთა მუშაობის პირობებს პროვინციაში და აღნიშნავს, რომ ხშირად ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ხელს არ უწყობენ განათლების მუშაკებს აწარმოონ და გააღრმავონ სოფლად პროფესიონალური მუშაობა.

ამხ. ფირალიშვილი ახასიათებს კულტმუშაობის სისუსტეს მაზრებში და ამის უმთავრეს მიზეზად ასახელებს შესაფერისად მომზადებული კულტურული ძალების სიმცირეს.

### ამხ. გ. ყურულაშვილის საბოლოო სიტყვა

— აქ გამოსულმა ორატორებმა, — სთქვა გ. ყურულაშვილმა, — კიდევ უფრო გააფართოვეს და ვრცლად დაახასიათეს ის მომენტები, რომელიც მე წამოვაყენე ჩემს მოხსენებაში. ორატორების ერთ ნაწილს უსათუოდ შემცდარად აქვს გაგებული ჩემი მოხსენების ზოგიერთი დებულებები. ასე მაგალითად, ფიზკულტურის წრეების მუშაობის შესახებ მე აღვნიშნე, რომ ადგილი აქვს ერთგვარ ვაჭრობას ზოგიერთი პროფკავშირებს შორის და მომზადებულ ფიზკულტუროსანთა გადაბირების შემთხვევებს. ეს მომენტი მე მოვიყვანე, როგორც პროფკავშირების მუშაობას დეფექტი, მაგრამ აქ გამოსულმა ზოგიერთმა ორატორებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ თითქოს ასეთი წვრილმანი დეფექტების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყოს ცალკე ნებაყოფლობითი ფიზკულტურის ორგანიზაციის მოწყობა.

ამხ. ყურულაშვილი გამოსთქვამს აზრს, რომ ფიზკულტურის საქმის ნებაყოფლობითი ორგანიზაციების ფორმაში ჩამოყალიბება უარყოფით გავლენას მოახდენს თვით ფიზკულტურის განვითარებაზე, რადგან გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ნებაყოფლობითი ორგანიზაციები ვერ იჩენენ მუშაობის ისეთ უნარს, როგორსაც იჩენენ პროფკავშირები.

თავისი სიტყვის შემდეგ ნაწილში ამხ. ყურულაშვილი ეხება მუშათა კლუბების საქმიანობას და აღნიშნავს, რომ მუშათა კლუბები ხშირად გატაცებული არიან მოჩვენებითი ეფექტებით. კლუბებმა უპირველესი ყურადღება უნდა მიაქციონ თავის მუშაობის პროდუქციას, ე. ი. გამართონ შინაარსიანი და ხალისიანი საღამოები, გააცხოველონ კულტმუშაობა და ჩამოაყალიბონ იგი საინტერესო ფორმებში, რადგან ამით ისინი მიიზიდავენ პროფკავშირის წევრთა ფართო მასებს.

შემდეგ ამხ. ყურულაშვილი აღნიშნავს, რომ დღემდე პროფესიონალური მუშაობა ძალიან სუსტად შუქდება გაზეთებში და ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თვით პროფმუშაკები არ აწოდებენ პრესას შესაფერის ცნობებს და არ ეხმაურებიან პროფესიონალური თვალსაზრისით საინტერესო პრესაში დასმულ სხვადასხვა საკითხებს.

თავისი სიტყვის საბოლოო ნაწილში ამხ. ყურულაშვილი ჩერდება კოლექტიური ხელშეკრულებების დადების წესზე, შრომის ბირჟების მუშაობაზე, შრომის ბაზრის მოწესრიგების საკითხებზე და სხვ.



ამხ. ს. ხვედელიძე
პროფსაბჭოს ახალი მდივანი

—:—

ამხ. ყურულაშვილი აღნიშნავს, რომ ხშირად შრომის ბირჟებში ადგილი აქვს დაუშვებელ მოვლენებს, ბოროტმოქმედებებს. ადმინისტრატიული წესით ასეთ მოვლენებთან ბრძოლა არ არის საკმარისი. საჭიროა, შემსუბუქებულ იქნეს მუშაობის პირობები, შრომის ბირჟებში, გადიდებული იქნეს შრომის ბირჟების მუშაკთა ხელფასი და სხვ.

## რეზოლიუციის მიღება

ამხ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი პროფესიონალურ მუშაობაში შემჩნეული დეფექტები და საშუალებები, რომლითაც უნდა იქნეს მიღწეული რეზოლიუციაში აღნიშნული ყველა საკითხები.

## შრომის გმირთა სიის დამტკიცება

რეზოლიუციის მიღების შემდეგ პლენუმზე მოხსენებით გამოდის ამხ. ს. ხვედელიძე, რომელიც პლენუმს აცნობს პროფსაბჭოს დადგენილებას ზოგიერთ დამსახურებული მუშებისათვის შრომის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ.

პლენუმი ერთხმად ამტკიცებს შრომის გმირების სიას შემდეგი შემადგენლობით: **ქასაშვილი ილია** — მეჭედავე—მუშა 52 წლის საწარმოო სტაჟით; **კოშალსკი ივანე** — რკინის გზელი 52 წ. საწარმოო სტაჟით; **ვარდოსანიძე მარიამ** — მასწავლებელი 13 წლის პედაგოგიური სტაჟით; **ვიბორგინი ნიკოლოზ**—ტრამვაელი მუშა 45 წ. სტაჟით. **როხლინი ვლადიმერ**, საბინაო კოოპ. დამაარსებელი, ცეკავშირის მოწყობის ერთი ინიციატორთაგანი და ცნობილი მოღვაწე კოოპერაციის დარგში, 48 წლის სტაჟით და **გრიქუროვი ასატურ** მთავარ სახელოსნოების მუშა, 48 წლის საწარმოო სტაჟით.

## ცვლილებები პროფსაბჭოში

ამხ. გ. ყურულაშვილის ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარედ გადაყვანის გამო, რაც მოხდა ცაკის უკანასკნელი სესიის დადგენილებით, პროფსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოყენებულ იქნა ამხ. ბ. მახარაძის კანდიდატურა.

პროფსაბჭოს თავმჯდომარეთ პლენუმმა ერთხმად დაამტკიცა ამხ. **ბაგრატ მახარაძე**.

პროფსაბჭოს მდივნათ დამტკიცებულ იქნა ამხ. **სერგო ხვედელიძე**.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრებათ, ნაცვლად ამხ. ყურულაშვილისა, ფანცხავასა, ქელიძისა, მარიამიძისა და მორჩილაძის შეყვანილ იქნენ ამხ. ს. გოდაბრელიძე, ჯაფარიძე, ჩიხლაძე, გოზალოვი და გრიქუროვი.

ამხ. ს. გოდაბრელიძე ამასთანავე ერთად პლენუმმა დაამტკიცა სატარიფო - ეკონომიური განყოფილების გამგედ.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილეთ ნაცვლად ამხ. ი. ქელიძისა პლენუმმა დაამტკიცა ამხ. **ნ. ათოევი**.

# პარტიული ცხოვრება

## შორდებიან ოპოზიციას

მოსკოვი, 11 ივლისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრმა ამხ. პრიმაკოვმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ორჯონიკიძეს მიმართა წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

„1928 წლიდან მე აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ. ვინაიდან ვიზიარებდი ტროცკისტული ოპოზიციის შეხედულებებს. ვფიქრობ, რომ მხოლოდ მანძილის სიშორემ (ქაბული—ავღანისტანი) შემიშალა მე ხელი გამეზიარებია ის ბედი, რომელიც ხვდა ჩემს პარტიიდან გამორიცხულ ამხანაგებს. ამიტომ მე მოვალედ ჩავთვალე თავი გადამესინჯა ჩემი პარტიული შეხედულებები პარტიიდან გამორიცხულის თვალსაზრისით".

დასასრულ ამხ. პრიმაკოვი სწერს:

„პარტიის, კომინტერნის აღმასკომის პლენუმის უკანასკნელი გადაწყვეტილებების სოფლად მუშაობის ღონისძიებათა მთელი სისტემა, „გამდიდრების" წვრილ-ბურჟუაზიული ლოზუნგის შეცვლა კულაკზე შეტევით) სწორია და ამტკიცებს, რომ პარტია ჯანსაღია, ხოლო ჩვენი 83-ის განცხადების პლატფორმის თეზისი ტერმიდორის შესახებ, როგორც არ უნდა განვმარტოთ იგი, სწორი არ არის. ამის გამო მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ სავსებით ვემორჩილები მე-15 ყრილობის ყველა გადაწყვეტილებას. (ადს).

## საშემოდგომო თესვის კამპანია და პარტორგანიზაცია

ახლო ხანში დაიწყება საშემოდგომო თესვის კამპანია, რომლის მიზანი არის ხელი შეუწყოს სათესი მოედნის გაფართოებასა და მეურნეობათა მოსავლიანობის გადიდებას. ამას გარდა, თესვის კამპანიის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სოციალისტური სექტორის—კოლექტიურ მეურნეობების გაძლიერებასა და განვითარებას.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა პირველ-ყოვლისა დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად კარგად იქნება მოწესრიგებული საჭირო ინვენტარისა და თესლეულის მიწოდება სოფლისათვის ცენტრალური ორგანოების მხრივ. მაგრამ მთელი კამპანია მარტო ამით არ ამოიწურება.

თესვის კამპანიის ჩატარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობას. ამ მონაწილეობის გარეშე, სოფლის ყველა კულტურულ ძალების მობილიზაციის გარეშე შეუძლებელია საშემოდგომო თესვის კამპანიამ სათანადო ნაყოფი მოგვცეს.

მაგრამ აქ ისმება საკითხი: რა კონკრეტიული ნაბიჯები უნდა გადადგას პარტორგანიზაციამ კამპანიასთან დაკავშირებით? ცხადია სოფლის უჯრედები პირველ რიგში უნდა შეუდგენ ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას წარმოებს გლეხობაში.

ეს მუშაობა უნდა შეიცავდეს აგიტაცია-პროპაგანდას წვრილ ღარიბ მეურნეობათა გაერთიანებისათვის, აგრეთვე უნდა სწარმოებდეს აგიტაცია იმისათვის, რომ გლეხობამ ყურადღება მიაქციოს თესლის გაწმენდას, აგრონომების რჩევა-დარიგებათა შესრულებას, რათა ამ გზით აწეულ იქნას მოსავლიანობა.

საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში პარტიულმა უჯრედებმა უნდა ჩააბან სოფლის აქტივი, ღარიბთა ჯგუფები, მოწინავე საშუალო გლეხობა, აგრონომები, მასწავლებლობა, ექიმები—აი ვისი საშუალებით შეიძლება ვრცელი ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლა სოფლად.

ჩვენმა ორგანიზაციებმა საზაფხულო თესვის კამპანიის დროს დაუშვეს ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა: ისინი გლეხობას აღუთქვამდენ ფართო სახელმწიფოებრივ დახმარებას ინვენტარითა და სათესლე მასალით. ასეთი დაპირება იწვევდა იმას, რომ გლეხობის ერთი ნაწილი აღარ იჩენდა საჭირო თვით-მოქმედებას და ყველაფერს მოელოდა „ზევიდან".

მომავალ კამპანიაში ძველი შეცდომები არ უნდა განმეორდეს, ადგილი არ უნდა ექნეს გადამეტებული დაპირების მიცემას გლეხობისათვის. დახმარება, რომლის გაწევასაც შესძლებს სახელმწიფო ორგანოები, არსად გაიქცევა, ამიტომაც ჩვენ ნაკლები ყურადღებით უნდა მოვეპყრათ მასზე ლაპარაკს. ჩვენი აგიტაციის ძირითადი ამოცანა უნდა იყოს განვავითაროთ გლეხთა თვით-მოქმედება, რომ საჭირო ინვენტარ-მასალების შესაძენი სახსარი ადგილობრივ, თვით გლეხობაში იქნეს გამონახული.

კლასიური ხაზის დაცვის ინტერესი მოითხოვს, რომ სოფლის პარტორგანიზაციამ ყოველგვარი ზომები მიიღოს კრედიტების, სათესლე მასალის და აგრო-დახმარებათა სხვა სახეების სწორი განაწილებისათვის. არც ერთი მარცვალი კულაკს და შეძლებულ გლეხობას, დახმარება მხოლოდ ღარიბ და კოლექტიურ მეურნეობებს—აი რით უნდა ვიხელმძღვანელოთ თესვის კამპანიის ჩატარების დროს.

კანდიდ.

## პარტიული ბუხჰალტერების შესახებ

საბჭოთა დაწესებულება თანდათანობით მუშურ სახეს იღებს. გუშინ დაზგაზე მომუშავე ამხანაგები დღეს წარმოებებს და ფაბრიკა ქარხნებს უდგანან სათავეში. ამ დაწინაურებულ მუშებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ბუხჰალტერიისა და ანგარიშის წარმოების ცოდნას.

დაწინაურებულს ხშირად ისეთ ელემენტებთან უხდება მუშაობა, რომლებიც მაინც და მაინც დიდი სიმპატიით არ უყურებენ მუშურ გლეხურ ხელისუფლებას და ყოველთვის შეეცდებიან ზიანი მიაყენონ დაწესებულებას თავისი სპეციალური ცოდნით.

ეხლა თითქმის იშვიათად შეხვდებით ისეთ დაწესებულებას, სადაც ბუხჰალტერი ან მოანგარიშე პარტიული იყოს. ამ სერიოზულ საკითხს არავითარი ყურადღება არ ექცევა და ჯერაც არ არის მოგვარებული.

მუშების დაწინაურებასთან ერთად აუცილებელია, დაისვას საკითხი პარტიულ ამხანაგებიდან ბუხჰალტრებისა და მოანგარიშეების მომზადების შესახებ, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან წარმოების აღორძინების საქმით, როგორც საკუთარი ხელისუფლების ინტერესების ერთგული მუშაკები.

საჭიროა ამ საკითხს დროზე მიექცეს ყურადღება და მოეწყოს შესაფერისი კურსები.

—ლო.

# კომკავშირში

## მეორე დივიზიის კონფერენცია

გუშინ, დილის 9 საათზე, მე-2-ე საარტილერიო ლეგიონის კლუბში გაიხსნა ამხ. ფრუნზეს სახელობის ქართულ მსროლელ დივიზიის კომკავშირის კონფერენცია.

კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნა: ამხ. სტალინი, ბუხარინი, კალინინი, რიკოვი; ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ცხაკაია; მახარაძე, მამია ორახელაშვილი, კახიანი; მილჩაკოვი, ლევანდოვსკი; ვასილიევი და ბუდიონი.

ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნების შემდეგ, დღის წესრიგში დამტკიცდა: 1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე, 2) ს. ა. ლ. კ. კ ცეკას ანგარიში, 3) დივპოლიტგანყოფილების მოხსენება, 4) დივმეთაურის მოხსენება.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ს. ლ. კ. კ. ცეკას წარმომადგენელი ამხ. ბუჯიაშვილი.

ის უმთავრესად შეეხო კომკავშირის მორიგ ამოცანებს, მე-8 საკავშ. ყრილობასთან დაკავშირებით და განმარტა თვითკრიტიკისა და კულტურულ რევოლიუციის საკითხები. დღეს კომკავშირის ორგანიზაციას—სთქვა მან,—მეტი პასუხისმგებლობა აწევს, საჭიროა გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობის ყველა ფორმები, საჭიროა მუშაობის ხარისხის აწევა. ამით ჩვენ შევძლებთ მშრომელ ახალგაზრდობას ლენინურად, ბოლშევიკურად აღზრდას. ამხ. ბუჯიაშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. დოლიძემ, გაგლოევმა, კვირკველიამ, კერესელიძემ, ქანთარიამ, ბოკერიამ; და მალანიამ.

ორატორები აღნიშნავდენ სამოქალაქო უჯრედების სუსტ კავშირს კომკავშირის სამხედრო უჯრედებთან, უთითებდენ სოფლად მუშაობის, და ანტირელიგიური პროპაგანდის სუსტ მხარეებზე.

კამათის დასრულების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ბუჯიაშვილის საბოლოო სიტყვა, რომელშიაც მან ამომწურავი პასუხი გასცა მოკამათეებს.

# პარტიული ხაზი და სამეურნეო პრაქტიკა

## ამხ. მოლოტოვის სიტყვა ს. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე 1928 წლის 30 ივნისს

ამხანაგებო! დამეთანხმებით, რომ მოსკოვის კომიტეტის დღევანდელს პლენუმზე დასმა საკითხის საფეიქრო მრეწველობის მდგომარეობის შესახებ მიზანშეწონილია. საფეიქრო მრეწველობა წარმოადგენს მრეწველობის ერთ-ერთ ძირითად დარგს. ამ დარგის შემოსავალი, როგორც მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგის შემოსავალი, ხმარდება არა მარტო თვით ამ დარგის განვითარებას, არამედ მეურნეობის სხვა დარგების ხელის შეწყობასაც. ზრუნვა საფეიქრო მრეწველობისათვის, მისი დაცვისა და გაშლა-გაფართოებისათვის შეადგენს ისეთი ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანას, როგორც არიან მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკის და ვლადიმირის ორგანიზაციები, მეტიც — იგი მთელი პარტიის, პროფკავშირების და სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანასაც შეადგენს. ჩვენ მთელი ძალღონით უნდა წავწიოთ წინ საფეიქრო მრეწველობა — უნდა წავწიოთ ბამბის საქმეც, მატყლის საქმეც, სელის საქმეც, ხელოვნური აბრეშუმის საქმეც და სხვ. მუშაობა ამ დარგში პირდაპირ განუზომელია.

კამათმა დღევანდელს პლენუმზე აშკარად დამარწმუნა, რომ ისეთ პარტიულ ორგანოებში, როგორიც არის მოსკოვის კომიტეტი, დაგროვდა დიდძალი პრაქტიკული გამოცდილება, ამასთან მეტად გამოსადეგი და მრავალმხრივი გამოცდილება. ჩვენ ყველამ — მოსკოვის კომიტეტის წევრებმა, და განსაკუთრებით სამეურნეო მუშაკებმა, გულდასმით უნდა შევისწავლოთ ის, რაც აქ სთქვეს როგორც დაზგაზე უშუალოთ მომუშავე ამხანაგებმა, ისე სამეურნეო, პროფესიონალური და პარტიული მუშაობის სხვადასხვა დარგების ხელმძღვანელებმა.

აქ იყო საკმაო კრიტიკაც ჩვენი ნაკლისა და დეფექტების—გაჰკიცხეს ეს ნაკლულოვანებანი და დეფექტები. თითქმის ყველა სიტყვაში შეეხნენ ამას — გაიხსენეს ჩვენი დეფექტები კაპიტალურ მშენებლობაში, გაიხსენეს ნედლეულით მომარაგების მოუგვარებლობა, გაიხსენეს შეცდომები 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის პრაქტიკაში და სხვ., აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ხაზი გაუსვეს სერიოზულ მინუსებს მუშათა ყოფა - ცხოვრებაში. ამასთან აშკარავდება, რომ მუშებს არა მარტო გული შესტკივათ ჩვენი დეფექტებისა და შეცდომების გამო, — ისინი საუცხოვოდაც ერკვევიან ამ შეცდომებში. ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს საერთოდ აქ გამოსული ამხანაგების სიტყვები.

როგორც მაგალითზე, შევჩერდები მხოლოდ ვისოკოვსკის ფაბრიკის მუშა - ქალის ამხ. ლაზარევას სიტყვაზე. მის მოკლე სიტყვაში ბევრი რამ არის ჭკუის სასწავლებელი. ამხ. ლაზარევა შეჩერდა წარმოების რაციონალიზაციის გატარებაზე საფეიქრო მრეწველობაში და იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მშენებლობა და როგორ არის დაყენებული ფაბრიკების მომარაგება დამხმარე მასალით; მან ილაპარაკა საწარმოო თათბირების მუშაობაზე და შრომის დაცვის საქმის მდგომარეობაზე; იგი შეეხო არაკვალიფიციური მუშა-ფეიქრების მდგომარეობას და ურთიერთობის საკითხს საშუალო და მაღალ ტექნიკურ პერსონალს შორის; დასასრულ, აღნიშნა დამახასიათებელი მომენტები 7 საათის სამუშაო დღის გატარების პრაქტიკიდან. ამხ. ლაზარევამ ვისოკოვსკის ფაბრიკის მაგალითზე ცხადად დაგვანახვა ის დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვთ ყველა ამ დარგში, და გულახდილი პროლეტარული სიტყვებით გაგვაგება, როგორ უყურებენ მუშები იმ უხეშ შეცდომებს, რომლებიც თან სდევენ ჩვენ მუშაობას. მან სთქვა: როდესაც მუშები ხედავენ, რომ ჩვენი ორგანიზაციები უგულოთ ეკიდებიან საქმეს და უყურადღებოთ სტოვებენ მუშების საჭიროებებს, ისინი დაურიდებლად გლანძღავენ ყველა თქვენ და ამბობენ: „არაფრად ვარგა არც ფაბრიკა, არც პარტია და არც საბჭოთა ხელისუფლებაო. როგორც ხედავთ, მაგარი სიტყვებია და ამაზე მაგრა აღარც კი შეიძლება თქმა. ამავე დროს ყოველივე იმას გვეუბნება, რომ მუშები ხანდახან სწორედ იმიტომ ლანძღავენ ასე მაგრა ჩვენ ორგანიზაციებს, რომ ეს ორგანიზაციები თავიანთ ორგანიზაციებათ მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მოვალენი არიან გულდასმით ადევნონ თვალყური წარმოებას და სწრაფად მოუღონ ხოლმე ბოლო ყველა იმ ნაკლს, რომელსაც მუშა ყოველ ნაბიჯზე ხვდება მუშაობის დროს და ყოფა-ცხოვრებაში. ასე ეპყრობა პარტიას და ხელისუფლებას ის, ვისაც ერთიც და მეორეც **თავისად** მიაჩნია, ვინც ფიქრობს, რომ პარტია და ხელისუფლება მისთვის **მახლობელია, მშობლიურია**.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მუშები ხშირად ძალიან მკვახედ აკრიტიკებენ და უკმეხად ახასიათებენ ჩვენს შეცდომებს პრაქტიკულ მუშაობაში. რატომ ხმარობს მუშა ასეთ მაგარ სიტყვებს იმ დეფექტების გამო, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩვენს სამეურნეო, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანოებში? არა მარტო იმიტომ, რომ მუშებმა კარგად იციან ჩვენი მუშაობის შეუწყნარებელი დეფექტები, ხედავენ ამ დეფექტებს საკუთარი თვალით, ხშირად წააწყდებიან ხოლმე მათ, არამედ იმიტომაც, რომ ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენ შეგვიძლია ამ დეფექტების აშორება, რომ შეგვიძლია საქმის ბევრად უკეთ დაყენება, რადგან ჩვენი მუშაობა კარგ საფუძველზეა დაყენებული, რადგან პარტიის ხაზი სწორია, რადგან საქმე სწორი გზით მიგვყავს. მუშებს და მუშა-ქალებს რომ სერიოზული ეჭვი შეეპაროთ ძირითად საკითხში — იმაში, მივდივართ თუ არა ჩვენ სწორი ხაზით, ხომ არ ავცდით სწორ გზას, — მაშინ შეიძლება ჩვენი პრაქტიკული მუშაობის კრიტიკაც უფრო ფრთხილი, უფრო მორიდებული ყოფილიყო, მაგრამ სამაგიეროდ იგი დაისახავდა სულ სხვა რამის მომზადებას, რაც მთელი წყობილების უარყოფით ხასიათდება. ის გარემოება, რომ პროლეტარულმა ავანგარდმა, მუშათა კლასის თითქმის მთელი მასამ ერთად, უკვე შეიგნო პარტიის ძირითადი ხაზის სისწორე სოციალიზმის მშენებლობაში — ეს გარემოება მუშების ფართო ფენებში უფრო და უფრო აძლიერებს დაბრკოლებათა, ნაკლთა და შეცდომათა აქტიურად აცილების სურვილს რევოლიუციის ცეცხლში გამობრძმედილი ბოლშევიკური კურსის გატარების საქმეში. საჭიროა მხოლოდ დავეხმაროთ ამ პროლეტარული აქტივობის განვითარებას იმ ბრძოლაში, რომლის მიზანსაც შეადგენს ჩვენს მუშაობაში მრავალრიცხოვანი მინუსების დაძლევა. ამ საფუძველზე მუშათა კლასის მხრივ თვითკრიტიკის გაშლა - გაღრმავება განსაკუთრებით საჭიროა ამჟამად, იგი ეხლანდელი მომენტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს.

ეხლა შევჩერდები ცალკე საკითხებზე.

### 7 საათის სამუშაო დღის გატარების შესახებ

აქ გამოსულმა ამხანაგებმა საკმაო მაგალითი მოიყვანეს იმის, თუ რა საძაგლათ ტარდება 7 საათის სამუშაო დღე საფეიქრო წარმოებებში. ამხანაგებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს თავიანთი ალტაცების გამოთქმა პროლეტარიატის ამ უდიდესი გამარჯვების განხორციელების ფაქტის წინაშე. პირიქით, მათ მთელი თავიანთი ყურადღება მიაპყრეს ჩვენი პრაქტიკის კრიტიკას ამ საქმეში. ცალკე ამხანაგებს წინეთ ეჭვი ეპარებოდათ, მათ დროულად არ მიაჩნდათ 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. ეხლა, როგორც ცხადად გამოაშკარავდა, ასეთ ეჭვს ადგილი აღარ აქვს, ყოველ შემთხვევაში იგი დამახასიათებელი აღარ არის მუშებისათვის. რაც შეეხება პარტიის ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების გატარების პრაქტიკას,— მან სამართლიანად დაიმსახურა აქ მკვეთრი კრიტიკა. უნდა გამოვტყდეთ, რომ 7 საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად გატარების დასაწყისი ბევრ მხრივად არ იყო დამაკმაყოფილებელი

თავის დროზე პარტიამ გადასწყვიტა: **დაიწყოს** 7 საათის სამუშაო დღის გატარება **ახალი**, ე. ი. 1928-29 სამეურნეო წლიდან. ასეთივე იყო გადაწყვეტილება ცაკის საიუბილეო სესიისა. ასე მიუდგნენ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები 7 საათის სამუშაო დღის გატარების ამოცანას, მათ საკმაო დრო დასტოვეს ხსენებული ამოცანის თანდათანი შემზადებისათვის. მაგრამ ზოგგან ადგილობრივ, როგორც ეხლა ირკვევა, სათანადოთ ვერ მოემზადნენ, აჩქარდნენ და იწყეს განკარგულებების გაცემა 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ (**ხმები ადგილებიდან**: „აჩქარდა მთავრობის კომისია"). მართალია, ამ აჩქარებისთვის მთავრობის კომისიაც აგებს პასუხს. ზოგმა ჩვენმა ადგილობრივმა კომისიამ და სამეურნეო ორგანომ მოინდომეს გაესწროთ სხვებისათვის და საიუბილეო მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე გადასწყვიტეს: მოდით, პირველებმა მივცეთ 7 საათის სამუშაო დღის განხორციელების მაგალითიო. თქმა არ უნდა, კარგი კომუნისტური თვისებაა — დააჩქარო პარტიის დირექტივების განხორციელება, მაგრამ გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ შემთხვევაში დირექტივის განხორციელებას ნაჩქარევად შეუდგნენ, სერიოზულად არ მოემზადნენ, და საქმე საკმაოდ გააფუჭეს. მაგრამ ის ფაქტი, რომ 7 საათის სამუშაო დღის მართებულად ჩატარებას ხელი შეუშალეს ჩვენი ცალკე ორგანიზაციების მუშაობის უმნიშვნელო, მაშასადამე, ადვილად ასაცილებელმა, დეფექტებმა, — ეს ფაქტი საუკეთესოდ ადასტურებს ამ უდიდესი ღონისძიების მიზანშეწონილობას და დროულობას. ეხლა უფრო ცხადი გახდა, რომ 7 საათის სამუშაო დღის განხორციელების ხაზი, აღებული პარტიის მიერ, სწორი იყო, ე. ი. შეეთანხმებოდა საბჭოთა სახელმწიფოს თანამედროვე ინტერესებს, მეორეს მხრით — ამ ხაზის განხორციელების პრაქტიკამ ბევრ უსიამოვნებასთან ერთად, ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ პარტიის დიდი გადაწყვეტილების განხორციელებას აუცილებლად უნდა შეუდგეთ სერიოზული მომზადების შემდეგ.

არავის არ მოუთხოვია სამეურნეო ორგანოებისა და ადგილობრივ ორგანიზაციებისთვის — დაუყოვნებლივ, დეკრეტის გამოცემისთანავე, მოუმზადებლად, შეუდგნენ 7 საათის სამუშაო დღის განხორციელებას (**კოვალი**: „პრაქტიკულმა აუცილებლობამ მოითხოვა"). კოვალის შენიშვნა. — კოვალის, როგორც ს. მ. უ. საბჭოს მუშაკის, რომელმაც შეისწავლა ეს საქმე, — ზედმეტად ადასტურებს 7 საათის სამუშაო დღის შესახებ გადაწყვეტილების თანადროულობას, მაგრამ ეს შენიშვნა ვერ გაამართლებს იმ უხეშ შეცდომებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ უკანასკნელ თვეებში ამ საქმის გატარების დროს. სავსებით დამტკიცდა ზოგიერთი ჩვენი ორგანოების აჩქარება და მოუმზადებლობა ამ მხრივ. კერძოდ, საფეიქრო სინდიკატმა და ბამბის კომიტეტმა ვერ [illegible] ეს საქმე ნედლეულის მხრივ. შარშანდელი ნედლეულის ცუდი ხარისხი სრულებითაც არ გვაიძულებდა, რომ იმ ფაბრიკებისათვის, რომლებიც 7 საათის სამუშაო დღეზე გადადიოდენ, მიგვეწოდებია სწორედ ცუდი ხარისხის ბამბა. ეხლა არავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ რამდენიმე ფაბრიკას, რომლებიც 7 საათის სამუშაო დღეზე გადადიოდენ, ვერ უზრუნველყოფდით რიგიანი ხარისხის ნედლეულით. ამ საქმეში აშკარა შეცდომა ჩავიდინეთ. უხეირო პრაქტიკით კარგი პოლიტიკის გაფუჭებაც შეიძლება.

ნათქვამი ცხადყოფს იმასაც, თუ როგორი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ 7 საათის სამუშაო დღის შემდგომი გატარებისათვის.

ის დეფექტები, რომლებიც შედეგად მოჰყვნენ ამ გადაწყვეტილების განხორციელებას, უნდა გამოვააშკარაოთ სავსებით და სრული სიცხადით, მაგრამ გამოვააშკარაოთ არა იმისათვის, რომ უკან დავიხიოთ, არამედ იმისათვის, რომ მეტის რწმენით გავწიოთ წინ დასახული გზით. ჩვენ ეხლა უფრო გარკვევით გვაქვს წარმოდგენილი ამ საქმის განხორციელების პრაქტიკული სიძნელენი. ჩვენ გამოვიჩენთ მეტ სიფრთხილეს, მეტ მომზადებას, მეტ დარაზმვას, მეტ პროლეტარულ შეგნებას 7 საათის სამუშაო დღის გატარების საქმეში, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ურყევმანით წავალთ წინ დასახული გზით და **სავსებით** უზრუნველვყოფთ პარტიის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას.

### სამრეწველო ნედლეულის შესახებ

ეხლა გადავიდეთ საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის საკითხზე.

ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ნედლეულის მომარაგების საქმე ძალიან ცუდათაა დაყენებული. არ შეიძლება იმით დავიმშვიდოთ გული, რომ საფეიქრო მრეწველობის ზრდის ყოველწლიური პროცენტი შედარებით მაღალია. ამასთან დაკავშირებით საკმაოა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ განვიცდით საფეიქრო საქონლის უდიდეს ნაკლებობას. ამავე დროს ძირითად დაბრკოლებას საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის გადიდების საქმეში წარმოადგენს ნედლეულის ნაკლებობა, ჩვენ სამეურნეო მუშაკებისათვის ეს სავსებით აშკარაა. მაგრამ იმ მასალებში, რომლებიც ამხ. კოლევიცმა მოსკოვის კომიტეტს წარუდგინა, ეს მომენტი სუსტად არის ხაზგასმული. მაშინ როდესაც საჭირო იყო მისი სათანადოდ აღნიშვნა. ამხ. უგლანოვი მართალს ამბობს, რომ მოსკოვის კომიტეტი მიუთითებდა უმაღლეს ორგანოებს ხელის მრეწველობის ნედლეულის ცუდ მდგომარეობაზე. მაგრამ ეხლა აშკარაა — კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ ხელის მრეწველობის ნედლეულის ასეთი მდგომარეობა უფრო გადაჭრით აღნიშნულიყო. უნდა ითქვას, რომ ჩვენს საბჭოთა ორგანოებში, კერძოდ ვაჭრობის სახალხო კომისარიატში, ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან ამ საქმეს. პირიქით, ადგილი ჰქონდა ისეთ განწყობილებას, თითქოს ყველაფერი თავის რიგზე იყო. ამის გამო ხელის მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის მომარაგების საქმეში ძალიან ცუდი მდგომარეობა შეგვექმნა.

ნედლეულის საკითხი დაკავშირებულია ჩვენი პოლიტიკის ძირითად ხაზთან, ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის საკითხთან, ამიტომ მას არა მარტო ეკონომიური, არამედ ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

აქ საჭიროა მოვიყვანოთ იმის მაგალითები, თუ რამდენად ცუდად შეესაბამება ზოგჯერ ჩვენი პრაქტიკული მუშაობა პარტიის ხაზს, ე. ი. თუ როგორ ამახინჯებს ცუდი პრაქტიკა სწორ პოლიტიკას.

მოვიყვან ტყავის დამზადების მაგალითს.

ამ შემთხვევაში ტყავითის სინდიკატის მუშაობის პრაქტიკამ აშკარად დაამტკიცა რომ მის აპარატში აშკარად მომწიფდა ბიუროკრატიული ხორცმეტი. (**ხმა ადგილიდან**: „საფეიქრო სინდიკატშიაც"). ამჟამად არ ვეხები საფეიქრო სინდიკატს და, კერძოდ, არ ვეხები საკითხს — არის თუ არა იქ ასეთი „ხორცმეტები" (**სიცილი**). რაც შეეხება ტყავეულის სინდიკატს, აქ განსაკუთრებით ძლიერ იჩინა თავი ბიუროკრატიულმა მიდგომამ სახელმწიფო მრეწველობისათვის საჭირო ტყავის ნედლეულის დამზადების საქმისადმი, ნაცვლად იმისა, რომ ეფიქრათ, თუ როგორ გამოეყენებიათ ჩვენს განკარგულებაში მყოფი საშუალებანი მრეწველობისათვის საჭირო ტყავის ნედლეულის ბაზარზე ზეგავლენისა, — ტყავეულის სინდიკატმა მეტად გამარტივა თავისი ამოცანა: ფართოდ იქნა გამოყენებული უხეში ადმინისტრატიული მეთოდები სპეკულიაციასთან საბრძოლველად ტყავის ნედლეულის ბაზარზე, რამაც შეარყია მეტყავე - შინამრეწველთა მნიშვნელოვანი ფენის მდგომარეობა, ამ უკანასკნელთა მუშაობა კი ჯერ-ჯერობით საჭიროა გლეხობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ზოგიერთი ჩვენი დამსჯელი ორგანოების მუშაობასაც. ამ ორგანოებსაც უნდა შევეხოთ თვითკრიტიკის წესით (სიცილი) ტყავეულის სინდიკატმა უკვე ოქტომბრიდან მოითხოვა ისეთი ჩარევა ამ ორგანოების მხრივ ტყავის ნედლეულის ბაზრის საქმეებში, რაც (ჩარევა) ძალზე სცილდებოდა დასაშვები ადმინისტრატიული ზომების ფარგლებს, დამსჯელი ორგანოები ერთბაშად დაეთანხმნენ ამ საქმეში ტყავეულის სინდიკატს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემცდარ ხაზს ს. მ. უ. საბჭო და ვაჭრობის სახალხო კომისარიატი კი უჭერდნენ მხარს, დამსჯელი ორგანოები არ მიდიოდნენ ამ შემცდარი გზით. მაგრამ გასული წლის ბოლოს და მიმდინარე წლის დასაწყისში ადმინისტრატიული ზომების პრაქტიკა ტყავის ნედლეულის ბაზარზე აშკარად გადასცდა სპეკულიანტებთან საჭირო ბრძოლის ნორმალურ ფარგლებს და ცალკე შემთხვევებში იქამდისაც კი მივიდა, რომ ტყავეულის შინამრეწველობას პირდაპირ ძირი გამოუთხარა, რაც უეჭველად დაუშვებელია. ამასთან ცენტრალური ორგანოების შიგადმა ადგილ-ადგილ ისე გაიგეს, როგორც რაღაცა ახალი „ლოზუნგი". ცენტრში ამ საქმეს თავის დროზე ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქციეს, ადგილობრივმა ორგანოებმა კი თავის დროზე არ აღიმაღლეს ხმა ზოგიერთი ცენტრალური დაწესებულების შემცდარ მისწრაფებათა წინააღმდეგ, და აშკარად დაადგნენ იმ გზას, სადაც ნაკლები წინააღმდეგობა მოელოდათ. არ შეიძლება არ ვლაპარაკოთ ჩვენს უაღრესად უხეშ შეცდომად ის გარემოება, რომ ამ შემცდარ ზომებს შედეგად მოჰყვა წვრილ მეტყავე - შინამრეწველთა მნიშვნელოვანი ფენის მდგომარეობის შერყევა. ამავე დროს აშკარაა, რომ ასეთი ბიუროკრატიული მეთოდებით შეუძლებელია უდიდესი სამეურნეო საკითხის—სამრეწველო ნედლეულის საკითხის გადაჭრა.

ტყავის ნედლეულის საკითხიდან გადავალ საფეიქრო მრეწველობაზე.

აშკარაა, რომ საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის საკითხი მწვავედ სდგას. სადაა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან? ეს შეკითხვა მივეცი მე „ოსვობოჟდიონნი ტრუდ"-ის ფაბრიკის დირექტორს ამხ. კალინინს, როდესაც ის ლაპარაკობდა იმ მძიმე მდგომარეობაზე, რომელიც შეიქნა მატყლის ქსოვილების მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის მომარაგების საქმეში. ამხ. კალინინმა მიპასუხა — გამოსავალი მატყლის ფასების გადიდებაშიო. დავუშვათ, რომ „ოსვობოჟდიონნი ტრუდ"-ის დირექტორ ამხ. კალინინის წინადადება რამდენიმედ სწორი იყო, ჩვენთვის აშკარაა, რომ ამ შემთხვევაშიაც მისი პასუხი საკმაო არ არის. მის პასუხში გაურკვეველი რჩება ის, თუ რამდენად გავადიდოთ ამ შემთხვევაში ფასი? ჩვენ ხომ კაპიტალისტური ქვეყანა არა ვართ, რომ ჩვენში შეიძლებოდეს ლაპარაკი ბაზრის სრულ თავისუფლებაზე და, მაშასადამე, თუნდაც იმავე ნედლეულის ფასის ყოველგვარ გადიდებაზე. თუ კაპიტალისტური წყობილების პირობებში საქონლის ფასი წარმოადგენს ბაზრის, ხოლო ბაზრის მეშვეობით მთელი მეურნეობის, ძირითად და გადამწყვეტ რეგულიატორს, საბჭოთა კავშირში თუმცა ფასი წარმოადგენს ჩვენს მეურნეობაზე ზეგავლენის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, მაგრამ მისი როლი სულ უფრო და უფრო იზღუდება, ვინაიდან სახელმწიფო გეგმიანად აწესრიგებს მთელ მეურნეობას. რაც შეეხება კერძოდ მატყლის ფასებს, უნდა აღინიშნოს, რომ მატყლის ფასების ინდექსი ეხლაც ეკუთვნის სახ.-სამ. პროდუქტების განსაკუთრებით მაღალი ინდექსების რიცხვს, მაშასადამე, ამ შემთხვევაშიაც, თუმცა ფასის საკითხი (მიუხედავად იმ სიფრთხილისა, რომლითაც საჭიროა ამ საკითხისადმი მიდგომა) უნდა ვაღიაროთ ამ პროდუქტის გადიდების ერთ-ერთ საშუალებად, არ უნდა დავივიწყოთ ის დანარჩენი მეთოდები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს მოეპოვება სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის გასადიდებლად.

საბჭოთა ხელისუფლება ანგარიშს უწევდა იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა მეცხვარეობისათვის რევოლიუციის წლებში. ამ მეურნეობამ გაიარა თითქმის სრული განადგურების საფეხური. ამიტომ მეცხვარეობის აღსადგენად საბჭოთა ხელისუფლება მთელ რიგ არსებით შეღავათებს ანიჭებდა ამ მეურნეობას, როდესაც ატარებდა თავის პოლიტიკას სოფლად. ჩვენში მეცხვარეობის მეურნეობაში დღემდე მოიპოვებიან უმდიდრესი კერძო მესაკუთრენი და პირდაპირ მილიონერებიც კი. ჩვენ იძულებულნი ვიყავით განსაზღვრულ დრომდე დაგვეშვა ისეთი მდგომარეობა, რომ მეცხვარეობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ და ეხლაც თამაშობენ მსხვილი კერძო მესაკუთრენი, რომლებსაც რამდენიმე ათასი, ზოგჯერ კი 15-20.000 სული ცხვარი ჰყავთ. (ხმა: ეს გამონაკლისია).

რა თქმა, უნდა ასეთ მდგომარეობას ჩვენში შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა მეურნეობის მხოლოდ ცალკე დარგებში და ისიც მხოლოდ გამონაკლისის წესით. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ დროებითაც კი არ შეგვეძლო სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის ყველა დარგში მიზნად დაგვესახა საშუალო და მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობათა განვითარება. გამონაკლისი დავუშვით მხოლოდ მეცხვარეობის განვითარებაში.

მაგრამ ამ დარგშიაც ნამდვილი გამოსავალი ჩვენი მეურნეობისათვის, როგორც სჩანს, სხვაგან უნდა ვეძიოთ. ჩვენ რომ ჩვენი ამოცანა სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის განვითარების საქმეში განგვესაზღვრა იმით, რომ ფასების აწევით წაგვეხალისებია მეურნეობის სათანადო დარგები, ეს ხელს შეუწყობდა კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერებას და უფრო მეტ განვითარებას მეურნეობის ამ დარგებში. ამაში აუცილებლად უნდა დაგვეთანხმოს „ოსვობოჟდიონი ტრუდ"-ის დირექტორი ამხ. კალინინი. ამიტომ მრეწველობის ნედლეულის ბაზის განვითარების საქმეში, ფასის საკითხის გარდა, ჩვენს წინაშე უნდა იდგეს მიზნის მიღწევისათვის საჭირო სხვა გზების, სხვა მეთოდების საკითხიც. ქვემოდ ვიტყვი, სახელდობრ — რა მეთოდებზე უფრო უნდა ფიქრობდნენ ჩვენი სამეურნეო ორგანოები, ჩვენი საფეიქრო მრეწველობის, ტყავეულის მრეწველობის მუშაკები და ყველა ის, ვინც სასოფლო - სამეურნეო ნედლეულზე მუშაობს.

არის მრეწველობის ორი დარგი — ბამბის ქსოვილების და შაქრის, სადაც სამეურნეო მუშაკებმა გამონახეს ახალი საშუალებანი ნედლეულის მისაღებად. მრეწველობის ამ ორ დარგში ნედლეულის დამზადება უკანასკნელ წლებში სწრაფად მიიწევს წინ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგებში ფასების ინდექსი ნაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე მატყლის ინდექსი (აი ინდექსები, რომლებიც გვიჩვენებენ ეხლანდელი ფასების შეფარდებას ომამდე არსებულ ფასებთან: ბამბის 1,29, ჭარხლის 1,29, მატყლის 1,75). ეს შესაძლებელი გახდა იმ უაღრესად აქტიური მონაწილეობის გამო რომელსაც ღებულობდნენ და ღებულობენ ნედლეულის ბაზის (ბამბის, ჭარხლის) განვითარებაში ბამბის და შაქრის მრეწველობა: მათ ფართოდ განავითარეს კონტრაქტაციის პრაქტიკა თავიანთი ნედლეულის რაიონებში. ამაზე საკმაოდ ბევრი ითქვა პარტიის მე-15 ყრილობაზე. ეხლა ერთხელ კიდევ უნდა ითქვას, რომ ბამბის და შაქრის მრეწველობის მუშაობის პრაქტიკა მათთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის განვითარების საქმეში ფართოდ უნდა გამოიყენონ მრეწველობის სხვა დარგებმაც. უნდა ჭკუა ვისწავლოთ ამ უმდიდრეს გამოცდილებაზე.

მართლაც, რატომ არ შეიძლება ეს სელის მრეწველობაში, აგრეთვე მატყლის და ტყავეულის მრეწველობაში? ვერავინ ვერ დაამტკიცებს, რომ ამ დარგებშიაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ასეთივე მეთოდები სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის სწრაფი განვითარებისთვის. ჩვენი სამეურნეო მუშაკები მარტო იმაზე კი არ უნდა ფიქრობდნენ, რომ მიიღონ ნედლეული ფასების აწევის გზით,— ისინი სოფელშიც უნდა წავიდნენ და უშუალო კავშირი დაამყარონ მრეწველობის სათანადო დარგებსა და სასოფლო - სამეურნეო წარმოების შორის. ნედლეულის მნიშვნელოვნად გადიდება ეხლაც შესაძლებელია მრეწველობის ისეთი დარგებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან ნედლეულის ნაკლებობას. მაგრამ ამისთვის **ჩვენი მრეწველობა ღრმად უნდა შეიჭრას სოფლად**. დროა შეიგნონ ეს საფეიქრო მრეწველობის, ტყავეულის მრეწველობის მუშაკებმა, და არა მარტო ამ მუშაკებმა. სანამ ისინი ამას არ შეიგნებენ, მრეწველობის სათანადო დარგების განვითარება ძალიან შეფერხდება. პარტია უნდა მიუთითოს ჩვენს სამეურნეო მუშაკებს ამ ამოცანაზე, მიუთითოს კერძოდ იმაზე, რომ ჩვენი საფეიქრო მრეწველობა, მისი **მთავარი სამმართველოები და ტრესტები** უნდა წავიდნენ სოფელში, უნდა დაუკავშირდნენ გლეხურ მეურნეობას მოქნილი, ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ხელშეკრულებებით, რაც შეიძლება **მჭიდროდ და მკვიდრად** უნდა დაუკავშირდნენ გლეხურ მეურნეობას კონტრაქტაციის უკვე ნაცადი მეთოდის ფართოდ გამოყენებით. ამ მეთოდით მრეწველობა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის მნიშვნელოვნად დაჩქარებას და ამით ხელს შეუწყობს ღარიბ და საშუალო გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამასთან ერთად უზრუნველყოფს მრეწველობისთვის მეტი სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის მიწოდებას. აქედან სჩანს, რომ კონტრაქტაციის მეთოდს, მისი სახეების და პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვაობას, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ქალაქისა და სოფლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური დაკავშირების საქმეში. კონტრაქტაციის მეთოდი უნდა განვითარდეს პურის დამზადების საქმეშიაც. მართალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეურნეობათა უდიდეს მასასთან, ხოლო ეს მეურნეობანი გაფანტულნი არიან უდიდეს ტერიტორიაზე, ასე რომ სათანადო ღონისძიებათა (კონტრაქტაციების) ფართოდ განვითარებას აქ ბევრად უფრო მეტი დაბრკოლება ეღობება. მაგრამ ამ მეთოდს აქაც უკვე ფართოდ იყენებენ. რაც შეეხება მრეწველობისათვის საჭირო სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის მიღებას, აქ ეს ახალი მეთოდები მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დაკავშირებისა (კონტრაქტაცია) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა დაისახონ ჩვენმა სამრეწველო ორგანოებმა (ტრესტებმა და სხვ.).

ეს იმას ნიშნავს აგრეთვე, რომ ჩვენ მეტი უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ დავაკავშიროთ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ღონისძიება სოფლის მიმართ სახელმწიფო მრეწველობისათვის აუცილებელ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების მიღების საჭიროებასთან. ყოველ წლობით უფრო და უფრო მეტ სასოფლო - სამეურნეო მანქანებს ვგზავნით სოფელში. რატომ არ შეგვიძლია ამ მანქანების მიწოდება დაუკავშიროთ სოფლისგან პურისა და ნედლეულის მიღებას? ჩვენ ათეულ მილიონ ფუთ თესლს ვაძლევთ სოფელს. რატომ არ შეგვიძლია დაუკავშიროთ ეს საქმე ჩვენთვის საჭირო ნედლეულის და პურის მიღებას? რატომ არ შეიძლება ასეთივე კავშირი დავამყაროთ სოფლისათვის გადაგზავნილ მინერალური სასუქის მიმართ? ასევე უნდა ითქვას სასოფლო-სამეურნეო კრედიტზე, რომლის სისტემის მეშვეობით ტარდებიან უდიდესი სახელმწიფოებრივი სახსრები. აი რაზე ვფიქრობთ ჩვენ ცოტას, აი რა მიგვყავს ცუდად. თუ ამაზე მომავალშიაც სერიოზულად არ ვიფიქრეთ, აუცილებლად ჩამოვრჩებით მოვლენათა მსვლელობას, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ვიქნებით ჩვენი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეში.

ნათქვამიდან აშკარაა, თუ რა მიმართულებით უნდა ვეძიოთ ის სახსრები და მეთოდები, რომლებიც გააძლიერებენ მრეწველობისთვის საჭირო სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის მარაგს. ისიც აშკარაა, რომ ამ მეთოდებთან საერთო არაფერი არა აქვს იმ მეთოდებს, რომლებიც მე დავახასიათე ტყავეულის მრეწველობის მაგალითით. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ჩვენი ხაზის დამახინჯება ტიპიური ბიუროკრატიული პრაქტიკით. რაც შეეხება სწორ ხაზს მრეწველობისთვის საჭირო სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის მიღების საქმეში, იძულებული ვარ მივუთითო ამხანაგებს, რომ მეტი ყურადღებით წაიკითხონ ის, რაც უკვე არის ამის შესახებ პარტიის გადაწყვეტილებებში (მაგალითად, მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1903 პარტიის მეორე ყრილობის 25 წ. თავისათვის 1928

## ს. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტისის და სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თეზისები

1. მეორე ყრილობის მნიშვნელობა ჩვენი პარტიის ისტორიაში და მუშათა ინტერნაციონალური მოძრაობის ისტორიაში უაღრესად დიდია.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველმა ყრილობამ, რომელმაც ფორმალურად გამოაცხადა პარტიის დაარსება, ვერ შესძლო დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული წრეების **პრაქტიკულად გაერთიანება** მთლიან ცენტრალიზაციაქმნილ ორგანიზაციად. მეორე ყრილობის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იმაშია, რომ მან **დაამთავრა** ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებდა „ისკრა“ მუშათა ცენტრალიზაციაქმნილი პარტიის დასაარსებლად, და საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიზმს, „როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობის და როგორც პოლიტიკური პარტიის“ (ლენინი, ტ. XVII, გვ. 118), **ჩამოყალიბებას**. პარტიის წინაშე მდგომი საპროგრამო, ტაქტიკური და საორგანიზაციო პრობლემების გადაჭრა, რომელიც ლენინმა მეორე ყრილობაზე მოგვცა და რომელიც დაუპირისპირდა ყოველგვარ ოპორტუნიზმსა და შემთანხმებლობას, წარმოადგენდა რევოლიუციონური მარქსიზმის პრინციპების ყველაზე უფრო გარკვეულ ჩამოყალიბებას მუშათა იმ დროის მთელს ინტერნაციონალურს მუშაობაში.

2. როგორც იდეური მიმდინარეობა, რუსეთის სოციალ-დემოკრატია წარმოიშვა 1883 წელს, როდესაც „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა პირველად ჩამოაყალიბა სისტემატიურად სოციალ-დემოკრატიული შეხედულებები რუსეთის პირობებთან შეფარდებით. მე-90 წლების სამრეწველო აღორძინების და მუშათა მოძრაობის ზრდის ფონზე იქმნებიან ელემენტები მუშათა მასიური პოლიტიკური პარტიისათვის. უკვე 1894—95 წლებში მარქსისტული წრეების მუშაკები და განსაკუთრებით „ბრძოლის კავშირები“ ხელმძღვანელობენ მუშათა კლასის მასიურ საგაფიცვო მოძრაობას. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველმა ყრილობამ (1898 წ.) ფორმალურადაც შექმნა პარტია.

3. მაგრამ 1898 წლიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში იწყება მესამე პერიოდი—„დაქსაქსვის, დაშლის, მერყეობის პერიოდი“. სწორედ ამ დაქსაქსვისა და მერყეობის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა ეგრედ წოდებული „ეკონომიზმი“, რომლის თეორეტიული წყარო იყო რუსეთის „ლეგალური მარქსიზმი“ და დასავლეთ ევროპის რევიზიონიზმი (ბერნშტეინის მიმართულება).

ეკონომიზმის, ისე, როგორც დასავლეთ-ევროპის ოპორტუნიზმის, შინაარსი განისაზღვრებოდა რევოლიუციონური მარქსიზმის უარყოფით და მის ნაცვლად რეფორმიზმის წამოყენებით. პროლეტარული რევოლიუციის მაგიერ—კაპიტალიზმის მშვიდობიანი შეზრდა სოციალიზმში; თვითმპყრობელობის რევოლიუციონური გზით დამხობის მაგიერ—კაპეიკებისათვის ბრძოლა და „გზადაგზა“ მეფის რეჟიმის თანდათანობით გადაკეთება რეფორმების საშუალებით; მუშათა კლასის საერთო ინტერესებისათვის ბრძოლის მაგიერ—ბრძოლა მისი განცალკევებული ჯგუფების ცეხური ინტერესებისთვის,—ასეთია ძირითადი დებულებები შეხედულებათა იმ სისტემისა, რომელმაც „ეკონომიზმის“ სახელწოდება მიიღო. ხოლო ამ შეხედულებებთან შეფარდებით ცენტრალიზაციაქმნილი და მომქმედი, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლების ხელმძღვანელი რევოლიუციონური პარტიის მაგიერ—დაქსაქსული და ავტონომიური წრეები და ჯგუფები, რომლებიც კუდში მისჩანჩალებენ მუშათა კლასის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ფენებს და რომლებიც ჰქმნიან არა პროლეტარიატის პოლიტიკურ ორგანიზაციას, არამედ მხოლოდ ურთიერთ დამხმარე კასებს, საგაფიცვო კომიტეტებს და მუშების სხვა წმინდა ეკონომიურ გაერთიანებებს.

ეკონომისტები უარჰყოფდნენ მუშათა კლასის პოლიტიკურ აღზრდას და მის კლასობრივი შეგნების განვითარებას, უკეთეს შემთხვევაში ისინი თანახმანი იყვნენ ებრძოლნათ მხოლოდ ლიბერალურ პოლიტიკური რეფორმებისათვის და ყოველმხრივ აფერხებდნენ ცენტრალიზაციაქმნილი პარტიის დაარსებას. ამით ეკონომისტები მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეს ხელში უგდებდნენ ბურჟუაზიას, ბურჟუაზიულ გავლენის ქვეშ აქცევდნენ პროლეტარიატს და შეუძლებლად ხდიდნენ მის ჰეგემონიას რუსეთში მოსალოდნელ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციაში. ისინი წარმოადგენდნენ მომავალი მენშევიზმის წინამორბედებს.

4. მე-20 საუკუნის დასაწყისი რუსეთში ხასიათდება რევოლიუციის სწრაფი განვითარებით. 1899—1903 წლების სამრეწველო კრიზისმა, რომელიც მრეწველობის ბევრ დარგში ხანგრძლივ დეპრესიად გადაიქცა, ხელი შეუწყო საგაფიცვო ბრძოლის გაძლიერებასა და გამწვავებას. ამავე დროს ბურჟუაზიის კავშირმა თვითმპყრობელობასთან და ბურჟუაზიის მიერ საპოლიციო აპარატის გამოყენებამ მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიწვია ეკონომიური ბრძოლის სწრაფი გარდაქმნა პოლიტიკურ ბრძოლად.

პროლეტარიატის პოლიტიკური აქტივობა გავლენას მოსახლეობის დანარჩენ კლასებზედაც ახდენს; ის აფხიზლებს მათ, აყენებს მათ თვითმპყრობელობასთან პოლიტიკური ბრძოლის გზაზე. პურის ფასების ზრდის და სოფლის კაპიტალიზაციის გაძლიერების გავლენით ღვივდება გლეხთა მოძრაობა. იზრდება დემოკრატიულ ინტელიგენციის, სტუდენტობის მოძრაობა. ცხოველდება ლიბერალური ბურჟუაზიის მოძრაობაც, პირველ რიგში საერობო მოძრაობა. 1902 წელს საზღვარგარეთ სტრუვეს რედაქტორობით იწყება ლიბერალური ჟურნალის „ოსვობოჟდენიე“-ს გამოცემა. ეს ჟურნალი რუსეთში არალეგალურად ვრცელდება.

რევოლიუციის სწრაფი განვითარების ასეთ პირობებში პროლეტარული პარტიის იდეოლოგიური უმწეობა, მისი ორგანიზაციული სისუსტე და ჩამოუყალიბებლობა, რაც ეკონომიზმის ბატონობით აიხსნებოდა, საფრთხეს უქმნიდენ მომავალ ბრძოლაში პროლეტარიატის საერთო დემოკრატიული და კლასობრივი ამოცანების განხორციელების შესაძლებლობას. მოძრაობის ძირითად ამოცანას შეადგენდა ეკონომიზმის დაძლევა და ცენტრალიზაციაქმნილი, დისციპლინით გამაგრებული პარტიის შექმნა, რომელსაც უნდა შესძლებოდა ხელმძღვანელობა გაეწია პროლეტარიატისათვის და დაეცვა მისი ჰეგემონია მოახლოვებულ რევოლიუციაში.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დაამარცხებდა ცალკე სოციალ-დემოკრატიული წრეების რეფორმისტულ მერყეობას და აღმოფხვრიდა ეკონომისტების გავლენას სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში, პროლეტარული პარტია შეჰქმნიდა ბაზას მკაფიო კლასობრივი ხაზის გასატარებლად მომავალ რევოლიუციაში. ეს ამოცანა — „დაქსაქსვის, დაშლის, მერყეობის პერიოდის ლიკვიდაცია“ —წილად ხვდა ლენინის „ისკრა“-ს. რეფორმიზმის წინააღმდეგ ის აწარმოებდა ბრძოლას საპროგრამო, ტაქტიკური და ორგანიზაციული ხაზით. ძველი „ისკრა“-ს დამსახურება რეფორმიზმთან ბრძოლაში იმაში მდგომარეობს, რომ მან:

ა) შეიმუშავა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა**, ყველაზე უფრო ორთოდოქსალური და მარქსისტულად მტკიცე პროგრამა მეორე ინტერნაციონალის ყველა სხვა პარტიის პროგრამებიდან;

ბ) დასახა თანმიმდევრობითი რევოლიუციონური პროლეტარული **ტაქტიკის** საფუძვლები. ეს ტაქტიკა ბოლოს უღებდა ბურჟუაზიის გაუბედაობას და პროლეტარიატის მხარეზე გადმჰყავდა გლეხობა, როგორც მისი მოკავშირე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციაში.

გ) ჩამოაყალიბა და დაასაბუთა **საორგანიზაციო პრინციპები**, რომლებიც უზრუნველჰყოფენ იმის შესაძლებლობას, რომ არალეგალურ პროლეტარულ პარტიას მოქნილი და მტკიცე ხელმძღვანელობა გაეწია თავისი კლასისათვის;

დ) თავისი პრაქტიკული მუშაობით სოციალ-დემოკრატიული წრეების გაერთიანებლად მოამზადა ბაზა **ასეთი პარტიის** შესაქმნელად—გამომუშავებულ საპროგრამო, ტაქტიკური და საორგანიზაციო პრინციპების საფუძველზე.

## „ისკრა“ (1900--1903) წ.

1. „ისკრა“-ს მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ლენინი, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას მის დასაარსებლად, როდესაც ციმბირში იყო გადასახლებული. ლენინის ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ პსკოვის თათბირზე 1900 წლის მაისში რედაქციაში სამუშაოდ გამოყოფილ იქნენ ლენინი, მარტოვი და პოტრესოვი, სამივე პეტერბურგის ბრძოლის კავშირის მუშაკი 1894—96 წლებში. საზღვარგარეთ ჩასვლის შემდეგ ლენინმა „ისკრა“-ს გამოცემის საქმეში მიიზიდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი, რომელმაც პლეხანოვის, აქსელროდის და ზასულიჩის სახით მკაცრად გაილაშქრა ეკონომიზმის წინააღმდეგ. ამრიგად, „ისკრა“ წარმოადგენდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი პერიოდის ორი უდიდესი ორგანიზაციის—„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის და „ბრძოლის კავშირების“ მემკვიდრეს.

2. **პროგრამის** დარგში „ისკრა“ დაუზოგავ ბრძოლას აწარმოებდა ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ. მის მიერ შემუშავებული პროგრამის პირველი პრინციპიალური ნაწილი შეიცავდა კაპიტალიზმის განვითარებისა და მისი აუცილებელი დაღუპვის ძირითადი კანონების ორთოდოქსალურ-მარქსისტულ დახასიათებას. პროგრამა კატეგორიულად უარყოფდა ყველა იმ „შესწორებას“, რომელიც შეჰქონდათ მარქსიზმში ბერნშტეინის მიმდევრებს და ეკონომისტებს. მეორე ინტერნაციონალის ყველა პარტიის პროგრამებიდან ერთად-ერთი ეს პროგრამა აცხადებდა საჭიროდ პროლეტარიატის დიქტატურას, ე. ი. მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობას და ექსპლოატატორების დამხობას, როგორც სოციალისტური რევოლიუციის აუცილებელ პირობას. პროგრამის მეორე ნაწილი—პროგრამა-მინიმუმი—შეიცავდა პარტიის უახლოეს მოთხოვნილებებს. ეს მოთხოვნილებები მიმართული იყვნენ იმ ბატონ-ყმური ნაშთების აღმოფხვრისაკენ რუსეთში, რომლებიც ხელს უშლიდნენ კაპიტალიზმის განვითარებას და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გაფართოვებას. აქ პირველ რიგში წამოყენებული იყო: თვითმპყრობელობის დამხობა და მისი დემოკრატიული რესპუბლიკით შეცვლა, თავისუფლებათა შემოღება, 8 საათის სამუშაო დღის განხორციელება და აგრარული საკითხის რევოლიუციონურად გადაჭრა.

3. პროგრამის გამომუშავების დროს „ისკრა“-ს რედაქციაში თავი იჩინა თვალსაჩინო უთანხმოებამ, რომელმაც კინაღამ გათიშვა არ გამოიწვია.

ამ უთანხმოების შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ „ისკრა“-ს რედაქციის ნაწილი პროგრამის შემუშავების დროს ისეთ ფორმულებსა და შესწორებებს აყენებდა, რომლებიც არსებითად მოასწავებდნენ რეფორმისა და ეკონომიზმისათვის დათმობას. რედაქციას განსახილველად წარედგინა პროგრამის ორი პროექტი: ლენინისა და პლეხანოვის.

განსაკუთრებით მწვავე უთანხმოებამ იჩინა თავი იმ საკითხის გარშემო, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ყოფილიყო პროლეტარიატისა და „წვრილი მწარმოებლების“, ე. ი. გლეხობის შორის სოციალისტური რევოლიუციის მომზადებისა და გატარების მსვლელობაში. ლენინი ეყრდნობოდა რა, ერთის მხრივ, „კომუნისტური მანიფესტი“-ს ცნობილ დებულებას, რომ „**მხოლოდ** პროლეტარიატი არის ნამდვილად რევოლიუციონური კლასი“, აღნიშნავდა რა, მეორეს მხრივ, პროლეტარიატის შესაძლებელი მოკავშირის—გლეხობის მერყევ ხასიათს, ხაზგასმით მოითხოვდა თავის პროექტში, რომ პროგრამაში გარკვევით აღნიშნულიყო პროლეტარიატის ისტორიული როლი, როგორც **ჰეგემონის**, რომელსაც თავისი გზით მიჰყავს თავისი მოკავშირენი, ხოლო ამ მოკავშირეებს ის შკრებს „წვრილ მწარმოებელთა“ მასიდან, ე. ი. პირველ რიგში მშრომელ გლეხობიდან, რომლის ექსპლოატაციასაც ეწევა კაპიტალიზმი.

პირიქით, პლეხანოვის პროექტში სოციალიზმისათვის ბრძოლა გამოცხადებული იყო მთელი „მშრომელი და გაყვლეფილი მასის“ ბრძოლად, ხოლო „საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია“ პროლეტარიატის კლასობრივი პარტიიდან გადაქცეული იყო ყველა მშრომელის და გაყვლეფილის პარტიად. ამიტომ პლეხანოვის პროექტში შემთხვევით არ იყო „გამოტოვებული“ მუხლი პროლეტარიატის დიქტატურის საჭიროების შესახებ. ეს მუხლი პროგრამის საბოლოო პროექტში აღდგენილ იქნა ლენინის დაჟინებული მოთხოვნით (ლენინის კრებული, II, გვ. 78—86, 130—134).

შემდეგ პლეხანოვის პროექტში ისე რბილად იყო ჩამოყალიბებული რევოლიუციონური მარქსიზმის ბევრი თეორეტიული დებულება წვრილი წარმოების, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბედიღბლის შესახებ კაპიტალიზმის დროს, რომ ამ დებულებებს რეფორმისტულ შეხედულებათა ელფერი ეძლეოდა. ლენინი ამ პროექტის კრიტიკაში დაუშვებლად სთვლიდა დებულების ასე ჩამოყალიბებას.

დასასრულ, პლეხანოვის პროექტს ახასიათებდა ერთგვარი აკადემიზმი. პლეხანოვი იწყებდა პროექტს კაპიტალიზმის საერთო დახასიათებით, ხოლო ლენინს საჭიროდ მიაჩნდა, რომ „რუსეთის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის პროგრამა რუსეთის კაპიტალიზმის დახასიათებით (და ბრალდებით) დაწყებულიყო“. პლეხანოვის პროექტი ლენინმა დაახასიათა, „როგორც პროგრამა მოსწავლეთათვის,.. და ისიც პირველი კურსისათვის, სადაც ჯერ კიდევ რუსეთის კაპიტალიზმზე არ ლაპარაკობენ, არამედ ლაპარაკობენ კაპიტალიზმზე საერთოდ“ (ლენინის კრებული, II, გვ. 65—66).

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის **აგრარული** პროგრამის ავტორი იყო ლენინი. მისი ძირითადი იდეა იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის აუცილებლობა და უკანასკნელის რევოლიუციონური ენერგიის გამოყენება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის დროს, ცარიზმის და ბატონ-ყმური ნაშთების წინააღმდეგ. ლენინი, რომელიც პრინციპიალურად მხარს უჭერდა მოთხოვნილებას მიწის **ნაციონალიზაციის** შესახებ და აცხადებდა, რომ „განსაზღვრულ რევოლიუციონურ მომენტში, ჩვენ, რა თქმა უნდა, წამოვაყენებთ მას“, წამოაყენა წინადადება, რომ, ვინაიდან გლეხთა მოძრაობა ჯერ კიდევ ფართოდ არ განვითარებულა, პირველ ხანებში დაკმაყოფილდეთ მოთხოვნილებით გლეხობისათვის „ჩამონაჭრების“, ე. ი. 1861 წელს ჩამორთმეული მიწების, დაბრუნების შესახებ. „ისკრა“-ს რედაქციამ მიიღო წინადადება „ჩამონაჭრების“ შესახებ; მაგრამ დიდი დავა გამოიწვია დებულებამ ნაციონალიზაციის პრინციპიალურად აღიარების შესახებ. აქ, ეჭვს გარეშეა, თავი იჩინა ყველა მენშევიკისათვის დამახასიათებელმა გარემოებამ, რომ მათ არ ესმოდათ გლეხური მოძრაობის რევოლიუციონური ხასიათი და ეშინოდათ გლეხური რევოლიუციის ფართოდ განვითარებისა,—რევოლიუციის, რომელიც მიწის ნაციონალიზაციის ლოზუნგით უნდა ჩატარებულიყო.

უთანხმოებამ „ისკრა“-ს შიგნით, პლეხანოვის ჯიუტობის გამო, კინაღამ გათიშვა გამოიწვია. ეკონომისტების წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შენარჩუნებისა და გათიშვის თავიდან აცილების მიზნით, გადასწყდა მიეღოთ პლეხანოვის პროექტი საფუძვლად, ხოლო ლენინის საპროგრამო წერილიდან ამოეშალათ ის ადგილი, სადაც მიწის ნაციონალიზაციის შესახებ იყო ლაპარაკი. პარტიის პროგრამის პროექტში ლენინის დაჟინებით, სპეციალური კომისიის მიერ შეტანილ იქნა მთელი რიგი შესწორება. საბოლოო, ლენინისთვის უკვე მისაღები სახით პროექტი გამოქვეყნდა როგორც „ისკრა“-ს მთელი რედაქციის პროექტი.

4. **ტაქტიკის** საკითხებში ეკონომისტების უპრინციპო კუდში ჩანჩალის წინააღმდეგ „ისკრა“ იცავდა პროლეტარიატის ჰეგემონიას რევოლიუციონურ მოძრაობაში და აღნიშნავდა, რომ მუშათა კლასმა უნდა აწარმოოს **ყოველ-მხრივი** პოლიტიკური მოქმედება და გავლენა მოახდინოს საზოგადოების **ყველა** კლასზე რევოლიუციონური მიმართულებით.

„ისკრა“-ს ტაქტიკა **ლიბერალიზმის** მიმართ შეიძლება გავყოთ ორ პერიოდად. 1902 წლამდე, როცა ლიბერალური მოძრაობა მეტად სუსტი იყო, „ისკრა“ მოუწოდებდა მუშებს „გამოეფხიზლებიათ“ ლიბერალ. ბურჟუაზია და ლიბერალების ორჭოფობისა და გაუბედაობის მხილებასთან ერთად წაეყვანათ ისინი მარცხნივ, უფრო გაბედული ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და კერძოდ არალეგალური პარტიის შექმნისაკენ.

ბურჟუაზიულ-ლიბერალური მოძრაობის ჩამოყალიბებასთან ერთად, „ისკრა“ აძლიერებდა მის კრიტიკასა და მხილებასაც. როცა ლიბერალები გამოვიდნენ თავიანთი არალეგალური ჟურნალ „ოსვობოჟდენიე“-თი (1902 წ.) და საკუთარი პოლიტიკური პროგრამით, „ისკრა“-მ, რა თქმა უნდა, მიზნად დაისახა არა უკვე გამოღვიძებული ლიბერალური ბურჟუაზიის ოპოზიციონური სულიერი განწყობილების „ამოძრავება“, არამედ მისი ოპოზიციონური უილაჯობისა და გაუბედაობის რევოლიუციონური კრიტიკა.

5. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ თვით „ისკრა“-ს რედაქციის შიგნით, გარდა პროგრამულ უთანხმოებისა, **თავი იჩინა** ორმა ტაქტიკურმა ხაზმა ლიბერალური ბურჟუაზიის მიმართ—ბოლშევიკურმა და მენშევიკურმა. ეს ორი ხაზი ემყარებოდა რევოლიუციაში ლიბერალური ბურჟუაზიის როლის სხვადასხვა გვარ შეფასებას. აქსელროდი ჯერ კიდევ 90-ან წლებში ამტკიცებდა, რომ „რუსეთის ისტორიულ განვითარების მსვლელობამ მოამზადა ბურჟუაზიული დემოკრატიის ჰეგემონია.. აბსოლიუტიზმთან ბრძოლაში“, და აფრთხილებდა მუშებს საგაფიცვო აზარტით გატაცებისაგან, „რათა ბურჟუაზია არ დამფრთხალიყო რევოლიუციით და არ გადასულიყო ის თვითმპყრობელობის მხარეზე“.

„ისკრა“-ს რედაქციაში დავა ლიბერალებთან დამოკიდებულების საკითხის გარშემო გაჩაღა ლენინის წერილმა—„ერობის მტრები და ლიბერალიზმის ჰანიბალები“. ლენინის მტკიცებამ, რომ ერობაში „არ შეიძლება პოლიტიკური ბრძოლის არც „დიდი“, და არც ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი ფაქტორის დანახვა“-ო, და აგრეთვე წერილის მწვავე კრიტიკულმა კილომ გამოიწვიეს წინააღმდეგობა მარტოვის, აქსელროდისა და პლეხანოვის მხრით. პლეხანოვი, უერთდებოდა რა მარტოვის აზრს, მოითხოვდა, რომ ლენინს შეერბილებია წერილის კილო, „შეარბილეთ ძვირფასო,—სწერდა ის ლენინს.— „ეხლა საჭირო არ არის ლიბერალიზმის წინააღმდეგ გალაშქრება. ეს დიდი შეცდომაა... ეხლა საჭირო არ არის საერთოდ ლიბერალის გინება. ეს უტაქტობაა, ცუდი ლიბერალიდან უნდა მივმართოთ კარგ ლიბერალს“... აქსელროდი არ იყო ლენინის წერილის დაბეჭდვის წინააღმდეგი. მაგრამ ამავე დროს ამტკიცებდა, რომ „ს.-დ. რევოლიუციონური აგიტაციის ენერგიული და სისტემატიური ზეგავლენით ერობის „კონსტიტუციონური ჩანასახი“ შეიძლება გადაიქცეს ცოცხალ რევოლიუციონურ ძალად“. (ლენინის კრებული, III. გვ. 203, 204, 210). ეს 1904 წ. საერობო კამპანიის მენშევიკური გეგმის ჩანასახია.

მაგრამ—მენშევიზმის ეს ჩანასახები არ სცილდებოდნენ რედაქციის ფარგლებს და „ისკრა“-ს არ უკარგავდენ საერთო რევოლიუციონურ ტონს. „ისკრა“, ლენინის ხელმძღვანელობით, საერთოდ უსათუოდ იძლეოდა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის სწორ მარქსისტულ შეფასებას.

6. „ისკრა“-ს დამოკიდებულება **გლეხურ მოძრაობისადმი** მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ლენინის წერილებში. ემყარებოდა რა პროგრამის თვალსაზრისს რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლიუციაში გლეხობის უდიდესი როლის შესახებ, ლენინს აუცილებლად მიაჩნია პროლეტარიატის მხარის დაჭერა გლეხთა მოძრაობისათვის ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ. ლენინი მოითხოვდა მთელი გლეხობის რევოლიუციონური ენერგიის გამოყენებას ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ, ამასთან იგი აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ქალაქის პროლეტარიატის დასაყრდენ ძალად და მუდმივ მოკავშირედ სოფლად შეიძლება იყოს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი და სოფლის ღარიბი გლეხობა. აქედან გამომდინარეობდა „ისკრა“-ს მიერ გლეხობის საკითხში აღებული ტაქტიკური ხაზის მეორე მხარე: კლასობრივი ბრძოლის შეტანა სოფლად, სოფლის პროლეტარიატისა და სოფლის ღარიბი გლეხობის დარაზმვა სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

7. „ისკრა“, იცავდა რა პროლეტარიატის ჰეგემონიას რევოლიუციონურ მოძრაობაში, დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ პარტიის წინააღმდეგ, რომელიც გლეხთა მოძრაობის გამოცოცხლების ზეგავლენით წარმოიშვა 900-იან წლებში. სოც-რევოლიუციონერები, რომელნიც პრეტენზიას აცხადებდნენ გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელობაზე, უარჰყოფდენ პროლეტარიატის კლასობრივ დამოუკიდებლობას და თქვეფავდნენ მას „მშრომელთა“ უსახო ბლოკში, ს.-რ. ეკლექტიურად აერთებდნენ თავიანთ პროგრამაში მარქსიზმის რევიზიონისტულ დამახინჯებას მოძველებულ ნაროდნიკულ იდეებთან, ქადაგებდნენ ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკას და, ამრიგად, იხრებოდენ „რევოლიუციონური ავანტიურისკენ“.

„ისკრა“, იცავდა რა ორთოდოქსალური მარქსიზმის რევოლიუციონურ თეორიას, ამხკარავებდა იმ ესერული პარტიის წვრილ-ბურჟუაზიულ ხასიათს, რომელიც თავის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რადიკალიზმს სოციალიზმად ასაღებდა,—და დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკის წინააღმდეგ,— ტაქტიკის, რომელიც ასუსტებდა რევოლიუციის ძალებს და ხელს უშლიდა მუშებისა და გლეხების მასიურ ბრძოლას.

8. **საორგანიზაციო** დარგში „ისკრა“-ს მთავარ ამოცანას შეადგენდა შექმნა მაგარი ცენტრალიზაციაქმნილი არა ლეგალური პარტიული ორგანიზაციისა, რომელიც გააერთიანებს ყველა რუს ს.-დ.-ს და პროფესიონალურ-რევოლიუციონერს. მაგრამ ასეთი გაერთიანება არ შეიძლებოდა დეკრეტით ან რომელიმე ყრილობის ან კონფერენციის უბრალო გადაწყვეტილებით. საჭირო იყო ამ გაერთიანების შემუშავება. ასეთი გაერთიანების საფუძველი უწინარეს ყოვლისა უნდა ყოფილიყო მტკიცე იდეური გაერთიანება და ოპორტუნისტებისაგან გამიჯვნა პარტიის შიგნით. მხოლოდ ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმისაგან გაწმენდილ პარტიას შეეძლო პროლეტარიატის წაყვანა ნამდვილი რევოლიუციონური გზით. პირიქით, გაერთიანება ასეთი წინასწარი ბრძოლის გარეშე, და ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმისაგან გამიჯვნის გარეშე დააკანონებდა მათ არსებობას ახალ გაერთიანებულ ორგანიზაციაში.

ლენინის საორგანიზაციო გეგმა, რომელიც მან განავითარა „ისკრა“-სა და „რა ვაკეთოთ“-ში ზოგადათ ასეთი იყო:

ლენინს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა **ზოგად რუსული პოლიტიკური გაზეთის** დაარსება. „გაზეთი არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორია, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც“,—სწერდა ლენინი. მოხერხებულად ატარებდა რა ამ ხაზს, „ისკრა“, ადგილობრივ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობას უწევდა სპეციალური „აგენტების“ გაგზავნით, და მალე იგი გადაიქცა იმ ცენტრად, რომლის გარშემოც გაერთიანდა და შემჭიდროვდა პარტია.

იმ განცალკევებული, ერთმანეთთან შეუკავშირებელი წრეების ნაცვლად, რომელთა საფუძველზედაც წარმოიშვა წინად პარტია, ლენინი წინადადებას იძლეოდა შეექმნათ ყოველ ქალაქში პარტიული კომიტეტი, რომელიც მთელ მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევდა. პროფესიონალური რევოლიუციონერებისაგან შემდგარი კომიტეტების გარშემო, ლენინის აზრით, უნდა შექმნილიყო ქვედა საფეხურის ორგანიზაციები (უჯრედები) წარმოებებში. არალეგალური ორგანიზაციების ირგვლივ უნდა შექმნილიყვნენ მუშათა სხვადასხვა, უფრო ფართო ორგანიზაციები, რომელთაც ხელმძღვანელობასა და კონტროლს პარტია გაუწევდა.

თვით პარტიული კომიტეტები უნდა მოწყობილიყვნენ სასტიკი ცენტრალიზაციისა და ფუნქციათა მკაფიოდ დიფერენციაციის საფუძველზე. წინააღმდეგ ეკონომისტებისა, რომლებიც დემოკრატიას აღმერთებდნენ. ლენინი ფიქრობდა, რომ პოლიციური თვითმპყრობელობის პირობებში სრულიად დაუშვებელია პარტიული კომიტეტების არჩევა, ვინაიდან ეს საარჩევნო პრინციპი კანდიდატებს სატუსაღოსა და კატორღისაკენ გაგზავნიდა. კომიტეტებში, ლენინის აზრით, უნდა შესულიყვნენ პარტიის ყველაზე უფრო აქტიური მუშაკები და ყველაზე უფრო მომზადებული მუშები. კომიტეტებს დაამტკიცებდა უმაღლესი პარტიული ორგანიზაცია.

9. ლენინის ეს ორგანიზაციული გეგმა, რომელიც თავისი შინაარსით მიმართული იყო პარტიის—პროლეტარიატის ავანგარდის შექმნისაკენ, პროლეტარიატის, რომელიც რევოლიუციის ჰეგემონის როლს ანხორციელებს,—„ისკრა“-ს რედაქციის შიგნით არ გაიზიარეს მთლიანად. აქსელროდი, რომელიც თავიდანვე იცავდა ბურჟუაზიის ჰეგემონიას აბსოლიუტიზმთან ბრძოლაშიაც, იმავე დროს პარტიული ორგანიზაციის ცენტრალიზმის საფუძველზე მოწყობის პრინციპიალური მოწინააღმდეგე იყო; იგი განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებდა იმ „იაკობინური იდეების“ წინააღმდეგ, რომლებიც, მისი აზრით, ლენინის საორგანიზაციო გეგმის არსებას შეადგენდნენ.

თუ რამდენად ძლიერი იყო უთანხმოება „ისკრა“-ს შიგნით, ამას მოწმობს აქსელროდის განცხადება „გადადგომის“ შესახებ 1902 წ. ივნისში. პროგრამის გარშემო ყველა სადაო საკითხების ლიკვიდაციის შემდეგ პლეხანოვი, ურჩევდა რა აქსელროდს წაეღო უკანვე ეს „გადადგომა“, სწერდა მას, რომ ყველაფერში ფრეის (ლენინის) „ჯიუტობაა დამნაშავე, რომელსაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია: მაგრამ შენი გამოსვლა შეასუსტებს ჩვენი ასეთი ბრძოლის შესაძლებლობას. ამიტომ გამოსვლა უხერხულია“. (პლეხანოვისა და აქსელროდის მიწერ-მოწერა, ტ. 2, გვ. 181). გათიშვა, რომელიც აცილებულ იქნა 1900, 1901 და 1902 წელში, მოხდა 1903 წ. მეორე ყრილობაზე. მანამდე არც საორგანიზაციო უთანხმოება სცილდებოდა „ისკრა“-ს რედაქციის ფარგლებს. როგორც საპროგრამო და ტექნიკურ საკითხებში, ისე საორგანიზაციო საკითხებში „ისკრელები“ გამოვიდნენ მთლიანი ფრონტით.

10. „ისკრა“-ს მოქმედების გააფთრებით ებრძოდენ ეკონომისტები; ეს ბრძოლა ხანდახან კომიტეტების პირდაპირ გათიშვამდე მიდიოდა. მაგრამ შეუპოვარი მუშაობის შემდეგ „ისკრელებმა“ შესძლეს პარტიული კომიტეტების დიდი უმრავლესობის მიმხრობა. ეკონომისტების ცდა—თვით ეგდოთ ყრილობის მოწვევის ინიციატივა და მით ჩაეშალათ „ისკრა“-ს მუშაობა, მარცხით დამთავრდა, „ისკრა“-ს მოთხოვნით, ბელოსტოკში შეკრებილმა დელეგატებმა თავიანთი თავი გამოაცხადეს კონფერენციად და დაკმაყოფილდნენ იმით, რომ აირჩიეს საორგანიზაციო კომიტეტი ყრილობის მოსამზადებლად. ეს კომიტეტი მალე დააპატიმრეს.

ყრილობის მომზადება იკისრა ახალმა საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელიც 1903 წ დასაწყისში დაარსდა „ისკრა“-ს მომხრეებისაგან და მისი ხელმძღვანელობით და რომელიც ადგილობრივი ორგანიზაციების უმრავლესობამ იცნო, საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედება წარმატებით დაგვირგვინდა. 1903 წ. 30 ივლისს ბრიუსელში გაიხსნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ 21 ადგილობრივი კომიტეტისა და საზღვარგარეთის 5 ს.-დ. ორგანიზაციის წარმომადგენლები.

## მე-2-ე ყრილობა (1903 წ. 30 ივლისი 23 აგვისტო)

1. მეორე ყრილობის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა „გზაბნეულობის, დაშლის, მერყეობის პერიოდის ლიკვიდაციის შედეგების განმტკიცება და **ნამდვილი** პარტიის შექმნა იმ პრინციპიალურ და საორგანიზაციო საფუძვლებზე, რომლებიც „ისკრა“-მ წამოაყენა და დაამუშავა“ (ლენინი, 5, გვ. 310). მაგრამ ყრილობის შემადგენლობა არც მაგდენად ერთფეროვანი აღმოჩნდა.

აშკარა ოპორტუნისტი—ბუნდისტი და ეკონომისტი—ყრილობაზე იყო რამდენიმე კაცი; იყო კიდევ ათამდე „საშუალო ოპორტუნისტი“, რომლებიც ფორმალურად სცნობდნენ „ისკრა“-ს ხელმძღვანელობას, მაგრამ საქმით ჯერ კიდევ ვერ დაეღწიათ თავი შეზღუდულობისაგან და განირჩეოდნენ მერყეობით პრინციპიალური მხრივ (ჯგუფი „სამხრეთელი მუშა“) „ისკრა“-ს მიმართულების გამარჯვება—ყველა ისკრელების ერთსულოვნება გამოსვლის პირობებში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ—უზრუნველყოფილი იყო მათი უმრავლესობით ყრილობაზე (მათ ჰქონდათ 33 ხმა 51 ხმიდან); მაგრამ მერყეობა „რბილ“ ისკრელების, აქსელროდისა და მარტოვის მეთაურობით, ქმნიდა ოპორტუნისტულ უმრავლესობას, ჩაშლას ემუქრებოდა ყრილობის პრინციპიალურ ხაზს. აი რატომ უნდა გადაქცეულიყო ყრილობა მწვავე და დრამატიული ბრძოლის ასპარეზად, „ისკრა“-ს პრინციპების ნამდვილი რეალიზაციისა და „ისკრა“-ს მიმართულების გამარჯვებისათვის.

2. მეორე ყრილობის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს „ისკრა“-ს მიერ შემუშავებულ **პარტიულ პროგრამის** მიღება. პროგრამის განხილვის დროს ისკრელებს მოუხდათ მისი დაცვა ოპორტუნისტულ შესწორებისაგან; ეს შესწორებები შეჰქონდათ ბუნდისტებსა და ეკონომისტებს, რომლებიც ცდილობდნენ დაეცვათ რეფორმისტული თეორია და პრაქტიკა.

ეკონომისტი აკიმოვი წინადადებას იძლეოდა პროგრამიდან ამოეშალათ პროლეტარიატის დიქტატურა და უარჰყოფდა წინააღმდეგობათა გამწვავებას შრომასა და კაპიტალს შორის კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად; მარტინოვი იცავდა ძველ ეკონომიურ დებულებებს იმის შესახებ, რომ მუშათა მოძრაობა თავის თავად, პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე, წავა სწორი გზით; აქედან გამომდინარეობდა პარტიის, როგორც მუშათა კლასის ავანგარდის, როლის სათანადო შეუფასებლობა მისი მხრივ. განსაკუთრებით მკაცრად და დარაზმულად გამოვიდნენ ყრილობის მერყევი ელემენტები „ისკრა“-ს აგრარული პროგრამის წინააღმდეგ. მათ აზრს საფუძვლად ედო ის, რომ მათ არ ესმოდათ გლეხობის რევოლიუციონური როლი და მისი რევოლიუციონური ენერგიის გამოყენება ბატონყმურ ნაშთებთან ბრძოლაში.

ზოგიერთი დელეგატები თვლიდნენ, რომ ს.-დ. არ ესაჭიროება არავითარი აგრარული პროგრამა და მას საერთოდ „არაფერი აქვს გასაკეთებელი სოფლად“. ერთმა მათგანმა პირდაპირ განაცხადა, რომ „გლეხური რევოლიუცია—რევოლიუცია კი არ არის, არამედ რეაქცია, რომელიც ჩვენ ერთი ოცი წლით უკან გვისვრის“. სხვები, არსებითად წინადადებას იძლეოდნენ ასევე ამოგვეგდო პროგრამიდან ბატონყმური ნაშთების მოსპობის მოთხოვნილება. ასაბუთებდნენ ამას ასეთი მოთხოვნილების „სიმცირით“ და იმით, რომ პარტიამ უნდა იზრუნოს მხოლოდ სოფლის ღარიბ-ღატაკთა ინტერესებზე და ესერებს დაუტოვოს „მთელი გლეხობის ინტერესების დაცვა“; ამრიგად, „მემარცხენე ფრაზები“ ფარავდნენ ოპორტუნისტულ შინაარსს: უარის თქმას პროლეტარიატის ჰეგემონიაზე და გლეხური რევოლიუციის ხელმძღვანელობაზე.

3. რევოლიუციონური მარქსიზმის ბრძოლამ ოპორტუნიზმთან და რეფორმიზმთან თავი იჩინა მაშინაც, როცა ყრილობა ტაქტიკის საკითხებს არჩევდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ტაქტიკური საკითხებიდან მეორე ყრილობაზე იყო ლიბერალებთან დამოკიდებულების საკითხი, რომლის შესახებ მიღებულ იქნა ორი რეზოლიუცია—პლეხანოვისა და სტაროვერის (პოტრესოვის).

ვინაიდან ყრილობა გაჭიანურდა, ეს რეზოლიუციები დეტალურად არ განუხილავთ, ამიტომ ტაქტიკური უთანხმოებანიც მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის არ გამომჟღავნებულა მთელი სიცხადით. მაგრამ, რეზოლიუციებში, ბუნებრივად, გამოიხატა ის უთანხმოებანი, რომლებიც უკვე არსებობდნენ ძველ „ისკრა“-ში. ძველი „ისკრა“-ს ხაზს განაგრძობდა პლეხანოვის რეზოლიუცია, მის მიერ წინასწარ შეთანხმებული ლენინთან, რომელმაც თავისი შესწორებები შეიტანა მასში. ამ რეზოლიუციას ყრილობაზე მხარი დაუჭირა ბოლშევიკების უმრავლესობამ. რეზოლიუცია ხაზგასმით აღნიშნავდა ანტი-რევოლიუციონურ და ანტი-პროლეტარულ ხასიათს ლიბერალურ მოძრაობისას, რომელსაც სტრუვე და „ოსვობოჟდენიე“ მეთაურობდნენ. არ აფასებდა რა გადაჭარბებულად ლიბერალური ბურჟუაზიის ოპოზიციონურ სულისკვეთებას, რეზოლიუცია მოუწოდებდა პროლეტარიატს ებრძოლა მის წაჯექ-უკუჯექობასთან, მის აუცილებელ მერყეობასთან რევოლიუციასა და თვითმპყრობელობას შორის, ისე კი, რომ პრინციპიალურად უარი არ ეთქვა მასთან ნაწილობრივ შეთანხმებების შესაძლებლობაზე.

პოტრესოვის რეზოლიუცია წარმოადგენდა აქსელროდისა და სხვა „რბილ ისკრელების“ შეხედულებების შემდგომ განვითარებას. რეზოლიუცია კონკრეტულად არ იხსენიებდა ლიბერალიზმის წარმომადგენლებს, არ იძლეოდა მის საერთო შეფასებას და არ მოუწოდებდა ბრძოლისაკენ ბურჟუაზიის წაჯექ-უკუჯექობასთან და არ უსვამდა ხაზს ლიბერალების მხილების საჭიროებას, იგი აძლევდა „დაიჯერებიათ ლიბერალის სიტყვა“ იმ იმედით, რომ ლიბერალებს შეუძლიათ თავიანთ პროგრამებში შეიტანონ ისეთი მოთხოვნილებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მუშათა კლასის ინტერესებს. სტაროვერის რეზოლიუცია ფაქტიურად მოასწავებდა რევოლიუციონურ მოძრაობაში ჰეგემონის როლის გადაცემას ბურჟუაზიისათვის. ამ რეზოლიუციიდან თანამიმდევრობით გამომდინარეობს მენშევიკების მთელი ტაქტიკა 1905 წ. რევოლიუციაში. პირიქით, ლენინისა და პლეხანოვის რეზოლიუცია იძლეოდა ბოლშევიკების ტაქტიკის ნათელ და გარკვეულ ჩამოყალიბებას.

4. მეორე ყრილობის მუშაობის ცენტრში იდგა „**კუსტარნიკობის“ ლიკვიდაციის და ცენტრალიზაციაქმნილი პარტიის შექმნის** საკითხი. ყრილობის დასაწყისში ისკრელების შეკავშირებულ ფრონტს უპირისპირდებოდნენ „კუსტარნიკობის“ აშკარა დამცველები: ბუნდისტები და ეკონომისტები. ბუნდისტები, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ ცენტრალური პარტიის შექმნის წინააღმდეგ და იცავდნენ მუშათა კლასის ცალკე ნაციონალური რაზმების ფედერატიულად გაერთიანებას, მოითხოვდნენ, რათა მოსცემოდათ მათ ებრაული პროლეტარიატის წარმომადგენლობის მონოპოლიური უფლება. ყრილობამ ერთსულოვნად უარჰყო ბუნდისტების წინადადება. ასევე ერთსულოვნად ჩააფლავეს ისკრელებმა ბუნდისტებთან და ეკონომისტებთან შეკავშირებული „ჭაობის“ ცდა დაეცვა „კრუჟოკოვშჩინა“ და შეენარჩუნებიათ თავიანთი ორგანიზაციების თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მათი განცალკევება დანარჩენი პარტიისაგან.

მაგრამ ყრილობის მუშაობის დროს კუსტარნიკობის ლიკვიდაციის ორგანიზაციულად განმტკიცების საკითხში,—რასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა პარტიის წესდება, შემუშავებული ლენინის მიერ,—**ისკრელებში განხეთქილება მოხდა**. ეს განხეთქილება სწორედ საორგანიზაციო საკითხებში—არ იყო შემთხვევითი. საქმე მდგომარეობდა, რასაკვირველია, არა იმაში, თუ როგორ იქნებოდა ჩამოყალიბებული წესდების ესა თუ ის პარაგრაფი, საქმის ვითარება მდგომარეობდა იმაში, რომ მარტოვ-აქსელროდის სახით პარტიის ინტელიგენტურ-ოპორტუნისტული ნაწილი აშკარად ამბოხდა პროლეტარული ცენტრალიზმის წინააღმდეგ, რომლითაც გამსჭვალული იყო ლენინური წესდება.

მენშევიკები, რომლებიც იცავდნენ პარტიული ორგანიზაციების ჩარჩოების გაფართოებას ისე, რომ „თვითეულ გამფიცველს, თვითეულ დემონსტრანტს შეეძლოს სოციალ-დემოკრატი უწოდოს თავის თავს“ (მარტოვი), რომ პარტიაში შესძლოს მოხვედრა ყოველმა მსურველმა: „პროფესორმაც“ და „გიმნაზიელმაც“,—ერთის მხრივ პარტიას თქვეფდნენ კლასში, მეორეს მხრივ—ფართოდ უხსნიდნენ პარტიის კარებს წვრილ-ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ ელემენტებს და ამით სრულიად აცლიდნენ მას უნარს—დაეცვა პროლეტარიატის ჰეგემონია რევოლიუციაში და გაეწია მანევრული ხელმძღვანელობა მისი ბრძოლისათვის.

პირიქით, ლენინი იცავდა პარტიაში არასაკმაოდ შეგნებულ მუშების მიღების შეზღუდვის აუცილებლობას, გიმნაზიელებზე და პროფესორებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას იგი კვლავინდებურად ახასიათებდა, როგორც მუშათა კლასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ორგანიზაციას **პროფესიონალურ რევოლიუციონერებისა**,—ორგანიზაციას, რომელსაც ახვევიან მთელი რიგი ფართო უპარტიო ორგანიზაციები, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით მუშაობენ.

როდესაც წესდების პირველ პარაგრაფს კენჭი უყარეს, ყველა ოპორტუნისტმა ხმა მისცა მომავალ მენშევიკებს, და მხოლოდ ამის წყალობით მიიღო ყრილობამ მათი ფორმულა, (დელეგატ-ისკრელების კრებაზე კი ლენინის ფორმულამ შეკრიბა ხმების გადამწყვეტი უმრავლესობა).

5. წესდების მიღების შემდეგ ყრილობა გადავიდა პარტიის ცენტრალური დაწესებულე-

---

## გეგმიანობისა და დაბრკოლებათა მიზეზების შესახებ

გადავდივარ საკითხზე გეგმიანობის როლის შესახებ ჩვენს მეურნეობაში.

აქ გამოსული ამხანაგები დაწვრილებით აღნიშნავდნენ ჩვენი გეგმიანობის დეფექტებს და აშკარა შეცდომებს ამ დარგში. ცნობილია, რომ აქ ჩვენ მრავალი დეფექტი გვაქვს. გეგმიანობის საქმის გასაუმჯობესებლად პარტიამ უფრო მეტად უნდა გამაგროს საგეგმო ორგანოები თავისი საუკეთესო ხალხით, უფრო სერიოზულად უნდა აწარმოოს ჩვენი გეგმების ცალკე ელემენტების შემოწმება და უნდა გააძლიეროს ამ საქმის ზედამხედველობა. მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვა — ერთ-ერთი უძნელესი საქმეა ჩვენს პირობებში. საჭიროა სისტემატიური მუშაობა კომპეტენტობის გადიდებისთვის, ამასთან ერთად საჭიროა პრაქტიკული მოქნილობა სათანადო ორგანოებში. ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი აგრეთვე გეგმიანი დისციპლინის განმტკიცებისთვის მთელს სახელმწიფო მუშაობაში.

მიუხედავად იმისა, რომ გეგმიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს და, მაშასადამე, შეცდომები ამ დარგში სერიოზულად უნდა იქნეს შეფასებული,—მიუხედავად ამისა, ჩვენი სამეურნეო ცხოვრების დაგეგმვის ზედმეტად შეფასება შეცდომა იქნება. უმართებულო იქნება, მაგალითად, ეხლანდელი სამეურნეო დაბრკოლებების ახსნა მხოლოდ და მხოლოდ ან უმთავრესად შეცდომებით გეგმიანობის სფეროში. უმნიშვნელოვანეს სამეურნეო მოვლენების ამნაირად ახსნა მარტო ცალმხრივი არ იქნება, — ეს პირდაპირ არ შეეფერება ამ სიძნელეთა მარქსისტულ გაგებასაც. ამის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ შეაფასა ეს სიძნელენი ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმმა. აი რა არის ამის შესახებ ნათქვამი აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებაში:

„ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმს მიაჩნია, რომ დაბრკოლებები, რომლებსაც მიმდინარე წელს ადგილი ჰქონდა პურის დამზადების საქმეში არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევითად. ეს დაბრკოლებები დაკავშირებულნი არიან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის სიძნელეებთან, — ტემპის, რომელსაც უკარნახებს პროლეტარულ სახელმწიფოს მთელი საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა, და აგრეთვე გეგმიანი სამეურნეო ხელმძღვანელობის შეცდომებთან. ეს დაბრკოლებები გააღრმავა და გაართულა სოფლის კულაკური ნაწილის და სპეკულიანტების ცდამ გაეძვირებიათ პური და ჩაეშალათ სახელმწიფო ფასების პოლიტიკა“.

ამის შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ „პურის დამზადებაში დაბრკოლებები მოსალოდნელია მომავალშიაც“. პლენუმი, სამწუხაროდ, სავსებით მართალი აღმოჩნდა ამ თავის შეფასებაში. ცნობილია, რომ მაის-ივნისის პერიოდში ჩვენ უფრო დიდი სიძნელე გადავიტანეთ. ამ გაკვეთილის შემდეგ ჩვენ უფრო მეტად უნდა ჩაუკვირდეთ იმ შეფასებას, რომელიც მოგვცა ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმმა.

შევჩერდები პლენუმის გადაწყვეტილებათა იმ ადგილზე, რომელიც ზევით არის მოყვანილი.

აქ, როგორც ყველასთვის აშკარაა, ეხლანდელ სამეურნეო დაბრკოლებათა ახსნის დროს აღნიშნულია სამი მომენტი, სახელდობრ:

1) ინდუსტრიალიზაციის ტემპი, 2) შეცდომები გეგმიანობაში და 3) კულაკების და სპეკულიანტების როლი. არსებული დაბრკოლებების ახსნის დროს ჩვენ არც ერთი აღნიშნული მომენტი არ უნდა დავივიწყოთ.

შევჩერდები, პირველ ყოვლისა, პირველ მომენტზე, საკითხზე ინდუსტრიალიზაციის ტემპის შესახებ.

ამის შესახებ პლენუმმა განაცხადა: „დაბრკოლებები პურის დამზადების საქმეში დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის სიძნელეებთან, ტემპის რომელსაც უკარნახებს პროლეტარულ სახელმწიფოს მთელი საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა“. მაშასადამე, ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავიწყებულ იქნეს იმ მოვლენის ახსნის დროს, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს.

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პლენუმის მითითებას, რომ ინდუსტრიალიზაციის ტემპს, რომელსაც პარტია ატარებს, „გვიკარნახებს მთელი საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა“. ეს მითითება აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი დაკავშირებულია მეტად ღრმა შინაურ და საგარეო მიზეზებთან. და მართლაც, ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხს პარტია სრულიადაც არ უდგება, როგორც ძირითად ობიექტიურ პირობებისაგან დამოუკიდებელ საკითხს, როგორც დამოუკიდებელს იმ მატერიალურ პირობებისაგან, რომელშიაც სწარმოებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობა. რამდენადაც საქმე მართლა ეხება საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ტემპს, ე. ი. იმ ქვეყნის ტემპს, რომელიც ვითარდება სოციალისტური მიმართულებით, იმდენად ეს ტემპი **უმთავრესად** განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიური და კლასობრივი სტრუქტურით. რასაკვირველია, შესაძლებელია ამ ტემპის განხორციელების არა მარტო ერთი ვარიანტი, თუ საქმის დეტალებს გამოუდგებით. მაგრამ ჩვენთვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა ვიქონიოთ ნათელი წარმოდგენა არა დეტალებზე, არა დროებით ნაწილობრივ ცვლილებებზე ტემპში, არამედ ამ ტემპის ძირითად ხასიათზე. სწორედ ამიტომაც ცეკას პლენუმის რეზოლიუციაში ლაპარაკია „ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის“ შესახებ, რასაც პლენუმის რეზოლიუცია უკავშირებს ეხლანდელ დაბრკოლებებს.

„ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის“ აუცილებლობა გამომდინარეობს ჩვენი ეკონომიკის ჩამორჩენილობიდან, ჩვენში წვრილი გლეხური მეურნეობის სიჭარბიდან და, მაშასადამე, ქვეყნის შესაფერი კლასობრივი სტრუქტურიდან. ინდუსტრიალიზაციის ეს ტემპი **უმთავრესად** განისაზღვრება ამ სოციალურ-ეკონომიური მიზეზებით. გაძლიერებული სოციალისტური მშენებლობის გზაზე დამდგარ სახელმწიფოსთვის ეს ტემპი სრულ აუცილებლობას წარმოადგენს ქვეყნის შიგნით არსებული სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობების და კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. სწორედ ამიტომ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ პლენუმის მიერ გამოთქმული აზრი ეხლანდელი დაბრკოლებების კავშირის შესახებ „ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპთან“, რათა ადვილად გასაგები გახდეს, რომ არსებულ დაბრკოლებებს საფუძვლად უდევს სოციალურ-ეკონომიური მიზეზები. ეს ნიშნავს იმას, რომ პურის დამზადების საქმეში არსებულ დაბრკოლებების ძირითად მიზეზად უნდა ვცნოთ ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენილობა, ე. ი. ინდუსტრიის არასაკმაო განვითარება, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის დაბალი დონე და აგრეთვე ის, რომ წვრილ მეურნეობათა დიდი უმრავლესობა თითქმის სრულებით არ ამზადებს ბაზარზე გასატან საქონელს. აქედან ჩანს, რომ ეხლანდელ დაბრკოლებათა ახსნის დროს არ უნდა დავივიწყოთ ამ მოვლენის ძირითადი მიზეზი, რამდენადაც ჩვენ ვეყრდნობით პარტიის მიერ მიღებულ ინდუსტრიალიზაციის ტემპს. ინდუსტრიალიზაციის ტემპი, რომელსაც ატარებს პარტია, დაკავშირებულია აუარებელ ხარჯთან კაპიტალურ მშენებლობაზე, ახალ წარმოება-დაწესებულებების შექმნაზე და სხვ. ამაში მდგომარეობს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის უდიდესი სიძნელე. საჭიროა ყურადღებით აწონ დაწონვა ყოველი თანხის, რომლებსაც ჩვენ ვხარჯავთ მრეწველობის ახალ ეკონომიურ ბაზისზე მოწყობასთან დაკავშირებით, საჭიროა ამ დარგში თავიდან ავიცილოთ გადამეტებული ხარჯები. ჩვენ მიერ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციაზე აღებული კურსი დაკავშირებულია ძალების უდიდეს დაჭიმვასთან. ხოლო ეს რამოდენიმე წელიწადი უკვე გავლენას ახდენს ბაზარზე, რომელსაც არ ძალუძს დააკმაყოფილოს ქალაქის და სოფლის მთელი მოთხოვნილება, სამრეწველო საქონელზე. სოფლის ეკონომიურად მოღონიერებამ უკანასკნელ წლებში და, განსაკუთრებით, სოფლის კულაკური ნაწილის კეთილდღეობის ზრდამ მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაამწვავა მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე. მაშასადამე, ეხლანდელი წლის სამეურნეო მდგომარეობის თავისებურად უნდა ჩაითვალოს ის ახალი მოვლენა სოფლის სოციალ-ეკონომიურ განვითარებაში, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა სამრეწველო საქონლის მოთხოვნილებასა და მიწოდებს შორის შეუფარდებლობის გამწვავებაში, და რამაც ხელი შეუწყო კულაკის როლის გაძლიერებას პურის დამზადების სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეხლანდელ დაბრკოლებათა ძირითადი მიზეზებით შეიძლება აიხსნას შექმნილ სამეურნეო სიძნელეთა მთელი თავისებურება. მაგრამ ჩვენ დაბრკოლებათა მიზეზების სწორი გაგებიდან გამომდინარეობს, სხვათა შორის, ის ზომებიც, რომელსაც ჩვენ ეხლა ვატარებთ მსხვილი სასოფლო მეურნეობის (საბჭოთა მეურნეობანი, კოლმეურნეობანი) მიმართ.

ეხლა საჭიროა შევჩერდეთ **მეორე** მომენტზე, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი დაბრკოლებები.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამ დაბრკოლებათა გამწვავებას უკანასკნელ თვეებში, ეჭვს გარეშეა ხელს უწყობდა „შეცდომები **გეგმიანი** სამეურნეო ხელმძღვანელობის საქმეში“. (აპრილის პლენუმის რეზოლიუციიდან). აქ უნდა დავასახელოთ ისეთი ფაქტები, როგორიცაა შეცდომები საქონლის შემოზიდვაში, სოფლის შეძლებულ ფენებზე გადასახადის გაწერაში და აგრეთვე, ნაწილობრივ, შეცდომები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე არსებულ ფასებს შორის შეფარდების განხორციელების საქმეში. ამავე დროს აშკარაა, რომ არსებული სამეურნეო დაბრკოლებების ახსნა გეგმიანობაში დაშვებული შეცდომებით იქნებოდა ყოვლად შეუწყნარებელი ცალმხრივობა და მათი სოციალ-ეკონომიური სარჩულის არ ცოდნა, დაუშვებელია სახელმწიფო დაგეგმვის შეცდომების არასაკმაოდ შეფასება ისეთ მოვლენაში, როგორიც არიან ჩვენი ეხლანდელი დაბრკოლებები, მაგრამ, მეორეს მხრით, კიდევ უფრო დაუშვებელია ასეთი უდიდესი ეკონომიური ფაქტორების ახსნა მხოლოდ და მხოლოდ ან უმთავრესად გეგმიანი ხელმძღვანელობის ამა თუ იმ შეცდომით. თუ ეხლანდელ სამეურნეო მოვლენებში არ შეიძლება არ დავინახოთ საგეგმო შეცდომების გავლენა, მაშინ უფრო დიდი შეცდომა იქნება მარქსისტისათვის—ამ მოვლენათა სოციალურ-ეკონომიური საფუძვლის არ დანახვა.

ვისაც არსებულ დაბრკოლებების მიზეზებში გამოჰყავს გეგმის ესა თუ ის მომენტი, ის სჩადის ერთ-ერთ ასეთ შეცდომას: ან იმ საგეგმო ხასიათის შეცდომებს იქით, რომლებმაც გაამწვავეს ეს დაბრკოლებები, ვერ ხედავს საკითხის უფრო მნიშვნელოვან სოციალ-ეკონომიურ მხარეს (მაგრამ ეს ხომ მარქსიზმისაგან დაშორებაა), ან სამეურნეო გეგმის ცნებას და ამ გეგმასთან დაკავშირებულ ცალკე შეცდომებს აძლევს ისეთ „გაფართოებულ“ განმარტებას, რომელსაც ლოღიკურად მივყავართ იმის აღიარებისაკენ, თითქოს პარტიის სამეურნეო პოლიტიკაში დაშვებული იყოს ძირითადი შეცდომა, ე. ი. იმის აღიარებისკენ, თითქოს მთელი „საერთაშორისო და შინაური მდგომარეობით ნაკარნახევ“ ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხში დაშვებული იყო შეცდომა (მაგრამ ეს ხომ კომუნიზმისაგან დაშორებაა!).

ბოლოს, ცეკას აპრილის პლენუმმა აღნიშნა, რომ კულაკებმა და სპეკულიანტებმა დამამზადებელი აპარატის მუშაობაში შექმნილი სიძნელენი და დაბრკოლებანი გამოიყენეს იმისთვის, რომ გაეძლიერებიათ შეტევა პურის ფასების სახელმწიფო პოლიტიკის ჩასაშლელად. ზედმეტია ამ ყველასთვის აშკარა ფაქტზე დაწვრილებით შეჩერება. ისეთ პირობებში, როცა „ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის“ განხორციელებას აუცილებლად თან სდევენ საერთო სიძნელენი, როცა სოფლის განსაკუთრებით მისი შეძლებული—კულაკური—ნაწილის, შემოსავალი თანდათან იზრდება და ამავე დროს ადგილი აქვს მთელ რიგ საგეგმო ხასიათის შეცდომებს,—მიმდინარე წელს, ეჭვს გარეშეა, უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სოფლის კულაკური ელემენტების შემოტევისთვის პარტიის სამეურნეო პოლიტიკის წინააღმდეგ. ჩვენი დამამზადებელი ორგანოების და მთელი კოოპერატიული, საბჭოთა და პარტიული აპარატის მუშაობაში არსებულმა დეფექტებმა ხელი შეუწყვეს კულაკებს და სპეკულიანტებს, მაგრამ თავის მხრივ კაპიტალისტური ელემენტების შემოტევამ ჩვენს წინააღმდეგ ჩვენი მხრიდანაც გამოიწვია განსაკუთრებული ზომები ამ ელემენტების მიმართ.

მაშასადამე, ეხლანდელ დაბრკოლებებში უნდა ვეძიოთ როგორც მათი ძირითადი მიზეზები, ისე განსაკუთრებული ფაქტორები, რომელთაც გაართულეს არსებული მდგომარეობა. მიმდინარე წლის პურის დამზადების კამპანიის გაკვეთილმა ჩვენთვის ამაოდ არ უნდა ჩაიაროს. პარტიის მიერ ნაცადი კურსის საფუძველზე, მტკიცედ ვატარებთ რა პარტიის ძირითად ხაზს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე და ამასთან შეგვაქვს რა კორექტივები ჩვენს პრაქტიკულ ღონისძიებებში, ჩვენ ეხლაც, მიღებულ ზომების წყალობით, მტკიცედ მივდივართ უკანასკნელ სამეურნეო დაბრკოლებათა გადალახვისაკენ. ამასთან დაკავშირებით, პარტიამ მთელი რიგი გადაწყვეტილებებით მიიღო ზომები რევოლიუციონური კანონიერების დარღვევის, სახურსათო გაწერის მეთოდების და სხვა სრული ლიკვიდაციისათვის, რაც აუცილებლად ხელს შეუწყობს მდგომარეობის გაუმჯობესებას სოფლად.

## საფეიქრო მრეწველობისა და ჩვენი მეურნეობის შესახებ

ჩემი სიტყვის დასაწყისში მე უკვე აღვნიშნე, რომ საფეიქრო მრეწველობა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს. ჩვენ რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მის მდგომარეობას და ყოველ მხრივ უნდა დავეხმაროთ მის შემდგომ განვითარებას. აქ ბევრი მართალი შენიშვნა იყო საფეიქრო მრეწველობის მძიმე მდგომარეობის შესახებ და ბევრმა, ამხანაგმა სწორი მითითება მოგვცა მისი მუშაობის პირობების გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ.

მაგრამ ამავე დროს არც ერთ ამხანაგს არ დავიწყებია იმის აღნიშვნა, რომ მისთვის ძვირფასია არა მარტო საფეიქრო მრეწველობის ინტერესები, არამედ ჩვენი სახალხო მეურნეობის ინტერესებიც მთლიანად. სწორედ ამაშია ჩვენი ბოლშევიკური პარტიის უპირატესობა. პარტიის ყოველი ორგანიზაცია ასწავლის თავის წევრს, რომ ის უდიდესი ყურადღებით ეპყრობოდეს ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის ყოველი ცალკე დარგის კონკრეტულ ამოცანებს და ესმოდეს მრეწველობის ცალკე დარგების საბჭოთა კავშირის მთლიან მდგომარეობასთან შეგუების აუცილებლობა. ეს ბოლშევიკური აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა. საფეიქრო მრეწველობის განვითარებაზე ზრუნვა კომუნისტისათვის, ისევე როგორც ყოველ შეგნებულ პროლეტარისთვის, სრულიადაც არ ნიშნავს მრეწველობის დანარჩენი დარგების დავიწყებას, ხოლო ეხლანდელ პირობებში, როცა ჩვენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მხოლოდ პირველი ნაბიჯები გვაქვს გადადგმული, ეს ნიშნავს განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის მდგომარეობის არდავიწყებას. საფეიქრო მრეწველობის მუშებს საკმაოდ კარგათ აქვთ შეგნებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე აღებული კურსი, ეს კი ნიშნავს —მათ ესმით, რომ საჭიროა განსაკუთრებული დახმარება გაეწიოს მძიმე მრეწველობას, ე. ი. სამთამადნო და ლითონის დარგს. მძიმე მრეწველობის აუცილებელ ამოცანებთან არიან დაკავშირებული „ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი კურსის“ ის განსაკუთრებული სიძნელენი, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს უკანასკნელ დაბრკოლებებში. ამავე დროს მძიმე ინდუსტრიის განვითარების გარეშე ჩვენ ვერ განვავითარებთ მეურნეობის სხვა დარგებს ეხლანდელი დროებითი დაბრკოლებების პირობებში განსაკუთრებით კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ რამდენად უფრო წარმატებით ვივლით ჩვენ ინდუსტრიალიზაციის გზით, ინდუსტრიალიზაციის, რომლის ბაზისსაც წარმოადგენს მძიმე მრეწველობა: მით უფრო წარმატებით აღვადგენთ მთელს ჩვენს მეურნეობას, მათ უფრო წარმატებით შევსძლებთ პროლეტარულ სახელმწიფოს მთავარი მიზნების განხორციელებას.

გარდა ამისა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაზე აღებული კურსი მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო მშენებლობის მთელ რიგ სხვა უმნიშვნელოვანეს ამოცანების გადაჭრასთან, მაგალითად, რადიკალურ გარდატეხასთან კულტურულ მშენებლობაში. ეს ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ. ეს განსაკუთრებით საჭიროა საფეიქრო მრეწველობის მუშებისა და მუშა ქალებისათვის. რაც შეიძლება მეტი დახმარება უნდა გაუწიოთ საფეიქრო მრეწველობას, როგორც იმიტომ, რომ ქალაქის და სოფლის მშრომელი მასები ჯერ კიდევ არ არიან დაკმაყოფილებულნი საფეიქრო მრეწველობის პროდუქტებით, ისე იმიტომაც, რომ საფეიქრო მრეწველობა თავისი შემოსავლის წყალობით წარმოადგენს მნიშვნელოვან დამხმარე საშუალებას მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის და ამასთან მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი მშენებლობის განვითარებისათვის. მუშათა მასებმა და საფეიქრო მრეწველობის ხელმძღვანელებმა მით უფრო უნდა იზრუნონ თავიანთი პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მისი ხარისხის გაუმჯობესების და მისი გაიაფებისთვის, რომ ყველაფერი ეს წარმოადგენს აუცილებელ პირობას არა მარტო ფეიქართა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, არა მარტო საფეიქრო მრეწველობის შემდგომი განვითარებისთვის, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის მთელი სოციალისტური მშენებლობის განვითარებისათვის.

## თვითკრიტიკის შესახებ

ბოლოს, ორიოდე სიტყვა თვითკრიტიკის შესახებ.

თვითკრიტიკა გადაიქცა მომენტის ერთ-ერთ ძირითად პოლიტიკურ ლოზუნგად. მართალია ეს თუ არა? მართალია.

საითკენ არის მიმართული ჩვენი პროლეტარული თვითკრიტიკა? იმ ნაკლთა აღმოფხვრისაკენ, რომლებიც ჯერ კიდევ ბევრია ჩვენში და აფერხებენ ჩვენს მშენებლობას და რომელთა მხილება და გამომჟღავნება თანდათან უფრო აადვილებს მათ აღმოფხვრას. თვითკრიტიკა ჩვენთვის განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ, პროფესიონალური და პარტიული აპარატის იმ ნაწილებისა და ელემენტების მიმართ, სადაც თავს იჩენენ, კლასობრივად ჩვენთვის უცხო გავლენები და ნაშთები. თვითკრიტიკის განვითარება მუშათა კლასში საჭიროა იმისთვის, რომ აღმოვფხვრათ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე არსებული დაბრკოლებები, რომლებიც გამოიხატებიან ჩვენი ორგანოების მუშაობის ამა თუ იმ დეფექტებში, ბიუროკრატიულ გადამახინჯებებში და, საერთოდ, ჩვენთვის უცხო კლასობრივ გავლენაში ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანი ელემენტების მხრივ, რომლებიც ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხვდებიან. თვითკრიტიკის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს მუშათა ფართო მასების ჩაბმას ჩვენი ორგანოების ყოველგვარი დეფექტის აღმოფხვრის საქმეში და განსაკუთრებით იმ ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა დაძლევაში, რომლებსაც ადგილი აქვს ამ ორგანოებში.

მართალია, ჩვენში თვითკრიტიკის ლოზუნგს ხშირად ისე იყენებენ, რომ იგი საწინააღმდეგო შედეგებს იძლევა. ასეთია, მაგალითად, ის შემთხვევები, როცა ჩვენ სამეურნეო მუშაკების უმიზეზოდ სახელს გატეხენ: ასეთივეა გაზვიადება და გაბერვა პირადი ცხოვრების ამა თუ იმ მომენტების, რომელთაც არა აქვთ არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და არავითარი კავშირი სოციალისტურ მშენებლობასთან. ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების მოვალეობაა არ დაუშვან „თვითკრიტიკის“ ასეთი მეთოდების განვითარება. რაც შეეხება იმათ, რომელთაც უყვართ ყველა სამეურნეო ხასიათის ნაკლის თავზე მოხვევა სამეურნეო მუშაკებისთვის, ჩვენ მათ უნდა შევეკითხოთ: დროა თუ არა დეფექტებისთვის სამეურნეო მუშაობაში, სამეურნეო მუშაკებთან ერთად, პასუხი ვაგებინოთ ჩვენს პარტიულ და პროფესიონალურს ორგანიზაციებსაც? დროა თუ არა შემოვიღოთ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ნამდვილი პასუხისმგებლობა მთელი სამეურნეო მუშაობისათვის და, მაშასადამე, სამეურნეო პრაქტიკის დეფექტებისთვისაც?

ჩვენთვის საჭიროა, რომ თვითკრიტიკა გაძლიერდეს ორივე მხრიდან—ქვევიდან და ზევიდან. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ შეგვიძლია მივსდიოთ ვლადიმერ ილიჩის რჩევას. ლენინი 1918 წელს, მეტად ძნელ პირობებში გადაჭრით მოუწოდებდა „**უვარგისის ძაგებისაკენ**“ ამასთან იგი აღნიშნავდა, რომ საჭიროა როგორც „საქმიანი, დაუზოგველი, ჭეშმარიტად—რევოლიუციონური ბრძოლა ბოროტების კონკრეტულ მატარებელთა წინააღმდეგ“, ისე მუდმივი „ბრძოლა რეაქციონური“ ნაშთების წინააღმდეგ“ მუშების ცალკე ჯგუფებში და ფენებში, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან კაპიტალიზმის ტრადიციებისა და ჩვეულებებისაგან და საბჭოთა სახელმწიფოს უყურებენ ძველებურად: მივსცეთ „მას“ ნამუშევარი, რაც შეიძლება ნაკლები და ცუდი, ხოლო დავაძროთ რაც შეიძლება მეტი ფული“. (ლენინი 4 ტომი, გვ. 888).

თავის თავად ცხადია, ჩვენ გვესაჭიროება, როგორც იქვე აღნიშნა ლენინმა, რაც შეიძლება ხშირი „მოწოდება იმის შესახებ, რომ ვისწავლოთ კარგისაგან“, „მეტი ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ როგორ ჰქმნის საქმით მუშათა და გლეხთა მასა ახალ ღირებულებას თავის ყოველდღიურ მუშაობაში“. უნდა გამოვტყდეთ, რომ ლენინის ეს მითითებანი ჯერ კიდევ ძალიან ცუდად გვაქვს გამოყენებული.

თვითკრიტიკის ლოზუნგს ამჟამად უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა სწორედ იმიტომ აქვს, რომ მუშათა მასებში ფეხი მოიმაგრა პარტიის პოლიტიკის, გეზის კურსის გაგებამ; ამასთან გაძლიერდა მათი აქტიური მისწრაფება — მონაწილეობა მიიღონ ამ პოლიტიკის განხორციელებაში მით, რომ ერთის მხრით, თავიდან ააცილონ ჩვენს ორგანოებს სხვადასხვა ნაკლი, ხოლო მეორე მხრით, — ააშორონ მუშათა კლასის სხვადასხვა ფენებს და ჯგუფებს მუშათა კლასის ინტერესების თვალსაზრისით უარყოფითი ნაშთები ძველი ცხოვრებისა. ჩვენი სამეურნეო, პროფესიონალური, კოოპერატიული და პარტიული ორგანოების ბიუროკრატიულ სიმახინჯესთან ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მასების აქტიურ მონაწილეობას თვითკრიტიკის ლოზუნგით. ეს მონაწილეობა გაამაგრებს ჩვენს პოზიციებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში დღემდე გვხვდება თვითკრიტიკის განვითარების ერთგვარი შიში. ეს შიში იწვევს მისწრაფებას, — სასტიკ რეგლამენტს დაუქვემდებარონ თვითკრიტიკა, მჭიდროდ მოამწყვდიონ იგი ერთგვარ ჩარჩოებში. მაგრამ თუ ასე წარმოვიდგენთ პარტიული ხელმძღვანელობის საჭიროებას თვითკრიტიკის გატარების საქმეში, მაშინ ასეთ წარმოდგენას მოჰყვება სხვადასხვა შემცდარი და მავნებელი დასკვნა. სამწუხაროდ, ასეთი შეცდომების მაგალითს გვაძლევს ჩვენი ცენტრალური ორგანო „ბოლშევიკი“-კი. რაკი ამ ჟურნალის რედაქციის წევრი ვარ, არ შემიძლია არა ვსთქვა, თუნდაც თვითკრიტიკის წესით, რომ ასეთი შეცდომა ჩაიდინა ერთ-ერთმა ჩვენმა ამხანაგმა „ბოლშევიკის“ მე-10 ნომრის მოწინავე წერილში. ამ წერილს აშკარად დაეტყო შიშნარევი სულიერი განწყობილება: „ვაი თუ კარგი რამე არ მოჰყვეს თვითკრიტიკასო“. მაგრამ თუ ასე მივუდგებით თვითკრიტიკის განვითარების ამოცანას, ეს ლოზუნგი, ალბად, მხოლოდ ქაღალდზე დარჩება. არ შეიძლება ვიმეორებდეთ. „ჩვენი ლოზუნგი—თვითკრიტიკა არისო“ და ამავე დროს თავგამოდებით ვზრუნავდეთ, რომ ეს თვითკრიტიკა გულმოდგინედ მოვაქციოთ რეგლამენტების ჩარჩოებში და უცებ შევაფერხოთ ამ ლოზუნგის განხორციელების საქმე. ბოლოს: ცურვა რომ ვისწავლოთ, წყალში უნდა შევიდეთ. ხოლო პარტიამ, რომ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს თვითკრიტიკას, ამის საჭიროებას არავინ არ გადააქცევს სადაოდ. ამიტომ ზემოთ აღნიშნული შეცდომის გასასწორებლად „ბოლშევიკის“ რედაქციამ ჟურნალის შემდგომსავე ნომერში, მოწინავე წერილის ნაცვლად, მოათავსა ც. კ.-ის მიმართვა თვითკრიტიკისა და პროლეტარული დემოკრატიის საკითხის შესახებ. ამ მიმართვაში გადაჭრით არის ლაპარაკი თვითკრიტიკის განვითარების შესახებ, ამ საქმეში ბიუროკრატიული შიშის დაძლევის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, რომ თვითკრიტიკა უაღრესად მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული შინაპარტიული და, საზოგადოდ პროლეტარული დემოკრატიის განვითარებასთან.

ჩვენ საკმაო საშუალება გაგვაჩნია, სათავეშივე აღმოვფხვრათ მტრული ელემენტების ცდა, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ, მაგრამ ძალიან ცოტა გვაქვს გაკეთებული იმისათვის, რომ ნამდვილად ხელი შევუწყოთ თვითკრიტიკის განვითარებას მუშათა მასებში, იმ თვითკრიტიკის განვითარებას, ურომლისოდაც შეუძლებელია სერიოზული ბრძოლა ჩვენი ორგანოების სხვადასხვა ბიუროკრატიულ ნაკლთან. მიმდინარე მომენტის მთავარი პოლიტიკური ამოცანების სწორი გაგება მოითხოვს, რომ ხელი ავიღოთ თვითკრიტიკის მოქცევაზე რეგლამენტების ჩარჩოებში და თვითკრიტიკის შენელებაზე მუშათა კლასში. პირიქით, პოლიტიკური ამოცანების გაგება მოითხოვს, რომ მასების კრიტიკას თან [illegible] მასების აქტივობის მეტი ზრდა მთელი ჩვენი მშენებლობაში. ჩვენი ორგანოების დეფექტების კრიტიკა და პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებში ხელმძღვანელთა არჩევის პრინციპის ნამდვილი განხორციელება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს — ყოველნაირად დავეხმაროთ თვითკრიტიკის ლოზუნგის ასეთ განხორციელებას, იმ ლოზუნგისა, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია პირველ ყოვლისა შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების ლოზუნგთან.

ორიოდე სიტყვა დასკვნის ნაცვლად.

სოციალისტური მშენებლობის დარგში პრაქტიკული მუშაობის ყოველი ახალი დღე და თვით ამ გზაზე გადალახული დაბრკოლებანი წარმოადგენენ პარტიის გეზის სისწორის მუდმივ შემოწმებას. დღევანდელი მომენტი ერთ-ერთი ისეთი მომენტია, როდესაც ყოველ ჩვენგანისათვის ნათელია, რომ პარტიის პოლიტიკას მძლავრ დამხმარედ ჰყავს მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელობით მომქმედი გლეხობის მასა, მიუხედავად იმისა, რომ მკაფიოდ გამოაშკარავდა ჩვენი სამეურნეო პრაქტიკის მინუსები, რამაც გამოიწვია [illegible] საბჭოთა ორგანიზაციებში ხელმძღვანელთა [illegible] ერთგვარი პოლიტიკური მინუსები, მაგალითად სოფლად.

ამასთან ერთად დღევანდელი მომენტი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ დებულების სისწორეს, რომ ყველაზე უფრო სწორი გეზიც კი არ უზრუნველჰყოფს და ვერც როდისმე შეუძლია უზრუნველჰყოს უნისლო კეთილდღეობა, უეკალნარო ბილიკი და დაუბრკოლებელი წინსვლა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. ჩვენ ვქმნით უაღრესად ძნელ საქმეს, სოციალისტური მშენებლობის საქმეს ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყანაში. ჩვენს წინსვლასთან დაკავშირებულია ჩვენი კლასობრივი მტრების გაძლიერებული წინააღმდეგობისა და კონტრ-შემოტევის ცდის დაძლევა, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობის გაძლიერების ცდის დაძლევა. ჩვენ დაუღალავად უნდა ვიმუშაოთ, რომ გავაუმჯობესოთ მთელი ჩვენი პრაქტიკული მუშაობა, თავიდან ავიცილოთ მრავალი ნაკლი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში და ამავე დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს შემდეგი: სოციალისტური მშენებლობა შეუძლებელია ისე, რომ ყოველ წუთს არ სწარმოებდეს მკაცრი კლასობრივი ბრძოლა, რომ ჩვენს წინსვლას მედგარ წინააღმდეგობას არ უწევდენ კაპიტალისტური ელემენტები, რომელთაც არ სურთ სიკვდილი და რომელნიც, პირიქით ცდილობენ და ზოგჯერ ახერხებენ კიდეც, დაიმყარონ მუშათა კლასის მერყევ მოკავშირეთა ამა თუ იმ ნაწილს, მეტადრე სოფლად. მაგრამ, მიმდინარე მომენტის ფხიზელი შეფასება მტკიცე რწმენას გვინერგავს, რომ გლეხობის მთავარ მასებთან დაკავშირებული მუშათა კლასი სწორი გზით მიდის, იგი დასძლევს მერყეობის შემთხვევებს იმით, რომ ნათლად, თანდათანობით და მტკიცედ გაატარებს ცხოვრებაში თავის გეზს და დაუღალავად იმუშავებს თავისი ყოველდღიური **პრაქტიკის** ყველა მხარის გასაუმჯობესებლად.

შენის არჩევნებზე. პარტიული ჟურნალი გაზზარული აღმოჩნდა. საჭირო შეიქნა მისი ორმაგად შეკოწიწება. მთელი საკითხი იმაში მდგომარეობდა, რომ პარტიის ცენტრალური დაწესებულებების არჩევნების დროს უზრუნველყოფილიყო მათი ისეთი შემადგენლობა, რომელიც საიმედო გარანტია იქნებოდა შემდგომი დაუზოგავი ბრძოლისა პარტიულ კუსტარნიკობასთან და რეფორმიზმთან.

ბრძოლის სირთულე პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ართულებდა პარტიის ხელმძღვანელი ორგანიზაციების სტრუქტურას. ჯერ კიდევ ყრილ.-დე ლენინის მიერ გამომუშავებული გეგმით, მეორე ყრილობას უნდა აერჩია: ცეკა—მუშაობის პრაქტიკული ხელმძღვანელი რუსეთში, ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო—პარტიის იდეური ხელმძღვანელი რომელიც გამოიცემოდა საზღვარ-გარეთ და პარტიის საბჭო, რომელიც ორივე ორგანოს მუშაობას შეათანხმებდა.

ლენინმა და ბოლშევიკებმა წინადადება შეიტანეს, რომ ცეკაში არჩეული ყოფილიყვნენ მხოლოდ ისკრელები და ისიც უმთავრესად „მტკიცე ისკრელები", ცენტრალური ორგანოს რედაქციაში კი—სამი წევრი „ისკრა"-ს ძველი რედაქციიდან—ლენინი, მარტოვი და პლეხანოვი—ძველი ექვსეულის ნაცვლად, რომლის უძლურება მუშაობაში გამოირკვა ბევრად ადრე ყრილობამდე.

პირიქით, მარტოვმა წამოაყენა ცეკას ისეთი შემადგენლობა, რომელიც უზრუნველყოფდა უმრავლესობას „რბილ" ისკრელების და ჭაობის ბლოკისათვის, ე. ი. აუცილებელს ხდიდა „ც. კ. მიხვეულ-მოხვეულ ხაზს". ისკრელების კრებაზე ლენინის წინადადებამ გაიმარჯვა. მაშინ მარტოვმა მოიწადინა განხეთქილების შეტანა „ისკრა"-ს ორგანიზაციის შიგნით და დავა ყრილობაზე გადაიტანა. ცენტრალური ორგანოს შემადგენლობის საკითხში მენშევიკები მოითხოვდნენ მთელი ძველი ექვსეულის დამტკიცებას.

მარტოვის მომხრეებს იმედი ჰქონდათ, რომ ბუნდისტებისა და ეკონომისტების დახმარებით მათი წინადადება და ცენტ. ორგანოს შესახებ გავიდოდა ყრილობაზე. მაგრამ არჩევნების წინ მიღებულ რეზოლიუციაში „ბუნდის ადგილის შესახებ პარტიაში" ყრილობამ უარყო წინადადება ფედერაციის შესახებ, რის გამო ბუნდისტებმა დასტოვეს ყრილობა; მათ შემდეგ წავიდნენ აგრეთვე „რუს სოციალ-დემოკრატების საზღვარ-გარეთის კავშირის" წარმომადგენლები—მარტინოვი და აკიმოვი. მარტოვის მომხრეები ყრილობაზე უმცირესობაში დარჩნენ, და ყრილობამ მიიღო ისკრელების უმრავლესობის წინადადება ცენტრალური ორგანოს და ცეკას შემადგენლობის შესახებ მაშინ მარტოვი წავიდა განხეთქილებაზე და უარი სთქვა დამორჩილებოდა ყრილობის გადაწყვეტილებას და ემუშავნა ცენტრალურ ორგანოს რედაქციაში.

უთანხმოება „რბილ" და „მტკიცე" ისკრელებს შორის განხეთქილებად გადაიქცა.

## ბოლშევიზმი და მენშევიზმი მე-2-ე ყრილობის შემდეგ

1. ბოლშევიკების და მენშევიკების გათიშვა მე-2-ე ყრილობაზე იმ ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენდა, რომელიც ყრილობამდე წარმოებდა მარქსისტებსა და რეფორმისტებს შორის. ბოლშევიკები იცავდნენ რევოლიუციონური მარქსიზმის პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებს და ამით განაგრძობდნენ ძველი „ისკრის" ტრადიციებს, მენშევიკები კი დაექანნენ ოპორტუნიზმის ჭაობში ეკონომისტებისა და ბუნდელებისაკენ, რომლებსაც ისინი ჯერ კიდევ ყრილობის დასაწყისში ებრძოდნენ. თუმცა შემდეგ მენშევიკები ბევრს ჰყვიროდნენ, რომ „მეორე ყრილობაზე არავითარი პრინციპიალური უთანხმოება არ არსებობდა მათსა და ბოლშევიკებს შორის" და „ლენინის მომხრეთა დამოკიდებულება ჩვენ მიმართ, არსებითად, დაფუძნებულია გაუგებრობაზეო" (აქსელროდი „ისკრის" № 68-ში), მაგრამ, უეჭველია, რომ აქ ერთმანეთს შეეჯახა სოციალ-დემოკრატიაში არსებული ორი მიმდინარეობა—რევოლიუციონური და ოპორტუნისტული, სხვადასხვანაირი ორგანიზაციული, ტაქტიკური და ნაწილობრივ პროგრამული შეხედულებებით.

მე-2-ე ყრილობაზე და შემდეგ მის დამთავრებისთანავე პირველ რიგში წარმოიშვა ორგანიზაციული ხასიათის უთანხმოებანი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის; ტაქტიკური და პროგრამული უთანხმოება კი, უეჭველია, მაშინაც არსებობდნენ, მაგრამ სავსებით თავი იჩინეს შემდეგ, 1904 წლის დამლევს.

2. ყრილობის შემდეგ მენშევიკები განაგრძობდნენ თავიანთ გამთიშველ ტაქტიკას: მათ სრული ბოიკოტი გამოუცხადეს პარტიის ცენტრალურ ორგანოს და ცენტრალურ კომიტეტს. ამავე დროს მათ რუსეთში გაგზავნეს რამდენიმე კაცი ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ხელში ჩასაგდებად.

ბოლშევიკები, პირიქით, საჭიროდ სთვლიდნენ ყველა ზომის მიღებას იმისათვის, რომ თავიდან აეცილებიათ გათიშვა; ისინი იმაზედაც კი დასთანხმდნენ, რომ „რედაქციაში კოოპტაციის წესით მიეწვიათ რედაქციის ოთხივე ყოფილი წევრი", მხოლოდ იმ პირობით, თუ პარტიის საბჭოში ბოლშევიკებს უმრავლესობა ეყოლებოდათ. მენშევიკებმა ეს წინადადება უარჰყვეს. ამის შემდეგ ისინი დაეყრდნენ უცხოეთში არსებულ სოციალ-დემოკრატების ლიგას და დაიწყეს ბრძოლა ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. თავის ყრილობაზე 1903 წლის 26-31 ოქტომბერს ლიგამ უარი განაცხადა დამორჩილებოდა ცენტრალურ კომიტეტს, და ცეკას წარმომადგენელი იძულებული გახდა დაშლილად გამოეცხადებია იგი.

მაგრამ ლიგის ყრილობის რეზოლიუციამ, რომელსაც მხარი დაუჭირა უცხოეთში მცხოვრებ სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციის უმრავლესობამ, ძლიერი გავლენა იქონია პლეხანოვზე, რომელმაც ამის შემდეგ გადასწყვიტა დათმობებზე წასულიყო მენშევიკების მიმართ. ლენინი გამოვიდა რედაქციიდან (1903 წლის 1 ნოემბერს), პლეხანოვმა პირადად მოიწვია ცენტრალური ორგანოს რედაქციაში კოოპტაციის წესით ოთხი მენშევიკი (1903 წლის 26 ნოემბერს). „უცხოეთში მომხდარმა ბინძურმა კინკლაობამ დასძლია რუსეთის მუშაკების უმრავლესობის გადაწყვეტილებანი", —სწერდა ლენინი (ლენინის კრებული, VII, გვ. 225). ცენტრალური ორგანო მენშევიკების ხელში გადავიდა. ლენინმა და ბოლშევიკებმა „წაიღეს თავიანთი პატარა არტილერია, მიატოვეს ის ციხე, რომლის კომენდანტმა მტერს კარი გაუღო" და გადავიდნენ მეორე ფორტში—ცენტრალურ კომიტეტში.

მალე მენშევიკებმა თავიანთი გავლენა გაავრცელეს ცენტრალურ კომიტეტზედაც, რომელიც შემარიგებელ პოზიციას დაადგა. ამ დროს რამდენიმე ბოლშევიკი—ცეკას წევრი დააპატიმრეს, ერთ-ერთი მათგანი (ზემლიაჩკა) სრულიად უსაფუძვლოდ გამოცხადებულ იქნა ცენტრალურ კომიტეტიდან გასულად, დარჩენილებმა კოოპტაციის წესით მიიწვიეს ცენტრალურ კომიტეტში რამდენიმე „შემარიგებელი", შემდეგ კი ნამდვილი მენშევიკებიც.

ამავე დროს პარტიული კომიტეტების უდიდესი უმრავლესობა რუსეთში (20) თავის რეზოლიუციებში მთლიანად მხარს უჭერდა ბოლშევიკების პოზიციას. მენშევიკებს მხარი დაუჭირა მხოლოდ 5 კომიტეტმა. ბოლშევიკები დაეყრდნენ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს და დაიწყეს აგიტაცია პარტიის მესამე ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ. მენშევიკებმა, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ცენტრები (პარტიის საბჭო და ცენტრალური ორგანო), არა თუ თითონ განაცხადეს უარი ყრილობის მოწვევაზე, არამედ ცეკაში ისეთი რეზოლიუციაც კი გაატარეს, რომელიც ჰკიცხავდა ლენინს მისი აგიტაციისათვის.

მესამე ყრილობისათვის მზადება და მისთვის ბრძოლა მთლიანად ბოლშევიკებს დააწვათ კისერზე. 1904 წლის აგვისტოში ჟენევაში მოხდა 22 „მტკიცეს" („твердокаменных") კრება, რომელმაც მიმართა პარტიას დეკლარაციით პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის საჭიროების შესახებ. რუსეთის რამდენიმე კომიტეტთან შეთანხმებით „მტკიცეებმა" შექმნეს უმრავლესობის კომიტეტების ბიურო, რომელიც გამოვიდა მესამე ყრილობის ორგანიზატორის როლში. 1904 წლის ნოემბერში ბიურო დაამტკიცა რუსეთში მომხდარმა რამდენიმე არალეგალურმა პარტკონფერენციამ: ჩრდილოეთის, სამხრეთის და კავკასიის პარტკონფერენციებმა. 1905 წლის იანვრის დასაწყისში ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდ"-იც გამოვიდა.

1905 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკების ღონისძიებათა წყალობით მოწვეულ იქნა მესამე ყრილობა.

3. ახალი „ისკრა"-ს ორგანიზაციული შეხედულებები წარმოადგენდნენ ეკონომისტების კუდში ჩანჩალის შემდგომ განვითარებას. მათი როლი, მუშათა კლასზე ბურჟუაზიული გავლენის გავრცელების როლი, უწინარეს ყოვლისა მდგომარეობდა ბრძოლაში პარტიის ცენტრალიზაციის წინააღმდეგ, მისი ორგანიზაციული განმტკიცების და ოპორტუნისტებისაგან გაწმენდის წინააღმდეგ, და ისიც სწორედ მაშინ, როდესაც ეს განმტკიცება განსაკუთრებით საჭირო იყო—1905 წლის რევოლიუციის წინ და ამ რევოლიუციის დროს.

აქსელროდის წერილი ახალ „ისკრა"-ში და ლ. ტროცკის ბროშურა „ჩვენი პოლიტიკური ამოცანები" დამთავრებული სახით შეიცავენ მენშევიკურ მოძღვრებას პარტიის, მისი ამოცანების და საორგანიზაციო პრინციპების შესახებ.

მაშინ, როდესაც ბოლშევიკები რევოლიუციის მოახლოების პირობებში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ პარტიული ორგანიზაციის განმტკიცებას, მენშევიკები ძლიერ დაუდევრად ეკიდებოდნენ პარტიის საორგანიზაციო ამოცანებს. ტროცკის ფორმულის მიხედვით „მთელი ჩვენი ამოცანა პოლიტიკური ტაქტიკის სფეროშია. ჩვენ... არ ვაყენებთ დამოუკიდებელ საორგანიზაციო ამოცანებს და ვფიქრობთ, რომ ყველაზე უფრო გადაუდებელი საორგანიზაციო ამოცანების გადაჭრა გზადაგზა ხდება პოლიტიკური ბრძოლის პროცესში. ამ მნიშვნელობით ჩვენ მართლაც ოპორტუნისტები ვართ საორგანიზაციო საკითხში". („ჩვენი პოლიტიკური ამოცანები").

მენშევიკების წარმოდგენით, პარტია პროლეტარიატის ცენტრალიზაციაქმნილი ორგანიზაცია კი არ უნდა ყოფილიყო, რომელსაც უნდა მოესპო ოპორტუნისტების და რეფორმისტების ყოველი მერყეობა, არამედ „პარტიული აზრის ყველა ელფერისა და მიმდინარეობის ჯამი" (ტროცკი). ახალი „ისკრა" საერთოდ უარყოფდა ლენინის ცენტრალიზმს პარტიის საორგანიზაციო წყობაში და ამტკიცებდა, რომ ლენინი პარტიაში „საალყო წესებს" ქმნის და ამზადებს არა პროლეტარიატის დიქტატურას, არამედ დიქტატურას პროლეტარიატზე. „ცენტრალიზმის იდეა საერთოდ საოცრად უშუეო აზრიაო"—აცხადებდა ტროცკი. შემდეგ მენშევიკები, პირველ რიგში აქსელროდი, მოითხოვდნენ, რომ პარტია უნდა „სწავლობდეს" მუშათა კლასთან, და კი არ უნდა ხელმძღვანელობდეს მას, არამედ „ხელს უნდა უწყობდეს მისი კლასობრივი ორგანიზაციების განვითარებასო", ამ შეხედულებას ისინი ასაბუთებდნენ ინტელიგენტების სიჭარბით პარტორგანიზაციებში.

4. ახალი „ისკრა"-ს პოლიტიკური შეხედულებები უწინარეს ყოვლისა მდგომარეობდნენ იმაში, რომ ის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობას, რომლისთვისაც თითქმის არც ერთი წერილიც არ მიუძღვნია. შემდეგ ის ზედმეტად აფასებდა ბურჟუაზიულ-ლიბერალური და კერძოდ საერობო მოძრაობის რევოლიუციონურ მნიშვნელობას. ახალი „ისკრა" ამტკიცებდა, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც „რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატია.., გამოვა, როგორც რევოლიუციონური პოლიტიკური პარტიაო", ხოლო მარტოვი იმასაც კი ფიქრობდა, რომ „რუსეთის ისტორიული განვითარების მსვლელობამ რევოლიუციონური მოძრაობის პირველ რიგებში დააყენა... ერობებიო". აქედან გამომდინარეობდა პროლეტარიატის ჰეგემონიის უარყოფა რევოლიუციაში და ბურჟუაზიის ჰეგემონიის აღიარება.

ამ შეხედულებებიდან ლოღიკურად გამომდინარეობდა „საერობო კამპანიის გეგმა", რომელიც ახალ „ისკრა"-ს რედაქციამ წარუდგინა ყველა ადგილობრივ პარტორგანიზაციას 1904 წლის შემოდგომაზე. მენშევიკურმა „ისკრა"-მ წინადადება მისცა ყველა პარტორგანიზაციას ფართო კამპანია გაემართა მუშათა კლასში: მოეწყო დემონსტრაციები და გაეგზავნა მუშათა დელეგაციები საერობო მუშაკებთან, რათა „გაათამამონ ისინი და ისეთი გავლენა მოახდინონ მათზე, რომ ისინი შეუერთდნენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი პროლეტარიატი წამოაყენებსო". ამრიგად, ახალი „ისკრა"-ს გეგმით, პროლეტარიატს თავისი ტაქტიკა უნდა შეეგუებია ბურჟუაზიის ტაქტიკასთან და ხელი უნდა აელო თავისი კლასობრივი ხაზის გატარებაზე. ის უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ დეკლარაციებით და ბურჟუაზიის შორის აგიტაციის გაწევით იმის იმედით, რომ ბურჟუაზია ამ აგიტაციის წყალობით გამემარცხენდებოდა და რევოლიუციონურ ტაქტიკას დაადგებოდა.

როგორც ვხედავთ, მენშევიკების ტაქტიკური და საორგანიზაციო შეხედულებები მთლიანად წარმოადგენდნენ ძველი „ისკრა"-ს ხაზის ღალატს. ხოლო „ისკრა"-ს ხაზი მეორე ყრილობის შემდეგ პარტიის ხაზად გადაიქცა. თვით ახალი „ისკრა"-ს მუშაკები აღნიშნავდნენ —„ძველსა და ახალ „ისკრა"-ს შორის უფსკრულიაო" (ტროცკი), ბოლშევიკები, პირიქით, ძველ „ისკრა"-ს ხაზს განაგრძობდნენ. „ეკონომიზმი გარდაიქმნა „მენშევიზმად". ძველ „ისკრა"-ს რევოლიუციონური ტაქტიკის დაცვამ შექმნა ბოლშევიზმი". (ლენინი, XIII, გვ. 124).

(დასასრული იქნება)

# ლიტერატურა

## მეორე ყრილობის 25 წლის იუბილესათვის

### რომელსაც ურჩევს საკითხავად და მოხსენებისათვის საქ. კომ. პარტიის ც. კ—ს სააგიტ-პროპაგანდო და პარტიის განყოფილებანი

**I. მუშათა და რევოლიუციონური მოძრაობის ხანა „ისკრა"-ს და მეორე ყრილობის დროს (1900—1904)**

1) «1905 г.» История революционного движения в отдельных очерках. Под ред. Покровского. I т., ГИЗ 1925 г.
2) ფ. მახარაძე. 1905 წ. ამიერ კავკასიაში. —სახელგამი 1926 წ.
3) ფ. მახარაძე. თბილისის ორგანიზაციის 30 წლის თავი.
4) ფ. მახარაძე. საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის.—სახელგამი 1927 წ.
5) „რევოლიუციის მატიანე"-ს ნომრები. 1923—1928 წ. წ.
6) История В. К. П., т. I, вып. I, под общей редакцией Е. Ярославского.
7) პოპოვი. საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორია. სახელგამი.
8) თ. ჟღენტი. „1905 წ. გურიაში".—სახელგამი 1927 წ.
9) თ. ჟღენტი. რევოლიუციონური მოძრაობა შორაპნის მაზრაში. 1905 წ.—სახელგამი 1927 წ.
10) ვოლოსევიჩი. საკავშირო კომპარტიის მოკლე ისტორია.—სახელგამი 1927 წ.
11) ს. წულუკიძე. თხზულებანი.—სახელგამი.

**II. ლენინის და „ისკრის" როლი მეორე ყრილობაზე. ბოლშევიზმის ჩამოყალიბება იმავე ყრილობაზე**

1) Ленин.—Сочинения, изд. 2-ое под ред. Бухарина, т. II (1900—1902 г.)
2) Крупская Н.—Перед вторым с'ездом. Ленинск. сборник 4-й.
3) Лепешинский.—Историческая роль и значение старой «Искры».
4) Астров В.—«Экономисты»—предтечи меньшевиков; изд. «Красная Новь». 1924 г.
5) Лепешинский. Второй с'езд партии; изд. «Пролетарий» 1928 г.
6) Р. С. Д. Р. П. Протоколы второго с'езда.
7) Ленин. Собр. сочинений; т. V.
8) ფ. მახარაძე. საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის. — სახელგამი.
9) „რევოლიუციის მატიანე" №—2/19—1928 წ.
10) სტალინი. ლენინიზმის საკითხები.—სახელგამი 1928 წ.
11) Бухарин—Три речи на XIV Всероссийской конференции Р. К. П. (б); ГИЗ 1926 г.

**III. მოგონებანი და მასალები მეორე ყრილობის დროს მომუშავე ამხანაგებისა**

1) ბ. ბიბინეიშვილი. მეოთხედი საუკუნის მანძილზე.—სახელგამი.
2) მ. ჩოდრიშვილი. ჩემი მოგონებანი.—სახელგამი.
3) „რევოლიუციის მატიანე"-ს ნომრები 1923—1928 წ. წ.
4) დ. ს. კამო. წერაქვის გამოცემა.
5) Енукидзе А.—Наши подпольные типографии на Кавказе. «Новая Москва». 1926 г.

**IV. ბელეტრისტიკა**

1) გორკი მ. დედა.—გამოცემა „შრომა".
2) ლომთათიძე ჭოლა. თხზულებანი.
3) დავით სულიაშვილი. ნადვერდალი.—„ზაქკნიგა" 1927 წ.
4) დავით სულიაშვილი. ჩიკორი.—სახელგამი 1928 წ.
5) ლეო ქიაჩელი. ტარიელ გოლუა.—სახელგამი.
6) ვ. მალაქიაშვილი. შოთა ბროლიძე.
7) Бибик К. Широкой дорогой. «Недра».
8) Решетов. К Новой Жизни. ГИЗ.

# საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

## საქართველოს პროფსაბჭოს მოწოდება

### ყველა პროფკავშირების ც. გ., სამპროფბიუროებს და ავტონ. რესპუბლიკების პროფკავშირების საბჭოებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მიმდინარე ივლისის 15-დან 22-მდე ჩატარებული იქნება „თავდაცვის კვირეული". გასულ წელს „კვირეული" ჩატარდა სულ სხვა პირობებში, როცა ომის საშიშროებას უშუალოდ განვიცდიდით, და ამიტომ „კვირეულს" დაკვრითი კამპანიის ხასიათი ჰქონდა. ამჟამად კი „კვირეულის" ჩატარებამ რამოდენიმედ სხვა ხასიათი და შინაარსი უნდა მიიღოს და ჩატარდეს იმ მიმართულებით, რომ განმტკიცებული და გაძლიერებული იქნეს თავდაცვა-ავიაქიმის მასიური მუშაობის მიღწევები პროფორგანიზაციებში. მიმდინარე კამპანია მიზნად ისახავს შემდეგს საერთო პოლიტიკურ ამოცანებს:

1. დავანახვოთ, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე მთელი მსოფლიოს მშრომელებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, რომ წარმატებით დამთავრდეს სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა კავშირში;

2. განუმარტოთ საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებს, რომ კაპიტალისტური ქვეყნები ემზადებიან ახალი სისხლისმღვრელ ომისათვის;

3. მივაქციოთ ჩვენი რესპუბლიკებისა და მთელი ქვეყნის მშრომელთა ყურადღება საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეზე, ვინაიდან საბჭოთა კავშირი არის საიმედო დასაყრდენი საერთო მშვიდობიანობისა და მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის.

გარდა ამ ზოგად პოლიტიკურ ამოცანებისა, „კვირეული" ისახავს შემდეგს პრაქტიკულ ამოცანებს:

1. თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედებისა და წევრების რიცხვის გადიდება, რისთვისაც ხსენებული საზოგადოების რიგებში უნდა ჩავაბათ ახალი წევრები—მუშები და მოსამსახურეები, და აგრეთვე თავდაცვა-ავიაქიმის მატერიალური ბაზისის გაძლიერება და მისი მუშაობის ღირსების გაუმჯობესება;

2. თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის ღირსება-ნაკლოვანებების გამოკვლევა და ამ საზოგადოების იდეების გავრცელება მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებში.

3. სამხედრო საქმისა და მუშაობის გაძლიერება პროფორგანიზაციებში და ამ საქმისათვის სათანადო ყურადღების მიქცევა.

აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა:

1. მუშა-მოსამსახურეთა ფართო კრებებზე და აგრეთვე კლუბებსა და წითელ კუთხეებში მოეწყოს პოპულარული მოხსენებები თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მუშაობისა და „თავდაცვის კვირეულის" პოლიტიკური და პრაქტიკული ამოცანების შესახებ.

მოხსენებები სასურველია მოეწყოს შემდეგს თემაზე:

ა) თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობისა და „თავდაცვის კვირეულის" შედეგები;

ბ) ომის წინააღმდეგ საყოველთაო განიარაღებისათვის;

გ) სამხედრო ტეხნიკის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარება.

2. საპროფკავშირო კულტდაწესებულებებმა კამპანიის დღეებს უნდა შეუფარდონ სამხედრო კუთხეების, სამხედრო ცოდნათა წრეების და ტირების გახსნა კლუბებსა და წითელ კუთხეებში, რომლებშიაც უნდა ჩავაბათ პროფკავშირების წევრთა ფართო მასები. საჭიროა აგრეთვე „თავდაცვის კვირეულის" დროს მოეწყოს შეჯიბრი საუკეთესო მსროლელზე სათანადო ჯილდოს დანიშვნით და სხვ.

3. ბიბლიოთეკის მუშაობა „კვირეულის" განმავლობაში უნდა გამოიხატებოდეს პოპულარული სამხედრო ლიტერატურის გავრცელებაში და გამოფენების მოწყობაში და აგრეთვე მასიურ სალიტერატურო სალამოების გამართვაში სამხედრო საკითხების გარშემო.

საჭიროა ყველა კლუბებში გაიმართოს ფასიანი კონცერტები, წარმოდგენები და სეირნობა, რომელთა შემოსავლის 10 პროც. „კვირეულის" განმავლობაში გადაიდება, თანახმად საქართვ. ცენტრ. აღმასკომის დადგენილებისა, თავდაცვა-ავიაქიმის სახსრების გასაძლიერებლად. ნაცვლად 10 პროც. გადადებისა, კლუბებს შეუძლიათ შეუთანხმდნენ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს, რომ უკანასკნელებმა მოაწყონ საკუთარი ძალებით ერთი ფასიანი დადგმა ან სალამო, რომლის შემოსავალიც უკლებლივ გადაეცემა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას.

ს. პ. კ. ს. მდივანი მაჩაიძე.
ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების გამგე ფირალიშვილი.

წითელი არმიის რიგებში გაწვეულთა ნაწილი იგზავნება უმცროს მეთაურთა სკოლებში. უმცროს მეთაურთა შემადგენლობის აღზრდა, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროისათვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეიარაღებულ ძალთა მომზადების საქმეში, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა უფ-პოლიტშემადგენლობის უახლოესი თანაშემწეა ნაწილების ყოველ მხრივ მომზადებაში. ომის ეხლანდელი ტაქტიკა ბრძოლის ველზე მეტად საპასუხისმგებლო ადგილს უთმობს მცირე საბრძოლო დანაყოფებს. ამიტომაც განსაკუთრებით ფართო მნიშვნელობა ეძლევა უმცროს მეთაურთა შემადგენლობას. აქ შერჩევის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო წერა-კითხვის ცოდნას, ფიზიკურ მხარეს, არამედ მომავალ უმცროს მეთაურების პოლიტიკურ და მორალურ თვისებებსაც.

გაწვეულთა ყოველმხრივი შერჩევა გასაწვევ წერტზე მეტად ძნელია. ამისათვის გასაწვევ წერტებს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივ საბჭოთა, პარტიულმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა.

უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ წითელ არმიაში არ შევპარონ ისეთი პირები, ვისაც კანონის ძალით არ აქვთ მუშურ გლეხურ არმიის რიგებში სამსახურის უფლება.

გასულ წლის საბჭოების გადარჩევების კამპანიის შედეგებმა გამოარკვია, რომ არმიის რიგებში მოხდა ისეთი პირები, რომლებსაც ან თვითონ ქონდათ წართმეული საარჩევნო უფლებები ან და მათ ოჯახებს. მათი პროცენტი რა თქმა უნდა უმნიშვნელოა.

ამასთან დაკავშირებულია საგადასახადო შეღავათების თავის დროზე უზრუნველყოფის ამოცანა (განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადში), რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს წითელ არმიელთა პოლიტიკურ-მორალურ განმტკიცებისათვის. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ძალით შეღავათებით სარგებლობენ არა მხოლოდ ის, ვინც უკვე მსახურობს წითელი ჯარის რიგებში, არამედ მორიგი გაწვევაც. გასულ წლებში საგადასახადო ინსტრუქციის ძალით საჭირო იყო მოწმობის წარდგენა ჯარის ნაწილიდან, რომ წითელ არმიელს საგადასახადო შეღავათი მიეღო. წელს ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს, ვინაიდან ნაწილებში გაგზავნა უმთავრესად იწყება მხოლოდ ოქტომბრის შუა რიცხვებში, საგადასახადო კომისიებმა უნდა ისარგებლონ გამწვევ კომისიების მასალით და სამხედრო სამსახურში ახლად მიღებულთა მიმართაც გაატარონ დაწესებული შეღავათები.

მომავალ გაწვევის პერიოდში გამწვევ წერტებზე გატარდება 1 მილიონზე მეტი ახალგაზრდობა, რომელთაც თან ახლავთ მშობელ ნათესავები, განსაკუთრებით სოფლის ადგილებში თავის თავად ცხადია, რომ ეს გარემოება დიდ საშუალებას მოგვცემს მოსახლეობაში აგიტაცია-პროპაგანდის საწარმოებლად. ამ საქმის ორგანიზაცია მთლიანად ეკისრება ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს იმ წერტებზე, სადაც არსებობს სამხედრო გარნიზონები, ნაწილების პოლიტიკური აპარატი, რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული გამწვევი წერტებზე აგიტაცია პროპაგანდის წარმოებაში.

კოოპერაციამ უნდა გააძლიეროს გამწვევი წერტებისათვის სასურსათო პროდუქტების მიწოდება, აგრეთვე მან გაწვეულთა გადაყვანის პერიოდში უნდა გაშალოს კოოპერატიული დუქნების ქსელი რკინის გზებზე.

ვ. ლევიჩევი.

### სამხედრო ქრონიკა

**სათადარიგო უფროსშემადგენლობის გადამზადება**

ქ. გორში დაიწყო სათადარიგო უფროსი შემადგენლობის გადამზადება.

**თავდაცვის კვირეულისათვის**

№ დივიზიის პოლიტგანყოფილებამ თავის ნაწილებს მისცა დირექტივა „თავდაცვის კვირეულის" ჩასატარებლად. დირექტივის თანახმად ნაწილების ხელმძღვანელობით სხვადასხვა სოფლებში უნდა გაიხსნას ახალი სამხედრო კუთხეები, სასროლო ტირები და სხვა.

**გაზეთ „წითელარმიელი"-ს სპეციალური ნომერი**

თავდაცვის კვირეულისათვის გამოვა გაზეთ „წითელარმიელი"-ს სპეციალური ნომერი რომელიც დაგზავნილ იქნება სოფლებში. ამავე გაზეთში მთელი კვირეულის განმავლობაში დიდი ადგილი დაეთმობა თავდაცვა-ავიაქიმის მიღწევ-ნაკლოვანებათა გაშუქებას.

**თავდაცვა-ავიაქიმი და გაზეთ „წითელ არმიელი"**

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით საზოგადოების ყველა უჯრედი ვალდებულია გამოიწეროს გაზეთი „წითელი არმიელი". აგრეთვე უჯრედებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ აღნიშნულ გაზეთის გავრცელების საკითხს თვით საზოგადოების წევრთა შორის.

**ახალი ძალები სოფლად მუშაობისათვის**

№ დივიზიის პოლიტგანყოფილების დირექტივის თანახმად 1905 წ. დაბ. ახალწვეულ ცვალებადდელთათვის ნაწილებში მოეწყობა საბჭოთა ძირითადი აპარატის მუშაკთა და შეკრებათა შორისი მომუშავეთა აქტივის მოსამზადებელი სემინარები. მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან და გასტანს 5 აგვისტომდე.

## როგორ უნდა ჩატარდეს თავდაცვის კვირეული

თავდაცვის კვირეულის წარმატებით ჩატარებისაგან დიდად დამოკიდებულია უჯრედის შემდგომი გაშლა-განვითარება. ამიტომ თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო უჯრედებმა უნდა გამოიჩინოს თავისი ინიციატივა და ენერგია ამ კამპანიის მომზადებასა და გატარებაში.

პირველ ყოვლისა საჭიროა კარგად დამუშავდეს კვირეულის ჩატარების გეგმა. ის წინასწარ უნდა მომზადდეს საზ-ბის უჯრედის საქმიანობის ცალკე დარგებსა და წარმოებაში ან დაწესებულებაში არსებულ ცალკე ორგანიზაციებში, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი თავდაცვა ავიაქიმის უჯრედების მთელი აქტივის და სხვა ორგანიზაციების (კლუბი, ფაბ-კომი ა. ლ. კ. კ. წითელი ჯვარი და სხვ.) მონაწილეობა კვირეულის ჩატარებაში.

თავდაცვის კვირეულის ჩატარებისას ორგანიზაციების წინაშე უნდა იდგეს სამი ძირითადი ამოცანა: 1) სამხედრო მუშაობის განმტკიცება განვითარება წრეების (სასროლო, სამხედრო ცოდნათა, საჰაერო-სპორტული) და ავიაქიმ-რაზმების მოწყობის საშუალებით; 2) საზოგადოებაში ახლად შესულ წევრთა ჩაბმა თავდაცვა-ავიაქიმის მასიურ მუშაობაში; 3) საზოგადოების ნივთიერი ბაზის გაძლიერება.

უკვე კამპანიის დასაწყისისათვის თავდაცვა-ავიაქიმის ყველა უჯრედებმა და საქალაქო ორგანიზაციებმა საფუძვლიანად უნდა შეამოწმონ თავისი მუშაობა, ჯამი უნდა გაუკეთონ მიღწევებს და აღნიშნონ ნაკლი. განვლილი მუშაობის შემოწმებაში მიზიდულ უნდა იქნენ სარევიზიო კომისიები, ხოლო სადაც ეს შესაძლებელია, მუშგლეხკორების წარმომადგენლებიც.

თავდაცვის კვირეულის წარმატებით ჩატარებაში უდიდეს როლს თამაშობს მშრომელთა ყურადღების მობილიზაციის საკითხი საბჭოთა კავშირის თავდაცვის გარშემო.

კვირეულის ჩატარების დროს სათანადოთ უნდა გამოვიყენოთ ორი შაბათ-სალამო და ორი კვირა-დღე.

უნდა გამოვიდეთ დახშულ ბინებიდან და მთელი მუშაობის საჩვენებელი მხარე ჩავატაროთ საზაფხულო კლუბებში, სასპორტო მოედნებზე, მოვაწყოთ ექსკურსიები და სხვა.

მოხსენებებში საერთაშორისო მდგომარეობის მოკლე დახასიათებას გარდა უნდა გაშუქდეს ორგანიზაციების ღონისძიებები საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერების საქმეში აქ საჭიროა განვავითაროთ ორგანიზაციების საქმიანობის კრიტიკა ფართო მასების მხრივ.

კრებებმა, რომლებიც წინასწარ გაეცნობიან საზოგადოების მუშაობის მიღწევებს, ნებაყოფლობით უნდა გადასჭრან მატერიალური დახმარებისა და მასიურ სამხედრო მუშაობის ფონდის შექმნის საკითხი.

კრებების შემდეგ ნაჩვენები უნდა იქმნეს საწრეო მუშაობის მიღწევები. ამ მიზნით უმჯობესია მოეწყოს შეჯიბრები სროლაში, ვინტოვკის დაშლაში, აწყობაში, აირწინაღის აფარებაში, საცხენოსნო-სასპორტო და სხვა. სასარგებლო იქნება შეჯიბრის მოწყობა მამაკაცებისა და ქალების გუნდებ შორის, ახალგაზრდებისა და მოზრდილებ გუნდებს შორის და სხვა; უნდა გაიმართოს პიონერებისა და მოსწავლეების შეჯიბრები ცალკე წარმოებებსა და დაწესებულებებს შორის, „თავდაცვის კვირეულის" განმავლობაში გამოყენებულ უნდა იქნეს მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ველად გასვლა, მანევრებისა და სამხედრო თამაშში მონაწილეობა, ბრძოლის ინსცენირებები, საჰაერო-ქიმიური თავდასხმა და სხვა. ყველაფერი ეს უნდა მოეწყოს რაიონის ან მთლიანად ქალაქის მაშტაბით.

თავდაცვის კვირეულთან შეფარდებული უნდა იქნას სამხედრო კუთხეებისა და ტირების გახსნა, წრეების მეცადინეობის დასრულება ან დაწყება, კვირეულისათვის უნდა გამოვიდეს კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, თავდაცვის ფურცლები (ადგილობრივ გაზეთებში) და სხვა.

ყოველი წარმოება უნდა დაეხმაროს თავის საშეფო სოფელს თავდაცვის კვირეულის ჩატარებაში ამ კამპანიის გამოცდილების საფუძველზე საზოგადოების უჯრედმა შემდგომში უნდა გააღრმაოს თავისი პრაქტიკული მუშაობა.

ვ. ლ.

## მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

ორი თვის შემდეგ დაიწყება 1906 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის ჯარში გაწვევა. ეს იქნება მე-5 გაწვევა, რომელიც ტარდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის საფუძველზე. მოსახლეობა საკმაოდ გაცნობილია ამ კანონს. ადგილობრივ სამხედრო აპარატს დიდი გამოცდილება აქვს გაწვევის წარმოების საქმეში. შექმნილი და მოწყობილია გასაწვევ წერტების მტკიცე ქსელი. ამ წერტებზე საექიმო შემოწმების, გუნდების შედგენისა და მათი გაგზავნის საქმე საკმაოდ გარკვეულ ფორმებში ტარდება.

სამხედრო სამსახურისათვის ვარგის გასაწვევ ახალგაზრდობის რაოდენობა 3 ჯერ აღემატება არმიის მოთხოვნილებას. ამიტომაც დიდი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ გასაწვევთა შერჩევის საკითხს, ამას გვიკარნახებს წითელი არმიის საბრძოლო მომზადებისა და მისი კარგად გაწრთვნილი თადარიგით უზრუნველყოფის ინტერესები.

# მუშათა ცხოვრება

### გავაცხოველოთ მუშების წინადადებების გატარების გამოკვლევა

მასიური მუშაობის წარმოებას ადგილებზე ხელს უშლის ის გარემოება, რომ ადგილობრივი პროფორგანოები ცოტა არ იყოს გულგრილად ეკიდებიან მუშების წინადადებათა ცხოვრებაში გატარების გამოკვლევის საქმეს. მასიური მუშაობა მარტო საერთო კრებების მოწვევით და ამ კრებებზე გრძელი მოხსენებების გაკეთებით არ ამოიწურება. მასიური მუშაობის მთავარი საშუალება—ეს არის მუშების წინადადებათა განხორციელება და ამ გზით მუშათა აქტივის წამოყენება.

თვითკრიტიკის ლოზუნგთან დაკავშირებით, მუშათა აქტივი ადგილებზე საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ამ ზრდას თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არ ექნება თუ ადგილობრივი სათანადო ორგანოები ამ აქტივს არ გაუწევენ სწორ და მიზანშეწონილ ხელმძღვანელობას და არ მისცემენ საშუალებას უფრო ენერგიულად აწარმოონ მუშაობა სხვადასხვა თავისუფალ საზოგადოებებში.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოები ამ საკითხს ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მართალია ისინი ყოველგვარ ზომებს ღებულობენ მუშების წინადადებების გასამრავლებლად, მაგრამ სამაგიეროთ არავითარ ზომებს არ ღებულობენ ამ წინადადებების ცხოვრებაში გასატარებლად და არც აწარმოებენ წინადადებების განხორციელების გამოკვლევას. ეს ითქმის განსაკუთრებით ფაბრიკა-ქარხნებთან არსებულ სხვადასხვა კომისიების დადგენილებების გატარებაზე. ფაბქარხკომები არ აწარმოებენ კომისიების ღონისძიებების გატარების გამოკვლევას და ამიტომ ხშირად ადმინისტრაციაც უყურადღებოდ სტოვებს კომისიების გადაწყვეტილებებს.

კომისიების დადგენილებებისადმი ასეთი უყურადღებობა, რასაკვირველია, რომ ხელს უშლის მუშათა აქტივის წამოყენებას და თვით წარმოების გაუმჯობესებასაც. კომისიების მუშაობის გაცხოველება და მუშათა აქტივის გაძლიერება, რაც თავდებია წარმოების გაჯანსაღებისა და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მუშათა წინადადებების განხორციელების გამოკვლევისა და აღრიცხვის გარეშე, შეუძლებელია.

ადგილობრივმა პროფესიონალურმა ორგანოებმა, განსაკუთრებით მელითონეთა კავშირის ადგილკომებმა, რომლებიც ვერ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას ადგილობრივ კომისიების დადგენილებისა და მუშების წინადადებების გატარების აღრიცხვა-გამოკვლევას, ანგარიში უნდა გაუწიონ ამ გარემოებას და მიიღონ გადამწყვეტი ზომები, როგორც მუშების წინადადებების გასატარებლად, ისე მათ გამოსაკვლევად. მხოლოდ ასეთი საშუალებით გავაცხოველებთ მასიურ მუშაობას ადგილებზე.

მელითონე.

### ტყუილად ნუ გვაცდენთ

გადაწყვეტილია სასწრაფოთ მოწვეულ იქნეს საქართველოს ფოსტა - ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა, რის გამო უკვე დაიწყო აღნიშნულ ყრილობაზე დელეგატების არჩევნები. ამ დღეებში ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს მუშკომის თავმჯდომარემ ამხ. ფირცხალავამ მოიწვია მუშა - მოსამსახურეების საერთო კრება. დამსწრე ამხანაგებს გააცნო დღის წესრიგი და სთქვა, რომ ძირეულ უნდა იყოს სამი დელეგატი მომავალ ყრილობისათვის. კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. ფირცხალავა, მაისურაძე და ჯანიაშვილი.

7 ივლისს ამავე მუშკომის მიერ მოწვეული იყო სასწრაფო საერთო კრება, სადაც ხელმეორედ დაისვა საკითხი ყრილობაზე დელეგატების არჩევნების შესახებ, მუშების შეკითხვაზე თუ რით არის გამოწვეული ხელმეორედ ასეთი საკითხის დასმა, მუშკომმა უპასუხა, რომ პირველი არჩევნები უკანონო იყოო.

რას ნიშნავს ეს? თუ მუშკომმა იცოდა, რომ პირველი არჩევნები უკანონო იქნებოდა, მაშინ რაღად მოიწვია საერთო კრება და რათ მოაცდინა მუშები. და თუ კანონიერი იყო, რაღად მოახდინა არჩევნების გადარჩევა? შემდეგისათვის ურჩევთ მუშკომს ჯერ გაიგოს და გაიცნოს თავის უფლება მოვალეობანი და ისე მოიწვიოს ხოლმე საერთო კრებები, ტყუილა უბრალოდ დროს ნუ აკარგვინებთ მუშებს და თვითონაც ნუ სცდებით მუშაობიდან.

დამსწრე.

### ბავშვებმა რა დააშავეს

სად. თბილისის ახლო, მალაქის ქუჩის მხრივ, მოთავსებულია რკ. გზის სახლები, სადაც ათასამდე რკინისგზელი სცხოვრობს, ყველა მათგანი წვრილი ცოლშვილის პატრონი არიან და თითო ბინაში ექვსი შვიდი სული სცხოვრობს. სახლებს ზედამხედველობს სალიანდაგო დარგის მე-6-ე უბნის თანამშრომელი მოქ. ებანოიძე, რომელსაც ძლიერ უყვარს თავისთავიც და აგრეთვე სახლებში მისი წყალობით შემოსახლებული ძმა-ბიჭებიც.

სახლები ინგრევა. ოთახები საშინელ მდგომარეობაშია, კედლები გაუთეთრებელია, წვიმის დროს წყალი ჩამოდის, აივნებზე დიდი სიბინძურეა, კანალიზაცია გასაწმენდია და სხვა, მაგრამ ამას ებანოიძე, არავითარ ყურადღებას არ აქცევს, რადგან მისი ბინა არ მოითხოვს შეკეთებას; ის ყველაზე კარგად და კარგ ბინაში სცხოვრობს. ან რატომ არ იცხოვრებს კარგ ბინაში? მცხოვრებლებისათვის უბრალო მელი ვერ უშოვნია კედლების გასათეთრებლად და მისი ბინა კი ზეთიანი საღებავით არის შეღებილი. ასეთივე ყურადღებას აქცევს თავის ძმა - ბიჭებს საბალავსკის და ჩხეიძეს; ებანოიძემ მათი ბინაც ზეთიანი საღებავით გაალამაზა. სხვა მცხოვრებლების ბინაში კი ძაღლი არ შეგიდება, მაგრამ იგი თავს არ იწუხებს ბინების აუცილებლივ შესაკეთებლადაც კი. ვინ მიაქცევს ამას ყურადღებას?

წყარო.

### მოგვაქციეთ ყურადღება

(ახალდაბის ხე-ტყის სახ. ქარხანა)

ახალდაბის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ასამდე მუშა-მოსამსახურე მუშაობს, მაგრამ მათში კულტურული მუშაობა სრულებით არ სწარმოებს. წინად აქ გამოდიოდა კედლის გაზეთი, რომელიც უკვე 6 თვეა აღარსად სჩანს. არსებობდა აგრეთვე მუშკორთა წრე, მაგრამ თაღლით ხელმძღვანელის დაუდევრობით, იგი დაიშალა. მუშებისათვის გასართობი ოთახიც, სადაც არის: ჭადრაკი, ნარდი და სხვ. დაკეტილია. ასეთივე მდგომარეობაშია სამკითხველოც. წიგნები უყურადღებოდ ყრია შკაფში.

ქარხკომი, გეყოფა ძილი, დროა შეიგნო, რომ მუშებს სათანადო კულტურული ამაღლება უნდა.

პავლე ბლიაძე.

### დისციპლინარული სასჯელი არ კმარა

მიმდინარე წლის იანვარში მე-8-ე სამილიციო რაიონის მიერ მოხდენილი იქნა გამოკვლევა უმცროს მილიციელის მოქ. ნონიაშვილის საქმის შესახებ, გამოძიების დროს გამოირკვა, რომ მილიციელ ნონიაშვილს მჭიდრო კავშირი აქვს როსკიპ ქალებთან და თავისი ბინა გადაუქცევია საროსკიპოთ. ეს დადასტურდა რაიონშივე მოხდენილ გამოკვლევით და მილიციელისათვის სათანადო სასჯელის დასადებად, მთელი მასალა გადაეგზავნა აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსს, რომელმაც მილიციელ ნონიაშვილს მიუსაჯა 7 დღით დაპატიმრება.

ეს სასჯელი რასაკვირველია, ვერ გამოასწორებს გარყვნილ მილიციელს, მან ამ უმნიშვნელო სასჯელის მოხდის შემდეგ, ხელმეორედ მიჰყო ხელი მაჭანკლობას და ცოცხალი სხეულით ვაჭრობას. ასეთ ვაჭრობას და პროსტიტუციის ხელის შეწყობას აწარმოებდა დღემდე, მაგრამ დღეს ხელახლა შესდგა მილიციელ ნონიაშვილზე საქმე, ხოლო არა სამილიციო რაიონში, არამედ სისხლის სამართლის მილიციაში, სადაც მას მიუსჯიან სათანადო სასჯელს.

ეს არ კმარა. საჭიროა ამ მხრივ მუშაობის გაცხოველება და მილიციის რიგების გაწმენდა ნონიაშვილებისაგან მილიციელებიდან. დისციპლინარული სასჯელის დადება ასეთ შემთხვევაში, როგორც იურიდიულად, ისე სხვა რაიმე მოსაზრებითაც ყოვლად დაუშვებელია.

ჩემი.

### მუშკორთა წერილებიდან

**რამდენი პატრონი ჰყავს.** უნივერსიტეტის ქ სახლი № 3—ეკუთვნის ვ. ყიფშიძეს, თამარა ყიფშიძეს, გ. სოხაძეს და სხვებს, არც ერთი მათგანი სახლს არ აქცევს ყურადღებას. ისინი მდგმურებს მუშტი-კრივითაც კი უმასპინძლდებიან. ბინასკომი, გამოარკვიე რამდენი პატრონი ჰყავს აღნიშნულ სახლს და მდგმურებისადმი უხეშად მოპყრობის გამო მოსთხოვე პასუხი.

ამხირებული.

**ვერ გვაკმაყოფილებს.** ლენინის უბანში „ზაკტპო"-ს ფარდული № 144—ვერ აკმაყოფილებს მომხმარებლებს. ფარდულში ძალიან ბევრია ღვინო, არაყი, ყავა და სხვა ასეთები, მაგრამ მუშის ოჯახისთვის აუცილებელი საჭირო სურსათი — სანოვაგე კი თითქმის სრულებით არ არის. „ზაკტპო"-ს გამგეობავ ვერ გვაკმაყოფილებს № 144 ფარდული.

სიმართლე.

**მოგვაშორეთ ეს კაცი** (ჭიათურა). საქართველოს „მარგანეცი"-ს ექსპედიტორ კ. ლორთქიფანიძის უხეში საქციელი არა ერთხელ იყო აღნიშნული გაზეთებში, მაგრამ მის მოპყრობას საშველი მაინც არ დადგა. ის უფრო სასტიკად ავიწროებს მუშებს. სამთამადნო კავშირო, მოგვაშორე ეს მხეცი კაცი.

კომკავშირელი.

**მაკლერი ნოქარი.** მუშკოპის № 39 მაღაზიის ნოქარი მოქ. ხედიაშვილი მაკლერობას ეწევა; ის პირდება მომხმარებელს ბინას და აძლევს იმედს, რომ თუ ვერ იშოვნა სადმე, იმ შემთხვევაში თავის ბინას დაუთმობს.

მეთვალყურე.

# მუშა და გლეხ-კორესპონდენტების თათბირი

## წავალთ თუ არა ჩვენ საკავშირო თათბირზე

ჩვენ ვლაპარაკობთ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მეოთხე სრულიად საკავშირო თათბირზე, რომელიც უნდა შესდგეს მომავალ ოქტომბერში მოსკოვში. და ვაყენებთ კითხვას ამნაირად: წავალთ თუ არა ამ თათბირზე?

ზოგიერთებს, რომლებიც ერთი შეხედვით გაეცნობიან ამ კითხვას გაუკვირდებათ მისი, პირველი შეხედვით, ასეთი მიუღებელი დასმა: როგორ, ჩვენ, საქართველოს მუშ - გლეხკორები და არ წასვლა საკავშირო თათბირზე, სადაც შეიკრიბებიან ყველა რესპუბლიკების ბეჭდვითი სიტყვის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი შემომქმედნი, მუშ - გლეხკორები;

დიახ, ვუპასუხებთ ჩვენ, შეიძლება მოხდეს, რომ არ წავიდეთ.

რაზეა ეს დამოკიდებული?

ჩვენ მკითხველებს და კერძოდ ამაში დაინტერესებულ კორესპონდენტებს ემახსოვრებათ, რომ ამ დღეებში (1 ივლისი) „კომუნისტში" დაიბეჭდა წერილი მუშ - გლეხკორთა საკავშირო ყრილობის მნიშვნელობისა და იქ დასწრების პირობების შესახებ. ამ წერილში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: „რედაქციამ (ლაპარაკია „მუშგლეხკორის" რედაქციაზე), გაითვალისწინა რა წარსული თათბირის გამოცდილება, გადასწყვიტა: მეოთხე თათბირი მოეწყოს იმგვარად, რომ 1) უზრუნველყოფილ იქნას თათბირში მონაწილეობა ყველაზე უფრო აქტიური მუშა - კორესპონდენტების, გლეხ - კორესპონდენტების, სამხედრო კორესპონდენტების და ახალგაზრდათა კორესპონდენტების მხრივ, რომლებიც კედლის გაზეთების ნამდვილი მონაწილენი არიან; 2) წარმოებულ იქნეს მასიური მზადება თათბირისათვის, რათა ამ თათბირმა ხელი შეუწყოს კედლის გაზეთების და წრეების გამოცოცხლებას და მუშათა და გლეხთა სულ უფრო ფართო ფენების ჩაბმას ამ მოძრაობაში".

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთად ერთი სწორი გზა თათბირზე გასაგზავნ ღირსეული დელეგატების შესარჩევად არის ის, რომელიც ნაჩვენებია ზემოთმოყვანილ სიტყვებში. საჭიროა რომ ჩვენმა მუშგლეხკორებმა თავისი აქტივობით, ცოცხალი მასიური მუშაობით, იმის და მიხედვით, თუ რა და რამდენი გააკეთა მათმა კედლის გაზეთმა ჩვენი მიმდინარე მუშაობის, მშენებლობის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში და მათ გამოსწორებაში—აი ასეთი ნამუშევარის შეჯამებით დაიპყრან უფლება საკავშირო თათბირზე დასწრების. ვისაც მეტი გაუკეთებია, ვისაც მეტი აქტივობა გამოუჩენია მუშებისა და გლეხების შემოსაკრებად ამა თუ იმ კედლის გაზეთის ირგვლივ, რომელ კედლის გაზეთის წრეს მეტი უმუშავნია ადგილობრივი საზოგადოებრივობის დასარაზმავად რომელიმე უარყოფითი მოვლენის, შეცდომათა გამოსასწორებელი კამპანიების ირგვლივ—აი სწორედ მათ, სწორედ ასეთ წრეებს აქვთ უფლება აირჩიონ თავიანთი რიგებიდან დელეგატები საკავშირო თათბირზე გასაგზავნად. ამნაირად ჩვენი კითხვა იმის შესახებ: „წავალთ თუ არა ჩვენ საკავშირო თათბირზე?"—უნდა გავიგოთ იმ აზრით, რომ ვართ თუ არა ღირსი ჩვენი წარსული მუშაობის მიხედვით, დავესწროთ ამ თათბირს, მივიღოთ იქ ნაყოფიერი მონაწილეობა, ნაყოფიერი როგორც ჩვენთვის კერძოდ ისე საერთო მთელი მუშგლეხკორთა მოძრაობისათვის ან, თუ შეიძლება ითქვას ისე მთელი „მუშგლეხკორებისათვის". ასე სდგას საკითხი ყველგან.

როგორც ჩვენი კორესპონდენტები ხედავენ, იმ კითხვის გადაჭრა, რომელიც სათაურათ აქვს ჩვენს წერილს, სრულიად მათგან და არა ვინმე სხვისაგან ყოფილა დამოკიდებული.

თათბირამდე დარჩა თითქმის სამი თვე, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. თითო ადგილობრივ კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია, მუშა თუ გლეხკორების ის წრე, რომელმაც ეს კოლეგია ამოირჩია უნდა შეეცადოს მოახდინოს კრება როგორც კედლის გაზეთის კორესპონდენტების, ისე მისი მკითხველების და კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს ამ გაზეთის, მისი კოლეგიის და ბოლოს თვით წრის წარსული მუშაობა, გამოამზეუროს ნაკლი, მიღწევები და ყოველივე შეგვატყობინოს ჩვენ ამ კედლის გაზეთის დაარსების მოკლე ისტორიასთან ერთად. ასეთი ანგარიშის გარდა ჩვენ მივიღებთ ამა თუ იმ კედლის გაზეთის შესახებ დადებითი თუ უარყოფითი ხასიათის კორესპონდენციებსაც, რომ საშუალება მოგვეცეს გავეცნოთ მის მუშაობას მთლიანად და შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიოთ ღირსეულ მუშგლეხკორთა წრეებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ საკავშირო თათბირზე დასწრების ზემოხსენებულ პირობებს.

გარდა ამისა ამ მუშაობასთან პარალელურად ჩვენ რამოდენიმედ მაინც მოგვეცემა საშუალება გავეცნოთ ჩვენი კედლის გაზეთების რაობას, მათ რაოდენობას, ხარისხს, ერთი სიტყვით, უკეთესად, ვინემ დღეს, გავეცნოთ ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივობის ერთ უდიდეს კუთხეთაგანს.

ეს არ არის კედლის გაზეთების კონკურსი ამ სიტყვის ფორმალური გაგებით. შეიძლება ეს მუშაობა შეიქნეს მოსამზადებელ ეტაპათ ასეთი კონკურსისათვის მომავალში. მაგრამ არსებითად კედლის გაზეთების და მათ ირგვლივ შემოკრებილ მუშგლეხკორთა და მკითხველთა საზოგადოებრივობის ეს დათვალიერება მიზნათ ისახავს მათ შორის საუკეთესოების შერჩევას, რომელთა ჯილდოს მსგავსი რამ იქნება საკავშირო თათბირზე წასვლა.

მაშ დავათვალიეროთ ჩვენი კედლის გაზეთები ქალაქად და სოფლად, გავეცნოთ მუშგლეხკორთა წრეების აქტივობას, ამ წრეების საზოგადოებრივ მუშაობას და მის შედეგებს. ჩვენი გაზეთი მიიღებს ამ წრეების, ამ კედლის გაზეთების და მათი მუშაობის მიუდგომელ აღწერას და შეფასებას და შეძლებისდაგვარად კიდევაც გამოაქვეყნებს მათ.

ვიმეორებთ, დარჩა კიდევ სამი თვე. გამოვიყენოთ ეს დრო ნაყოფიერად.

## ჭიათურის მუშკორებში

ამას წინად, სამთამადნო მუშათა კლუბში შესდგა ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშკორთა თათბირი. თათბირის დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: თვითკრიტიკის ლოზუნგი და მუშკორთა ამოცანები. ამ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციის წარმომადგენელმა ამხ. ს. ელიაძემ. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა თვითკრიტიკის მნიშვნელობაზე და გააცნო თათბირის მონაწილეთ თუ რა მიზანს ისახავს თვითკრიტიკა, რატომ წამოაყენა ის მმართველმა პარტიამ მიმდინარე მომენტში და რა როლი ეკისრებათ მუშკორებს თვითკრიტიკის სწორად და უნაკლოდ გატარების საქმეში.

ამის შემდეგ მომხსენებელი შეეხო „კომუნისტი"-ს რედაქციის მუშაობას მუშგლეხკორთა შორის და აღნიშნა, რომ დღემდის რედაქცია აწარმოებდა მუშაობას მხოლოდ თბ. მუშკორებში, რაც შეეხება პროვინციებს, აქ ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობა თითქმის არ სწარმოებდა. მუშგლეხკორთა რიცხვის თანდათანობით ზრდამ დღის წესრიგში დასვა საკითხი მუშკორთა შორის მუშაობის გაცხოველების აუცილებლობის შესახებ. ამ მიზნით რედაქციის მიერ უკვე გამოყოფილია ცალკე მუშაკი, რომელიც სპეციალურად იმუშავებს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა შორის და უხელმძღვანელებს ადგილებზე როგორც მუშგლეხკორთა წრეებს, ისე კედლის გაზეთებს.

მომხსენებელმა თათბირს გააცნო აგრეთვე „კომუნისტი"-ს ტირაჟის სწრაფი ზრდა, მისი გაუმჯობესება როგორც შინაარსით, ისე ტეხნიკურადაც და აგრეთვე სარედაქციო მუშაობა.

მოხსენების ირგვლივ შემდეგ მრავალი შეკითხვები. შეკითხვებელნი მოითხოვდნენ იმის განმარტებას, თუ რა სახით იცავს რედაქცია მუშკორებს დევნისაგან, რატომ ყველა გამოგზავნილი წერილები არ იბეჭდება, როგორი კავშირი აქვს რედაქციას პროვინციის მუშგლეხკორთა წრეებთან, როგორია მუშკორთა აღრიცხვის წესი რედაქციაში, როგორ სწარმოებს მუშკორებთან მიწერ-მოწერა და სხვ.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ამხ. დ. ავალიანმა, ანდრო გოგოძემ, გრ. ჩაფიძემ, ნ. ცირეკიძემ, თ. ენუქიძემ, კაკლაძემ, ივ. ზედელიძემ, პაპუაშვილმა და ალ. ბრეგვაძემ.

ამხ. ავალიანი გამოსთქვამს საყვედურს იმის შესახებ, რომ მუშათა ცხოვრების გაშუქებისას ბევრი წერილები იწერება რკინის გზის შესახებ, ხოლო დანარჩენ წარმოება-დაწესებულებებზე და კერძოდ ჭიათურის სამრეწველო რაიონზე კი ძალიან ცოტა.

ამხ. გოგოძის სიტყვით უკანასკნელი წლის განმავლობაში ჭიათურის მუშკორებს სამჯერ მოისმინეს სხვადასხვა რედაქციების წარმომადგენელთა მოხსენებები, რომლებიც ბევრს გვპირდებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში ძალიან ცოტა შეგვისრულეს. ვგზავნით წერილებს რედაქციებში, მათი უმრავლესობა საქმიანია და საჭიროა მათი გაზეთის ფურცლებზე გაშუქება, მაგრამ გადაგზავნილ წერილებიდან დიდი უმრავლესობა დაუბეჭდავი რჩება და არავითარ ყურადღება არ ექცევა. რედაქციების სისტ. ხელმძღვანელობის გამო, ჩვენ არ ვიცით აგრეთვე, თუ რა სახის მუშაობა უნდა ვაწარმოოთ მუშკორთა წრეებში, როდის უნდა გამოვიმუშაოთ რედაქციების მიერ ჩატარებულ სხვადასხვა კამპანიებს და სხვ.

ამხ. ჩაფიძე აუცილებელ საჭიროდ სთვლის, რათა ჭიათურასაც ისეთივე ყურადღება მიექცეს რედაქციების მიერ, როგორიც ექცევა დანარჩენ სამრეწველო რაიონებს.

ამხ. ცირეკიძე ეხება მუშკორის დევნის საკითხს და აღნიშნავს, რომ მიუხედავად ენერგიული ზომებისა, მუშკორთა დევნას მაინც აქვს ადგილი და ამიტომ საჭიროა როგორც პარტორგანიზაციების, ისე რედაქციების მიერაც მიღებულ იქნას სასტიკი ზომები მუშკორთა მდევნელების წინააღმდეგ.

ამხ. ბრეგვაძე რედაქციების ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ როდესაც მუშა პირველად იწყებს მუშკორობას და აგზავნის რედაქციაში წერილებს, მას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება რედაქციის მიერ და დაიბეჭდოს ასეთი წერილები, რითაც მუშკორი წახალისდება და შემდეგში შესძლებს უფრო საქმიანი წერილების მიწოდებას რედაქციებისათვის.

კამათში გამოსული დანარჩენი ამხანაგები მოითხოვდნენ, რომ რედაქციებმა უფრო მეტი რაოდენობით მოათავსონ ჭიათურის წერილები და აგრეთვე მიიღონ ზომები, რომ დაუბეჭდავ წერილებზე მუშკორებს ეცნობოს წერილის გამოუქვეყნებლობის მიზეზი. მკაცრათ აღნიშნავდნენ, რომ, როდესაც მთელ რიგ წერილებს ვაგზავნით რედაქციაში და აქედან არც ერთი არ დაიბეჭდება, მუშკორს ეკარგება წერის ხალისი და ხშირად თავს ანებებს მუშკორობას.

მომხსენებელმა საბოლოო სიტყვაში თათბირის მონაწილეთ აღუთქვა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში რედაქცია მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა მუშკორთა წერილები უფრო მეტი რაოდენობით იბეჭდებოდეს; ამასთან ერთად დაუბეჭდავ. მაგრამ საყურადღებო წერილებს რედაქცია ჩვეულებრივ გადაუგზავნის სათანადო ორგანოებს საჭირო ზომების მისაღებად და ამის შესახებ აცნობებს აგრეთვე წერილის ავტორს.

თათბირმა მოხსენების ირგვლივ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჭიათურის მუშკორები მთელი თავისი ენერგიით შეეცდებიან თვითკრიტიკის ლოზუნგის ცხოვრებაში პირნათლად და გადაუხვევლად გატარებას და თავის დროზე ამხილონ შემჩნეულ ნაკლოვანებებს.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ თათბირმა მუშკორთა კოლექტივში სამუშაოდ ერთხმად აირჩია ამხ. კ. ლვალაძე.

## ძირითადი დებულებები

### მუშკორთა წრეების მოწყობისა და მუშაობის შესახებ

**1. მუშკორთა წრის ამოცანები**

1. მუშკორთა წრე წარმოადგენს იმ მუშათა და მუშა-ქალთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლებიც სწერენ კედლის გაზეთში ან და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მუშკორთა წრე ეწყობა შემდეგი ამოცანების განსახორციელებლად.

ა) მუშკორთა წრემ პრესის საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა და სამეურნეო აპარატის გაუმჯობესებას, პროფორგანიზაციების, კოოპერაციის და სხვადასხვა საზოგადოებრივ, როგორც ფაბრიკო-საქარხნო, ისე ტერიტორიული (სარაიონო, საქალაქო, საგუბერნიო და სხ.) ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას. მან უნდა გააშუქოს მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხები;

ბ) წრემ მონაწილეობა უნდა მიიღოს წარმოების მუშებსა და მუშა-ქალებს კედლის გაზეთში და საერთოდ პრესაში და ჩააბას ისინი მუშკორთა წრის მუშაობაში;

გ) წრემ ხელი უნდა შეუწყოს მუშკორთა პოლიტიკურ და კულტურულ დონის ამაღლებას, რათა მათ სწორად გაიგონ საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები, შეითვისონ საბჭოთა პარტიულ პრესის ამოცანები და მუშკორთა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის როლი;

დ) წრემ ხელი უნდა შეუწყოს პრესის გავრცელებას წარმოებაში;

ე) წრემ უნდა ჩაატაროს ზომები მუშკორთა დასაცავად დევნისაგან.

**2. მუშკორთა წრის მუშაობა**

2. თავის ამოცანებს მუშკორთა წრე ახორციელებს შემდეგი საშუალებით:

ა) კედლის გაზეთში და საერთო პრესაში აშუქებს განსაზღვრული წარმოების სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საკითხებსა და ფაქტებს.

ბ) აწყობს მოხსენებებსა და საუბრებს წარმოების ცხოვრების საკითხების შესახებ საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების მიმდინარე პოლიტიკისა და პრესის მორიგ ამოცანებზე;

გ) აწყობს მთელ რიგ სისტემატიურ საუბრებს საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ მუშკორთა მუშაობის პრაქტიკიდან. (მაგ., საკითხი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, შრომითი დისციპლინის შესახებ, პროფორგანოების მორიგი ამოცანების შესახებ, საკავშირო კომპარტიის (ბ) პოლიტიკის შესახებ სოფლად, კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ და სხვა). მაგრამ ეს საუბრები არ უნდა გადაიქცეს მშრალ ლექციებად, რომლებიც მოწყვეტილი იქნებიან მუშკორთა მუშაობის უშუალო ამოცანებს.

დ) ხელს უწყობს მუშკორთა ჩაბმას წარმოებაში არსებულ პოლიტ-საგანმანათლებლო სკოლებისა და წრეების საერთო ქსელში (პოლიტცოდნის მარქსიზმის სკოლები და სხვ.).

ე) მონაწილეობას ღებულობს მუშკორების იმ სემინარებში კედლის-გაზეთის საქმისა და პრესის საკითხის შესახებ, რომლებიც ეწყობიან ადგილობრივი გაზეთების რედაქციებთან.

ვ) აწყობს კოლექტიურ და იმ საკითხების გარჩევას, რომლებიც დაისმებიან მუშსოფლკორთა ლიტერატურაში.

ზ) აწყობს კოლექტიურ კითხვას მუშკორების იმ წერილებისა და შენიშვნების, რომლებიც დაწერილია კედლის გაზეთში და საერთოდ პრესისათვის და აქვს საზოგადო მნიშვნელობა; მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს იმის დაწესება, რომ ყველა წერილი აუცილებლივ წინასწარ უნდა განიხილებოდეს წრეში და ფსევდონიმები მჟღავნდებოდეს ავტორების თანხმობის გარეშე.

თ) ფართოთ აწარმოებს მუშათა შორის ჩვენი პრესისა და მუშგლეხსოფლკორთა მოძრაობის ამოცანების პოპულარიზაციას, რისთვისაც აწყობს წრის ღია კრებებს და ქარხკომის კულტკომისიასთან ერთად მოხსენებებს, საუბრებს, საჩვენებელ გასამართლებებს, პრესის სალამოებს და სხვ..

ი) ყურადღებით ადევნებს თვალყურს იმ მიღწევებს, რომლებიც მიღებულია მუშკორების შენიშვნების გამო და ფართოთ აშუქებს კედლის გაზეთში და საერთო პრესაში. კედლის გაზეთისა და მუშკორთა წრის მიერ მიღებულ ყველა წარმატებას.

კ) ხელს უწყობს გაზეთისა და წიგნის გავრცელებას წარმოებაში, რისთვისაც მუშებს, განსაკუთრებით კი მუშათა ახალ ფენებს განუმარტავს პრესის მნიშვნელობას ჩვენს საერთო მშენებლობაში. ჟურნალ-გაზეთებზე ხელის მოწერის პირობებს.

ლ) ყოველმხრივ იცავს მუშკორებს დევნისაგან, რისთვისაც მიმართავს უახლოეს ნაბეჭდ გაზეთთან რედაქციას, ადგილობრივ ორგანიზაციებს, პროკურატურის ორგანოებს და საკონტროლო კომისიებს.

**3. მუშკორთა წრის მოწყობა**

3. მუშკორთა წრე ეწყობა ადგილობრივ კედლის გაზეთთან და თავის პირველ რიგის ამოცანათ ისახავს კედლის გაზეთის შექმნას იქ, სადაც ასეთი არ არის.

4. კედლის გაზეთს, რომელსაც უშვებს კედლკორთა წრე, ეწოდება „ამა და ამ დაწესებულების მუშათა და მოსამსახურეთა გაზეთი" და არა რომელიმე ცალკე ორგანიზაციის ორგანო. მასში მონაწილეობას ღებულობს წარმოების ყველა მსურველი მუშა და მუშა ქალი.

5. წრისა და კედლის გაზეთის მუშაობას ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს წრის საერთო კრება ყველა იმ მუშისა და მუშა ქალის მონაწილეობით, რომლებიც სწერენ გაზეთებში.

6. სარედაქციო კოლეგია პასუხისმგებელია როგორც წრის მუშაობისათვის, ისე გაზეთის შინაარსისა და მასში მოთავსებულ მასალებისათვის.

7. სარედაქციო კოლეგია აწარმოებს კედლის გაზეთში შემოსულ მასალების აღრიცხვას, თვალყურს ადევნებს წრის დღიურის წესიერად წარმოებას, ხელს უწყობს წრის მუშაობის გაშუქებას გაზეთკორთა გამოცემებსა და გაზეთებში, მონაწილეობას ღებულობს გაზეთების გამოფენებში.

8. წრისა და კედლის გაზეთების მუშაობის წესიერად დაყენების მიზნით, მუშკორთა წრე ამყარებს მჭიდრო კავშირს ადგილობრივ ორგანიზაციებთან (საკავშირო კომპარტიის (ბ) და ლენ. ახალ. კომკავშირის) და გამგეობა აქვს მჭიდრო კავშირი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტთან და წარმოებაში არსებულ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან. მათი საშუალებით წრე მოიპოვებს იმ მასალებსა და საშუალებებს, რომლებიც საჭიროა გაზეთის გამოსაშვებად და მუშსოფლკორთა ლიტერატურის შესაძენად.

9. მუშკორთა წრე ამყარებს კავშირს უახლოეს ნაბეჭდ გაზეთთან და ურთიერთობა აქვს მასთან თავის მუშაობის ყველა საკითხების გარშემო.

10. მსხვილ წარმოებებში, სადაც არსებობენ საამქრო კედლის გაზეთები და მუშკორების დიდი რიცხვია ამქრებში, შეიძლება მუშკორთა წრეების მოწყობა.

11. არც ადგილობრივი და არც ცენტრალური ნაბეჭდი გაზეთები არ აწყობენ თავისთან მუშკორების ცალკე წრეებს წარმოებებში, მაგრამ ეს არ უკარგავს მათ საშუალებას აწარმოონ მუშაობა და შეკრიბონ თავისი მუშკორები, რისთვისაც უშუალო ურთიერთობა უნდა დაამყარონ მათთან.

12. მსხვილ წარმოებებში, იმის მიხედვით, თუ რა პირობებში და რა მდგომარეობაში იმყოფებიან ამ წარმოებათა კედლის გაზეთები და მუშკორთა მუშაობა, შეიძლება ცალკე მოეწყოს ახალგაზრდა კორესპონდენტების წრეები.

## გლეხკორები და სოფლის რადიოფიკაცია

ჩვენ უნდა მოვინახოთ უშუალო საშუალებები იმისათვის, რომ დაუკავშირდეთ ჩამორჩენილ კუთხეში მცხოვრებ გლეხს. გაზეთი უძლურია და უმნიშვნელოდ, რომელსაც ჩვენ ვქმნით რადიოს სახით,—ექნება უდიდესი საქმე. ასეთია ის ამოცანა, რომელსაც პარტია აკისრებს რადიო მშენებლობას.

სამწუხაროდ, ჩვენში სოფლის რადიოფიკაცია ჯერ კიდევ არ სდგას მკვიდრ ნიადაგზე.

რამდენიმე თემში, თუნდაც სოფელში, ერთი რადიო-მიმღების დადგმით, რომელიც ხშირად უმოქმედოთ არის, ჩვენ ვერ ვძლებთ სოფლის რადიოფიკაციის ჩატარებას. საჭიროა ყველა სოფელში თუ არა, ყოველ თემში მაინც მოვაწყოთ თითო რადიო-მიმღები.

საჭიროა სოფელმა თვით მოაწყოს თავისი ხარჯზე რადიო-მიმღები.

როგორი მონაწილეობის მიღება შეუძლია სოფლის რადიოფიკაციის საქმეში—გლეხკორესპონდენტს.

სოფკორმა უნდა შეიტანოს სოფელში რადიო-მიმღები, ისევე როგორც წიგნი და გაზეთი. ეს მისი გადაუდებელი ამოცანაა. ამისათვის კი საჭიროა ადგილობრივ ისეთი საშუალებების გამონახვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება რადიო-მიმღების შეძენა.

უნდა ვეცადოთ, რომ თვით გლეხებმა გაიღონ შესაფერისი წვლილი რადიოს შესაძენად, უნდა ვაიძულოთ კოოპერაცია, გლეხკომი, სოფლის საბჭო ადგილკომები—გამონახონ რადიოს შესაძენი თანხები. უნდა ვიზრუნოთ რადიო-მოყვარულთა საზოგადოების დასაარსებლად სოფლად.

სოფლის კორესპონდენტი უნდა იყოს საუკეთესო მეგობარი რადიოსი და არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

ალ. ზედიაშვილი.

## მუშკორთა დევნა გახურებული შანთით ამოიდაგება

ვინ არ იცის, რომ მუშა და გლეხი კორესპონდენტი ყოველგვარ ბოროტებას დაუნდობლად ებრძვის. ეს ყველამ იცის და სწორედ ამიტომ ზოგიერთები სდევნიან ამ ბრძოლის შესუსტებას მუშკორთა დევნის საშუალებით.

ერთ-ერთმა ჩვენმა მუშკორმა ამოაჩინა სისაძაგლე, რომელიც შეეხებოდა სოფ. ონჯიეთში მიწის უკანონოდ ყიდვა-გაყიდვას ამის თაობაზე ყოფილი მამასახლისები ძმები ნესტორ და ერმილე შერაზადიშვილები ცხვირშიაც კი არ უკვირდათ თავი.

ცინიკად გამოსვლის შემდეგ ასეთს განგაში ს. ონჯეში თავმე წამოუვიდა კულაკებს და ყოფილმა მებატონეებმა, ასე გასინჯეთ, „პრიგოვორი" კი შეადგინეს გლეხკორ გობეჯიშვილის გადასახლების შესახებ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ბევრი დევნის შემდეგ შერაზადიშვილებმა გადაწყვიტეს გლეხკორ გობეჯიშვილის მოკვლა. მაგრამ რაღაც შემთხვევის გამო განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

ფრთხილად შემთვლელებო შერაზადიშვილებო, ჯაფარიძებო და ყველა ჯურის ხულიგნებო, თორემ ძალიან ძვირად დაგიჯდებათ ამგვარი „თამაშობა".

ნ. მ—ლი.

# პაწაწა ფელეტონი

## „მეგობრული“ ბარათი

„პილსუდსკიმ უარი სთქვა რუმინეთის აგარაკზე გამგზავრებაზე. მიზეზით „რუმინეთის სიცხეები დასახელდა“.

(დეპეშებიდან)

დილამშვიდობის, პან პილსუდსკი,
როგორ ბრძანდები?
როგორ ბრძანდება „სასახელო“
შენი „ბანდები?“
რუმინეთისკენ აპირებდი,—
მგონი ბანდდები,
სიცხე გაწუხებს, პან პილსუდსკი,
თუ სხვა დარდები?
სიცხეა, სიცხე, პანე დიდო,
ეს მართალია,
რუმინეთშიაც, პოლონეთშიც,
ცეცხლის ალია.
და მებრალები, იცის ღმერთმა,
პანე ძალიან,
დასასვენებლათ ამ სიცხეში
რომ არ გალიან.

პროსტიტუტკები როგორ გვყვანან
ან სხვა „ვარდები“?
(პროსტიტუტკების წინამძღოლი
შენ არ ბრძანდები?)
შემოგიხიეს მგონი დარბაზში
სქელი ფარდები.
ურჩ პროსტიტუტკებს დააწყნარებ
აწ რა ფანდებით?
გულს ნუ გაიტეხ პან პილსუდსკი
ნუ გაცხარდები.
დასასვენებლად ჩქარა წახვალ,
ვფიცავ არ ვსცდები.
ძალიან მალე. (გულს ნუ გიკლავს,
პანე დარდები)
შენს „ძმებთან ერთად“ ბებია შენს..
გადაბარდები.

**ხოზიკა.**

# რადიოფიკაციის პერსპექტივები ამიერ-კავკასიაში

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ა.-კ. რწმუნებულის სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს გადასცეს ცნობები რადიოფიკაციის უახლოესი პერსპექტივების შესახებ ამიერ-კავკასიაში.

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ გადაწყვეტილია რადიო კავშირის საქმეში გამოყენებულ იქნეს სოფლად გაყვანილი სატელეფონო ხაზები. ამ ხაზების გამოყენებით შესაძლებელი გახდება მთელი რიგი უკვე დაუქმებული მიმღები რადიო სადგურების ამუშავება.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენათ შესაძლებელია ტელეფონის ხაზის გამოყენება რადიოს მისაღებათ, თბილისში ჩატარებულ იქნა შესაფერი ცდები, რომელმაც დაამტკიცა, რომ გადამცემი რადიო- სადგურიდან 150 კილომეტრის რადიუსზე შეიძლება რადიოს მიღება ყველა სატელეფონო ხაზებით. იმ მიზნით, რომ მომავალში რადიოსადგურების მუშაობას ადგილებზე უხელმძღვანელონ საქმის მცოდნე ინსტრუქტორებმა, ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო შეუდგა სახალხო კავშირის მუშაკთა მომზადებას, რომლებიც კურსის გავლისა და შესაფერი გამოცდისშემდეგ განაწილებულ იქნებიან ა.-კ. რესპუბლიკებს შორის.

შემოდგომაზე ტრესტი „ელექტროსვიაზი“ ბაზარზე გამოუშვებს დიდძალ გაუმჯობესებულ დეტექტორულ მიმღებ რადიო- აპარატებს, რომელთა დიდი პარტიაც შეძენილი იქნება ა.-კ. რესპუბლიკების საჭიროებისათვის.

ტელეფონის ხაზებით რადიო-ტრანსლიაციების მისაღებად დაწყებულია ცდები, როგორც საქართველოში, ისე აზერბეიჯანში და სომხეთში. ცდები დადებით შედეგებს იძლევა და როგორც კონცერტები, ისე საუბრები კარგად ისმის.

ამჟამად დაწყებულია მუშაობა, რომ მრავალნაირი გადამცემი რადიო- სადგურების მუშაობამ არ გამოიწვიოს სოფლად სატელეფონო ხაზებზე მოწყობილი მიმღები სადგურების მუშაობის შეფერხება. ამ მიზნით გადაწყვეტილია შეძენილ იქნეს ე. წ. ხმის სტაბილიზატორები, რომელთა საშუალებითაც ადვილი გახდება ტრანსლიაციის მიღება. სასურველი რადიო -სადგურიდან.

სოფლად რადიო- სადგურების ქსელის გაფართოებასთან ერთად გადაწყვეტილია მოხდეს რადიო- გადაცემათა პროგრამების შესაფერისად დამუშავება. ასე, მაგალითად, საჭიროთაა ცნობილი, რომ პროვინციაში გამართულ სეირნობებს მიეწოდოს ორკესტრის ტრანსლიაცია, შერჩეულ იქნეს მუსიკალური და ვოკალური ნომრები ეროვნულ უმცირესობათა ენებზე და სხ.

# ხანძარი ზუგდიდში

(წერილი ზუგდიდიდან)

8 ივლისს ნაშუადღევის 2 საათზე ქალ. ზუგდიდის მაზრის სახალხო-სამაზრო სასამართლოს შენობას გაუჩნდა ხანძარი.

ხანძარი შემჩნეულ იქნა, როდესაც ავარდა ალი. სასწრაფოდ ხანძართან შეიკრიბა დიდძალი ხალხი. მეხანძრეთა რაზმი ენერგიულად საზოგადოებასთან ერთად ხანძრის ჩასაქრობად მუშაობდა.

გამოძახებულ იქნა სენაკიდან დამატებითი მეხანძრეთა რაზმი. ხანძრის მოსალოდნელ გაჩრთულების გამო სასამართლოს შენობის გვერდზე მდებარე დუქნები ჩამტვრეულ იქმნა სასამართლოს საქმეები ნაწილობრივ გადაარჩინეს, ხანძარი ჩაქრობილ იქნა საღამოს 6 საათზე.

9 ივლისს დილით შესდგა კომისია ხანძრის გაჩენის მიზეზის გამოსაკვლევად სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყ. გამგეს თავმჯდომარეობით ინჟინერის და ფინინსპექტორის მონაწილეობით. კომისიის დასკვნით ცეცხლი გაჩნდა დაუდევრობით. შესაძლოა ბოროტმოქმედებასაც ჰქონდა ადგილი.

სახ. სასამართლოს შენობის და აღმასკომის დუქნების და ინვენტარის ზარალი 41 ათასს აღემატება.

კ—ი.

ზუგდიდის სამოსამართლო დაწესებულების დამწვარი შენობა

# ქუთაისი

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

### ჩამოსართმევ სახლების სია

**ჯაფარიძის ქუჩაზე:** 1) ხაიმ იაკობიშვილის და რიბკა-იოსებ ხახმიაშვილები, 2) ხანა და იუდა ფიჩხაძეების, 3) მიხეილ მოშიაშვილის, 4) დანიელ მუზიაშვილის, 5) სამსონ გამყრელიძის;

**ურიცკის ქ.**—1) ივლიანე ბერაძის, 2) გიორგი კალანდაძის, 3) თეოფანე ხუსკივაძის მემკვიდრეების;

**ლიბკნეხტის ქ.**—1) ნადია ძოძუაშვილის და ნადია ბალანჩივაძის, 2) ვასილ გრიქუროვის, 3) ბარბარე დაბოშინსკის, 4) თამარა კოკოჩაშვილის, 5) ნაკაშიძე და ეკატ. მოსეშვილის 6) მეერ კოკოჩაშვილის შვილებით, 7) მინადორა, კოსტ. დავით და ანდრო მიქაბერიძეების, 8) კონსტანტინე ადანაიას დებით;

**ლენინის ქ.**—1) ეკატერინე ბაოოასაროვას, 2) ლავრენტი გრიგორაშვილის, 3) ალექსანდრე თაბაგარის, 4) გაბრიელ იაკობიშვილის, 5) მარიამ კაპანაძისა და ეფროსინე აბესაძის, 6) ივანე ჭიჭინაძის, 7) არონ მაწონაშვილის, 8) ნატალია ბერიძის, 9) სერაპიონ გელენიძის, 10) იულია ახვლედიანის, 11) ელიაუ მოშიაშვილის;

**რუსთაველის ქ.**—1) მიხეილ ქორქაშვილის, 2) ტრიფონ ჯაფარიძის,, 3) კარაპეტ ფარადიანის და არაქელ ივანიანის;

**რევოლუციის ქუჩა**—1) რუთი მიგრელაშვილის და ისაკ ბანაურიშვილის, 2) ანტონ ხეცურიანის, 3) მარიამ ტატალოვის;

**მახარაძის ქ.**—1) ისრაილ და დანიელ თავდიდიშვილის, 2) დავით ლორიას. 3) გულჩინა ხაზარაძის, 4) ნინა ალიბეგოვის, 5) სარა სარიაშვილის, 6) ივანე პურადაშვილის, 7) აკაკი იმედეიშვილის, 8) აპოლონ შესხის, 9) ელისაბედ ნიკურაძის, 10) ვარლამ ქორქოლაძის, 11) რუბენ და აბელ ბუზიაშვილების, 12) ვლადიმერ და კლიმენტი ჯანგავაძეების;

**ცხაკაიას ქ.**—1) ლუკა კიკვაძის, 2) გაბრიელ გაგულაშვილის, 3) მელანია გველესიანის, 4) ალექსანდრე საყვარელიძის;

**ტროცკის ქ.**—1) ალექსანდრე მიხაილოვის ობლების, 2) ნინა დვალაძის, 3) ისაია ვოლოხის, 4) ილარიონ ჭეიშვილის, 5) იაკობ ჩაჩაშვილის, 6) ბესიონ და ელიაუ ბინიაურიშვილების;

**შაუმიანის ქ.**—1) მალხაზ და მიხ. ელიგულაშვილების;

**გოგებაშვილის ქ.**—1) მიხ. მალლაკელიძის 2) ეკატერინე ქორქოლაძის, 3) ლავრენტი ჯღარკავას, 4) სტეფანე ფეიქაროვის, 5) შიშო იაკობიშვილის, 6) მაქსიმე კუბლაშვილის და ბიქტორ ქასრაშვილის, 7) ანტონ კილოსონიას და კოლია ბასილაძეს, 8) ვლადიმერ ქობაკიძეს;

**წულუკიძის ქ.**—1) სევერიან, ანდრო და ვალიკო ჩიხლაძეების, 2) ფილიპე ქელიძის, 3) იოსებ და რაფიელ კაკიტელაშვილების;

**თაბუკაშვილის ქ.**—1) ლუკა გრიგოლაშვილის;

**პუშკინის ქ.**—1) იაკობ, დარჩო და თადეოზ ბეროჩოვების, 2) ნიკოლოზ და ჟულიეტა ბაბუნაშვილების;

**კლ. ცეტკინის ქ.**—1) იოსებ კაკიტელაშვილის. 2) მოშე კაკიტელაშვილის.

### სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა დასრულდა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა მინდობილი ჰქონდა თემაღმასკომებს. სამფინგანმა მაზრის ყველა თემებიდან მოიწვია ფინმუშაკები და, სადაც ასეთები არ იყვნენ, თემაღმასკომების მდივნები, რომლებთანაც სწარმოებდა თეორეტიული და პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობა აღრიცხვის საქმესთან გასაცნობად.

საღრიცხვო კომისიებში შერჩეული იყვნენ აქტიური ქვერები, რამაც დადებითი შედეგები გამოიღო იმ მხრივ, რომ დასაბეგრი ქონება სისწორით და სრულად იქნა გამოაშკარავებული. უღარიბეს გლეხთა აქტივი და პარტიული უჯრედები ჩაბმული იქნენ აღრიცხვის კამპანიაში. ამჟამად სასოფლო-სამეურნეო აღრიცხვის კამპანია სავსებით დამთავრებულია მთელს მაზრაში.

### 1928-29 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა

სამფინგანი შეუდგა მომავალი 1928-29 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის საკონტროლო ციფრებას დამუშავებას სამაზრო აღმასკომის ყველა განყოფილებებისათვის. მუშაობა დამთავრდება 15 ივლისისათვის.

სამაზრო პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილი იქნება საშტატო კომისია, რომელიც გადაათვალიერებს ყველა განყოფილებების პირად შემადგენლობას. განყოფილებებში დაარსდება კომისიები, რომლებთანაც ერთად სამფინგანის წარმომადგენელი საკონტროლო ციფრების მიხედვით შეადგენს ხარჯთ-აღრიცხვებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აღმასკომის პრეზიდიუმს.

### მშენებელთა კავშირში

ქუთაისის მშენებელთა კავშირის სამ. განყოფილებამ მოახდინა მშენ. კავშ. სამტრედიის საუბნო კომიტეტის რეორგანიზაცია. ჩამოყალიბებულია მუშათა კომიტეტები: 1) გუბისწყლის რკინის გზის ხიდის, 2) საჯავახოს რკ. გზის ხიდის და 3) საყინულეს აღმშენებლობის.

კავშირის სამაზრო განყოფილება მიმდინარე თვეში აწყობს კავშირის წევრთა მასსიურ ექსკურსიას ზაჰესში.

მშენებელთა კავშირმა რიონჰესის სამუშაოზე ჩამოაყალიბა ორი მუშათა კომიტეტი პირველსა და მეორე დისტანციებზე. ახლო მომავალში მუშათა კომიტეტი მოეწყობა მესამე დისტანციაზეც.

ა.წ. 5 ივლისს სამტრედიაში შესდგა საყინულეს საამშენებლო სამუშაოთა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება, რომელსაც დაესწრო მშ. კავშ. წარმომადგენელი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი: საუბნო კომიტეტის რეორგანიზაცია და მუშათა კომიტეტის არჩევნები. კრების დამთავრების შემდეგ მოწვეულ იქნა ახლად არჩეულ მუშათა კომიტეტის სხდომა, რომელმაც კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია მუშა ერმილე სტურუა

### სამაზრო გლეხკომში

სამაზრო გლეხკომის თავმჯდომარემ გადასცა წყალტუბოს გლეხკომს ამხ. ვანო სტურუას მიერ შემოწირული საკერავი მანქანა და 50 მან. ფულად ადგილობრივ გლეხკომთან არსებულ ჭრა-კერვის პროფსკოლისათვის.

სამაზრო გლეხკომმა წყალტუბოს გლეხთა სახლს გადასცა 10 რკინის საწოლი, 6 სკამი და სხვა ავეჯი.

### შემთხვევები

6 ივლისს მაღლაკის რაიონში, სოფ. წითელ-ხევში, მოჰკლეს სოფ. რეხის მცხოვრები კოლია სოფრომაძე. ეჭვით დაპატიმრებულია ნესტორ მანჯავიძე. კვლევა-ძიება სწარმოებს.

# თათბირი საბჭოების საორგანიზაციო მუშაობის შესახებ

## მეორე სხდომა

## ამხ. ფ. მელნიკოვის მოხსენება

თათბირის მეორე სხდომაზე, რომელიც შესდგა გუშინ დილით, მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. ფ. მელნიკოვის მოხსენება საბჭოების საორგანიზაციო-მასიურ მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკამ, რომელსაც ატარებს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უკანასკნელ წლების განმავლობაში, შედეგათ მოიყვა მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხობასთან და მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის გაფართოვება საბჭოებში; ამ პოლიტიკამ საბჭოები გადააქცია ქალაქის და სოფლის სოციალისტურ მშენებლობის ხელმძღვანელ ცენტრებად.

ამ პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში გამოიხატა შემდეგ მიღწევებში: საბჭოების ორგანიზაციული განმტკიცება ადგილებზე და მათი ავტორიტეტის ზრდა მშრომელთა მასებში; პროლეტარული გავლენის გაძლიერება საბჭოებში; საბჭოების ხელმძღვანელი როლის გაძლიერება ქალაქის და სოფლის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგებში; საბჭოების მასიური მუშაობის გაცხოველება; ქალების რიცხვის გადიდება საბჭოებში და მათი აქტივობის ზრდა და სხვა.

ამ საერთო მიღწევებთან ერთად საბჭოების მუშაობაში ადგილი აქვს შემდეგ დეფექტებსაც: სუსტია ხელმძღვანელობა ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის საორგანიზაციო-მასიურ მუშაობის მიმართ მაღლა მდგომ აღმასრულებელ კომიტეტების მხრიდან; საზოგადოებრივი ორგანიზაციები—პროფკავშირები, ქალთა სადელეგატო კრებები და სხვა სათანადოთ არ არიან ჩაბმული საბჭოების მუშაობაში; საბჭოების მუშაობის გეგმაში ყოველთვის გათვალისწინებული არ არის ამა თუ იმ რაიონის სოციალისტური მშენებლობის ამოცანები; სამეურნეო მშენებლობის მნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტას (ახალი სამრეწველო მშენებლობა, წარმოების რაციონალიზაცია, ფასების დაკლება, კოლმეურნეობათა მშენებლობა და სხვა) ჯერ კიდევ სათანადო ადგილი არ უჭირავ საბჭოების მუშაობაში; პოპულარული ლიტერატურის უქონლობა ეროვნულ ენებზე საბჭოების საორგანიზაციო-მასიურ მუშაობასა და საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ და სხვა.

ყველა ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად და საბჭოების წინაშე დასმულ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, უახლოეს დროში გატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

გადასინჯული იქნეს არსებული დებულებები სოფლის საბჭოებისა და სათემო-სამაზრო აღმასკომის შესახებ მათი უფლება-მოვალეობათა გაფართოვების მიზნით; შემოღებული იქნეს მსხვილ და ეკონომიურად მძლავრ სოფლების საბჭოებისათვის სასოფლო ბიუჯეტი: გამოცემული იქნეს სათანადო დადგენილება სადგილ-მამულო საზოგადოებების სოფლის საბჭოების ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის დაქვემდებარების შესახებ; ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის მუშაკების (სოფლის საბჭოების თავმჯდომარეები და მდივნები) ხშირი ცვალებადობის თავიდან ასაცილებლად წამოყენებული იქნეს საკანონმდებლო ორგანოების წინაშე საკითხი მათი ხელფასის სახელმწიფოებრივი გზით მოწესრიგების შესახებ; ამავე დროს მიღებული იქნეს ზომები მუშაობის რაციონალიზაციისათვის საბჭოებში; გადამწყვეტი ბრძოლა უნდა იქნეს წარმოებული საბჭოთა დემოკრატიის გატარების დარღვევასთან და სხვა.

დასასრულ, მომხსენებელი ეხება ქალების მონაწილეობას საბჭოებს მუშაობაში და აღნიშნავს, რომ მიუხედავად ქალების საერთო კულტურულ-პოლიტიკურ ცოდნის გაფართოვებისა, ისინი სათანადოთ გამოყენებული არ უყოფილან საბჭოებს პრაქტიკულ მუშაობაში; ამიტომ მომავალში აუცილებლად გაძლიერებული უნდა იქნეს მუშა და გლეხ-ქალების წამოყენება ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სხვადასხვა რაიონების საბჭოების მუშაობის გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარების მიზნით და ამ გამოცდილების გამოსაყენებლად პრაქტიკულ მუშაობაში, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ჟურნალის გამოცემა საოლქო მასშტაბით, რომელშიაც გაშუქებული იქნება საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები.

## კამათი

მოხსენების გარშემო გაიხსნა კამათი. გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ საბჭოების სექციების მუშაობის გაცხოველების და ინფორმაციის სათანადოდ დაყენების აუცილებლობას; ინფორმაციის საქმის გაუმჯობესებით გაუმჯობესდება აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებების მუშაობაც.

ზოგიერთი ორატორი აღნიშნავდა, რომ ა. კ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილება სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა ადგილებს. მართალია, ცენტრიდან იგზავნებოდნენ ინსტრუქტორები, მაგრამ ისინი შესაფერისად ვერ ეცნობოდნენ მდგომარეობას. ა. კ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებამ ადგილებისათვის არ მიეცა დირექტივა, თუ როგორ მუშაობა უნდა აწარმოონ ქვედა საფეხურის საბჭოთა ორგანოებმა აქტივის წევრთა შორის.

ყველა ორატორები საჭიროთ სთვლიან ადგილობრივ ორგანოების უფლებების გაფართოვებას, მაგრამ ზოგიერთები აღნიშნავენ, რომ ეხლანდელ პირობებში სოფლის საბჭოები ვერ გამოიყენებენ ამ უფლებებს. აუცილებელია სოფლის საბჭოების თავმჯდომარეთა გადამზადება, რომ მათ შესძლონ სათანადო წინააღმდეგობა გაუწიონ კულაკებს, რომლებმაც აქა იქ წამოყვეს თავი.

ზოგი ორატორი საჭიროთ სთვლის გადასინჯული იქნეს დებულება სამაზრო აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილების შესახებ, რადგან ამ დებულებაში გათვალისწინებული არ არის ყველა ის საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყვიტოს საორგანიზაციო განყოფილებამ.

საორგანიზაციო-მასიური მუშაობის [illegible] აუცილებელია გაუმჯობესებული იქნეს საინსტრუქტორო მუშაობა, ამისათვის კი საჭიროა ინსტრუქტორების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

# საექსპორტო ხე-ტყის დამზადება

**ს. მ. უ. საბჭოსთან შემდგარმა საუწყებათაშორისო თათბირმა დაადგინა საექსპორტო ხე-ტყის მასალის დამზადება დაიწყოს რაჭის ტყეებში.— ხე-ტყის მასალის მისაზიდათ რკინისგზამდე გაყვანილი იქნება საჰაერო გზა. — სამუშაოები დაიწყება სექტემბერში. — გადადებულია 800.000 მანეთი.**

გუშინ ს. მ. უ. ს. ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებაში შესდგა გაფართოებული საუწყებათაშორისო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ —მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, სატყეო მრეწველობის ტრესტის, ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, ახალშენებათა კომიტეტის და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თათბირმა მოისმინა საინფორმაციო ცნობა უცხოეთის ხე-ტყის ბაზრის მდგომარეობის შესახებ. ამ.-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობებით უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებში დიდი მოთხოვნილებაა საყუთე ხე-ტყის მასალაზე. უცხოეთის მთელი რიგი ფირმები დაკვეთას იძლევიან საყუთე ხე-ტყის მასალაზე. ასეთი ხე-ტყის მასალა უხვად მოიპოვება საქართველოში და მისი ექსპორტი მეტად ხელსაყრელი იქნება. ამიტომ ამ.-კავ. ვაჭრობის კომისარიატმა და ამ.-კავკ. საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნეს მოწვევა საუწყებათაშორისო თათბირის, რომელიც შეარჩევს საექსპორტო ხე-ტყის მასალების დასამზადებელ რაიონებს.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე რაჭის აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. **ბაქრაძე**, რომელმაც დაახასიათა რაჭის ტყეების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ საექსპორტო ხე-ტყის დამზადება რაჭის ტყეებში შეიძლება განუსაზღვრელი რაოდენობით.

თათბირზე მოწვეულმა სატყეო საკითხების მცოდნე ექსპერტებმაც განაცხადეს, რომ საქართველოს სატყეო რაიონებს შორის ყველაზე უფრო ხელსაყრელ რაიონად უნდა ჩაითვალოს რაჭის ტყეების ნიკორწმინდის აგარაკი, სადაც უხვად მოიპოვება ძვირფასი ჯიშის ხეები და საიდანაც მასალის გამოტანა შედარებით უფრო ადვილიც იქნება და იაფიც დაჯდება.

თათბირმა გადასწყვიტა საექსპორტო სატყეო მასალის დამუშავება დაწყებულ იქნეს ნიკორწმინდის აგარაკზე. პირველი წლის განმავლობაში გამოტანილი იქნება 100.000 მან. ღირებული საყუთე ხე-ტყე, ხოლო შემდეგ წლებში ეს რაოდენობა გადიდებული იქნება ერთი-ორად. ტყიდან საურმე გზამდე ხეების გამოტანა იწარმოებს ტრაქტორებით.

ამავე დროს თათბირმა გადასწყვიტა ნაქერალას უღელტეხილის მწვერვალამდე გაყვანილ იქნას საჰაერო რკინისგზა, რომლითაც იწარმოებს ხე-ტყის მექანიკურათ გადმოზიდვა რკ. გზის ხაზამდე. ეს საჰაერო გზა იქნება უდიდესი მთელ საბჭოთა კავშირში.

ყველა სამუშაოთა დაწყებისა და სწრაფად დასრულების მიზნით, თათბირმა დაადგინა დაუყოვნებლივ იქნეს გადადებული 300,000 მანეთი.

გადაწყვეტილია საექსპლოატაციო და საამშენებლო სამუშაოების დაწყება მომავალი სექტემბრიდან.

# თბილისის მაზრის პოლიტგანის მუშაკთა კონფერენცია

10 ივლისს, განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა თბილისის მაზრის პოლიტგანის მუშაკთა კონფერენცია. კონფერენცია გახსნა პოლიტგანის თბილისის მაზრის ინსპექტორმა ამხ. პ. აფხაძემ, რომელმაც მოკლე შესავალ სიტყვაში აღნიშნა პოლიტ-განათლების მუშაკთა როლი სოფლად საგანმანათლებლო საქმეში და დაახასიათა სოფლად მუშაობის ამოცანები, რომელთა განსახორციელებლად უნდა სწარმოებდეს მუშაობა სოფლის სამკითხველოებისა და სხვა საპოლიტგანმანათლებლო დაწესებულებების საშუალებით.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან. პირველი მოხსენება გააკეთა მარტყოფის თემპოლიტგანის თავმჯდომარემ ამხ. გ. სალთხუციშვილმა, რომელმაც აღნიშნა საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის მიღწევები, თემში. მისი გადმოცემით, მარტყოფის სამკითხველოდან უკანასკნელ 6-7 თვის განმავლობაში გლეხებზე გაცემულია 4.500 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი, გაუმჯობესდა კედლის გაზეთი გლეხობაში სისტემატიურად იმართება მოხსენება-საუბრები, გაზეთების და წიგნების ხმა-მაღალი კითხვა და სხვ.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენებები ზემო ერწოდან—ამხ. **ათაბეგოვის**, დილომიდან —ამხ. **კერესელიძის**, წყნეთიდან—ამხ. **სტურუას**; ბოგვის თემიდან—ამხ. **ალერწიანის** და ხაშმიდან —ამხ. **რადიმაშვილის**.

საერთოდ მომხსენებლები აღნიშნავდნენ შემდეგ მიღწევებს: პოლიტგანის საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება, პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გაღრმავება, წითელი კუთხეების რიცხვის გამრავლება, ღარიბებს გლეხების, მოჯამაგირეების და ქალების ჩაბმა საგანმანათლებლო მუშაობაში, აგიტაციის გაფართოება გასამხედროების დარგში, კედლის გაზეთების შინაარსის გაუმჯობესება, კომკავშირის აქტივობის ზრდა სამკითხველოების საქმიანობაში და სხვ.

მოხსენებებიდან მიღწევებთან ერთად, გამოირკვა ბევრი ნაკლი და დეფექტები სოფლად საპოლიტგანმანათლებლო მუშაობაში. მომხსენებლების გადმოცემით, სოფლის ინტელიგენცია ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობაში, ადგილობრივი ორგანიზაციები, თემაღმასკომები და სხ. არ უწევენ შესაფერის დახმარებას და ხელმძღვანელობას პოლიტგანის ორგანიზაციებს, სამკითხველოები არ არიან უზრუნველყოფილნი ბინისა და ინვენტარის მხრივ, არ არის საკმაო ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, სუსტია სათეატრო-საკლუბო მუშაობა, რასაც მომხსენებლები ხსნიან თანხების უქონლობით; აგრეთვე მომხსენებლები აღნიშნავდნენ რადიო-დადგმულობათა და წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების რიცხვის სიმცირეს და სხვ. ადგილებიდან მოხსენებების მოსმენის შემდეგ დაიწყო შეკითხვები და კამათი.

მეორე სხდომაზე კამათის დასრულების შემდეგ ამხ. ალ. **ბედიაშვილმა** გაუკეთა რაჯამი მომხსენებელთა აზრს, აღნიშნა შემდეგი: როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, ადგილობრივ პოლიტგანათლების ორგანოების მუშაობა ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, რაც უნდა მიეწეროს არა მარტო საჭირო თანხების უქონლობას, არამედ თვით პოლიტგანის მუშაკების სისუსტეს. არის ბევრი თემი, სადაც დღემდე არ გამოდის კედლის გაზეთი. ზოგიერთ თემში კი გამოდის რამდენიმე გაზეთი, რაც არ არის სასურველი. ასეთი გარემოება ქსაქსავს ძალებს და ასუსტებს გაზეთის შინაარს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ერთ გაზეთში გაერთიანება და ამ მიზნით სხვადასხვა კუთხეების შემოღება გაზეთში დაინტერესებულ ორგანიზაციებისათვის, მაგალითად მოჯამაგირეთა კუთხე, პროფკავშირთა კუთხე და სხ., საჭიროა აგრეთვე სამკითხველოები გაცხრილული იქნეს უვარგის წიგნებისაგან და გაძლიერდეს მუშაობა ღარიბებს გლეხობასა და მოჯამაგირეთა შორის.

შემდეგ გამოსული ორატორები (გოგიბერიძე, კანდელაკი, სტურუა, სალთხუციშვილი, დანელია, კერესელიძე; ათაბეგოვი; ქოროღლიშვილი და სხ.) აგრეთვე მოითხოვდნენ სამკითხველოებთან ნებაყოფლობითი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, ახალი წრეების დაარსებას, წითელ-მოედნების გახსნას, ზომების მიღებას იმისათვის, რათა ადგილობრივი ხელისუფლება მეტ ყურადღებას აქცევდეს კედლის გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნებს, სამკითხველოების გამგეთა ხელფასის გადიდებას და საპოლიტგანმანათლებლო მუშაობისათვის მეტი თანხების გადადებას.

დასასრულ, კონფერენციამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

—:—

გუშინდლიდან კონფერენციის მონაწილეთათვის განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა კურსები, რომელზედაც იწარმოებს მეცადინეობა პოლიტგანის მუშაკთა ცოდნის ასამაღლებლად. კურსებზე მეცადინეობა გასტანს 8 კვირას.

# საქ. სახკომსაბჭოში

### თბილისის წარმოებათა გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე

სახკომსაბჭოს კომისიის დადგენილების თანახმად, გამწესრიგებელმა სხდომამ წინადადება მისცა თბილისის აღმასკომს გადაიყვანოს ზაჰესის ენერგიაზე საადგილმამულო და ჯანმრთელობის განყოფილებათა წყალსაქაჩავი ორთაჭალაში.

მასვე დაევალა გაუწიოს დახმარება გერმანელ კოლონისტებს კოლონიის წყალსაქაჩავის გადაყვანის საქმეში ზაჰესის დენზე.

ა.კ. სახკომსაბჭოს ეთხოვა მოახდინოს სათანადო განკარგულება ამხ. სტალინის სახელობის ავტოსახელოსნოების და სამხედრო სკოლების გადაყვანის დაჩქარების შესახებ ზაჰესის დენზე.

მასვე ეთხოვა მიიღოს ზომები, რათა სავაჭრო წარმომადგენლობამ გერმანიაში დააჩქაროს შეკვეთილი მრიცხველების გადმოგზავნა.

### სასკოლო ქსელის განაწილება

წინადადება მიეცა განათლების სახ. კომისარიატს სასწრაფოდ წარმოადგინოს დასამტკიცებლად საქართველოს ტერიტორიაზე სასკოლო ქსელის განაწილების პროექტი.

### სათბურების მოწყობა კარდანახის სახალხო მამულში

წინადადება მიეცა სას.სამეურნეო ბანკს კარდანახის სახალხო მამულში სათბურების მოსაწყობად, სახალხო მამულების ტრესტს მისცეს სესხი 4.570 მან. რაოდენობით.

### ზუგდიდის მაზრის ელექტროფიკაცია

ს.მ.უ. საბჭოს წინადადება მიეცა მოკლე ხანში წარმოადგინოს სახკომსაბჭოში განსახილველად ზუგდიდის მაზრაში ელექტრისადგურის აგების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

### მუშა-მოსამსახურეთა სააღრიცხვო ბარათები

სახკომსაბჭოს გამწესრიგებელმა სხდომამ მოიწონა შრომის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ სამუშაოზე მიღებულ და დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთა სააღრიცხვო სტატისტიკურ ბარათების წარდგენის შესახებ შრომის სახ. კომისარიატში.

# თბილისის აღმასკომის მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მიიღო თბილისისა და მისი მაზრის ხარჯთაღრიცხვა (საკონტროლო ციფრები) 1928-29 წლისათვის. ამ ხარჯთაღრიცხვით მომავალი წლის შემოსავალი უდრის 24.671.777 მან., გასავალი—27.585.000 მ., დეფიციტი—2.894.777 მანეთს.

### გასავალი

#### მაზრის ბიუჯეტის მიხედვით

1928—29 წელში თბილისის მაზრაში სამაზრო ბიუჯეტის მიხედვით სულ დაიხარჯება 2.786.000 მანეთი. აქედან—ადმინისტრატიულ სასამართლო ხარჯ. დასაფარავად—776.000 მ. სახალხო განათლებაზე—593.000 მ., ჯანმრთელობის საქმეზე—252.000 მ., სასოფლო-მეურნეობის განსავითარებლად—285.000 მ., საგზაო მშენებლობაზე—280.000 მ., სხვადასხვა ხარჯების დასაფარავად—550.000 მ.

#### სათემო ბიუჯეტების მიხედვით

თბილისის მაზრის თემების საერთო გასავალი უდრის 878.000 მანეთს, აქედან თემებში ადმინისტრატიულ-სასამართლო ხარჯების დასაფარავად გაღებული იქნება 183.000 მანეთი. სახალხო განათლებაზე დაიხარჯება—491.000 მანეთი, ჯანმრთელობის საქმეზე—114.000 მ., სასოფლო-მეურნეობაზე—2.000 მ., ადგილობრივ მნიშვნელობის წარმოებებზე—2.000 მ., კომუნალურ მეურნეობებზე—16.000 მ., კომუნალურ წარმოებებზე—60.000 მ., სხვადასხვა ხარჯები—10.000 მან.

#### ქალაქის ბიუჯეტის მიხედვით

ადმინისტრატიულ-სასამართლო ხარჯების დასაფარავად 1928—29 წელში, ქალაქის ბიუჯეტის ფარგლებში გაღებული იქნება 680.000 მანეთი. სახალხო განათლების საქმეზე დაიხარჯება 3,188.000 მანეთი (12 პროცენტით მეტი 1927-28 წელთან შედარებით), ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე —2.068.000 მანეთი, სოც. უზრუნველყოფაზე—110.000 მ., შრომის დასაცავად—85.000 მან., სასოფლო-მეურნეობაზე—36.000 მ. ადგილობრივ მრეწველობაზე—768.000 მ., კომუნალურ მეურნეობაზე—2.637.000 მანეთი, კომუნალურ წარმოებების გასაუმჯობესებლად—11.054.000 მანეთი, საგზაო მშენებლობაზე—800.000 მანეთი, წითელ არმიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სხვადასხვა და განსაკუთრებულ ხარჯების დასაფარავად დაიხარჯება—2.975.000 მანეთი, სულ კი—23.825.000 მანეთი.

#### თბილისის და მისი მაზრის საერთო ჯამი

1928—29 წლებ. თბილისსა და მის მაზრაში სულ დაიხარჯება: ადმინისტრატიულ-სასამართლო საქმეზე—1.889.000 მანეთი. სახალხო განათლებაზე—4.279.000 მ., სახალხო ჯანმრთელობის დასაცავად—2.434.000 მ., სოც. უზრუნველყოფის საქმეზე—110.000 მ., შრომის დასაცავად—85.000 მ., სასოფლო-მეურნეობაზე—323.000 მ., ადგილობრივ მრეწველობაზე—770.000 მანეთი, კომუნალურ მეურნეობაზე—2.653.000 მანეთი, კომუნალურ წარმოებებზე—11.114.000 მანეთი, საგზაო მშენებლობაზე—590.000 მ., წითელ არმიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სხვადასხვა და მოულოდნელ ხარჯების დასაფარავად გადადებულია 3.570.000 მანეთი. ამ რიგად თბილისისა და მისი მაზრის (თემებიანათ) გასავალი 1928—29 წ. უდრის—27.489.000 მან., შემოსავალი კი—24.671.777 მან., დეფიციტი—2.894.777 მანეთი დაფარული იქნება სესხის საშუალებით.

განათლების საქმისათვის 1927—28 წელთან შედარებით გადადებული მეტი თანხები უმთავრესად მოხმარდება მასწავლებელთა ხელფასის გადიდებას.

კომუნალური წარმოება-მეურნეობისათვის გადადებულ თანხებიდან—1.000.000 მ. დაიხარჯება წყალსადენზე, 1.000.000 მ.—ტრამვაის ახალ სამუშაოებზე — 145.000 მ., კანალიზაციაზე—1.000.000 მანეთი, საბინაო მშენებლობაზე—300.000 მან. ტელეფონის ქსელზე და სხ.

# თამბაქოს ფაბრიკების გაერთიანების გარშემო

მესამე და მეორე თამბაქოს ფაბრიკების გაერთიანების შესახებ საქართ. პროფსაბჭოს სატარიფო- ეკონომიურ განყოფილებაში მოწვეულმა თათბირმა გადასწყვიტა, რომ ვინაიდან აღნიშნულ ფაბრიკების კონცენტრაციის საკითხი დამუშავა მხოლოდ თამბაქოს ტრესტმა და ის არ განუხილავს ს. მ. უ. ს.-ს საწარმოო განყოფილებას, ეთხოვოს ცენტრ. კომისიას, რათა ფაბრიკების კონცენტრაციის საკითხის დამუშავება მიანდოს ს. მ. უ. ს., რომელმაც ათი დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს თავისი დასკვნა ფაბრიკების გაერთიანების მიზანშეწონილობის შესახებ.

საკითხის დამუშავებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ უნდა იქნან აგრეთვე საქარხნო კომიტეტის და კავშირის წარმომადგენლები. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულ ფაბრიკების მუშა- მოსამსახურეებს შვებულება უნდა მიეცეს ორი კვირის შემდეგ.

# გლეხის სიცოცხლის დაზღვევა

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს ყოველმხრივ გააუმჯობესოს ღარიბებს გლეხობის მდგომარეობა. ამ მიზნით სხვა ღონისძიებათა გარდა, სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო აწარმოებს გლეხის მეურნეობის დაზღვევას. იმ გლეხს, რომელსაც დაზღვეული აქვს ნათესები, სახლი და სხ., სტიქიური უბედურების შემთხვევაში სახელმწიფო დაზღვევის კანტორა უნაზღაურებს ზარალს.

გლეხისათვის კიდევ უფრო მეტი დახმარების აღმოჩენის მიზნით სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ შემოიღო დაზღვევის სპეციალური სახე —გლეხის სიცოცხლის დაზღვევა.

დაზღვევის ეს სახე, რომელიც სავსებით სწევს სოციალური დაზღვევის მაგიერობას, მიზნათ ისახავს გლეხს მისცეს შესაძლებლობა დააზღვიოს თავი მოხუცებულობისა და უდროოთ სიკვდილის შემთხვევისათვის და ამით უზრუნველყოს თავისი ოჯახი.

თვითეულ გლეხს შეუძლია თავი დააზღვიოს 150 მანეთიდან 600 მანეთამდე. დაზღვეული გლეხი ყოველ 150 მანეთზე წელიწადში იხდის 5 მანეთს.

ასევე შეიძლება დაზღვეული იქნეს ყველა მშრომელნი და თავისუფალი პროფესიის მქონე პირები 18 წლიდან 55 წლამდე.

რ.

# 842.000 მან. ფეხსაცმელი საქართველოსათვის

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ამიერ-კავკასიისთვის გამოყოფილია 2.500.000 ფეხსაცმელი. ფეხსაცმელების ეს რაოდენობა რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად არის განაწილებული: საქართველოსათვის გამოყოფილია — 842.000 მან., აზერბეიჯანისთვის — 1.368.000 მან. და სომხეთისათვის — 290.000 მან ფეხსაცმელი.

საქართველოსათვის გამოყოფილ ფეხსაცმელები ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში ასე გაანაწილა: ცეკავშირს — 210.000 მანეთის ფეხსაცმელი, მუშკოოპს — 170.000 მან., „ზაკოენპო“-ს — 25.000 მან., საგზაო-სატრანსპორტო სამომხმარებლო საზო-ბას—120.000 მან., აფხაზეთის კოოპ. კავშირს — 50.000 მან., საქართველოს სახ. საპაიო საზ-ბას — 202.000 მან., აფხაზეთის სახ. ვაჭრობის საპაიო ამხ-ბას — 20.000 მან. და აჭარისტანის სახ. ვაჭრობის საპაიო ამხ-ბას—15.000 მან. 30.000 მან. ფეხსაცმელი გადადებულია სათადარიგო ფონდში.

# არზრუმის რკინისგზათა უფროსის ჩამოსვლა

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდა არზრუმის რკინის გზათა უფროსი ბ. ქემალედინ-ბეი. თურქეთიდან ამიერ-კავკასიაში ჩამოსვლის მიზნების შესახებ ბ. ქემალედინ ბეიმ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— მე განზრახვა მქონდა მენახა თბილისში ა.-კ. რკინის გზათა უფროსი, რომელსაც უნდა მოველაპარაკებოდი მთელ რიგ საკითხების გარშემო. ამჟამად მე ვსარგებლობ შვებულებით, რომელიც მინდა გამოვიყენო ამიერ-კავკასიის დასათვალიერებლად და ზოგადათ გავეცნო ა.-კ. რკინის გზების მუშაობას.

გარდა ამისა, უახლოესი თვის განმავლობაში თბილისში განზრახულია მოწვეულ იქნეს თურქეთისა და საბჭოთა კავშირის რკინის გზების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც განიხილავს თურქეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს. როგორც ცნობილია, თურქეთ-საბჭოთა კავშირს შორის სარკინისგზო მიმოსვლა სწარმოებს მხოლოდ ა.-კ. საზღვრებით. მომავალი თათბირის დღის წესრიგში დასმული იქნება მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადაჭრა უაღრესად დადებით გავლენას მოახდენს თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობაზე.

# რკინის გზებზე

### მატარებლების დაჯახება

ამ დღეებში შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ განიხილა საქმე მატ. № 454 და №452 დაჯახების შესახებ სად. ბალაჯარაში ა.-წ. 19 ივნისს. დაჯახება შემდეგმა მიზეზებმა გამოიწვია: უფროსმა მეისრემ **ჯაფაროვმა** შეცდომით აცნობა სადგურის მორიგეს, რომ მეექვსე ლიანდაგი თავისუფალია მატარ. № 454 მისაღებათ, ფაქტიურად კი გზა თავისუფალი არ იყო. მატ. № 454 დაეჯახა მეექვსე ლიანდაგზე ჩამომდგარ მატარებელს № 452, რის გამო რკინის გზამ იზარალა 22.773 მანეთი.

ამ შემთხვევის გამო საგზაო კომისიის დადგენილებით დათხოვნილი არიან სამსახურიდან უფროსი მეისრე **ჯაფაროვი** და უმცროსი მეისრე—**ალინახმედი**. ჩამოყენებულია უმცროს მემუხრუჭეთ— მთავარი მემუხრუჭე **ვალევსკი**; გულგრილობისა და დაუდევრობისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით მემუხრუჭე —**დუდინს**, სადგურის უფროსის თანაშემწე— **რახმანინოვს** და მემაქანე **ნაზარენკოს**.

### საბინაო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა

საბინაო მშენებლობის ხუთწლიან პერსპექტიული გეგმის შედგენას ა.-კ. რკინისგზაზე ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ არ სწარმოებდა რკინისგზელთა საბინაო პირობების რეგულიარული და მიზანშეწონილი გამოკვლევა. საბინაო მშენებლობის დამხმარე საგზაო კომისია ხელმძღვანელობდა მხოლოდ ბინებათ დაკავებულ ვაგონების რაოდენობით. ამჟამად რკ. გზათა გამგეობამ უკვე გამოიმუშავა ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შესათანხმებლად გადაეცა ა. კ. რკინისგზელთა პროფკავშირს და ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

გეგმის თანახმად ხუთი წლის განმავლობაში საცხოვრებლათ ბინა უნდა მიეცეს 1.784 რკინისგზელის ოჯახს. ახლად ასაშენებელ ბინების სივრცე განსაზღვრულია 70.000 კვ. მეტრით. ამრიგად თითო ოჯახზე მოდის 40 კვ. მეტრი.

საბინაო მშენებლობისათვის ხუთწლიანი გეგმით საჭიროა 11.500.000 მანეთი. გზათა სახალხო კომისარიატმა აცნობა ა.- კ. რკ. გზების გამგეობას, რომ მომავალ წელში საბინაო მშენებლობისათვის ა.-კ. რკინისგზებს გაეცემა —2.410.000 მან.

# ქრონიკა

### ტურისტული მოგზაურობა ხევსურეთში

საქ. საექსკურსიო-ტურისტული ბიურო აწყობს ტურისტულ მოგზაურობას ხევსურეთში. ტურისტები გაემგზავრებიან თბილისიდან ყაზბეგამდე ავტობუსით. ყაზბეგში ტურისტები დაათვალიერებენ მყინვარებს, დარიალის ხეობას და გაეცნობიან კავკასიონის ქედს.

სნოს ხეობით ტურისტები ფეხით გადავლენ ხევსურეთში ს. ჯუთაში, საძელე ღელის გადასვლით გადავლენ ს. ბლოში, შემდეგ ს. გუდანში, ს. ხახმატში, ს. ბარისახოში, ორწყალში, ჟინვალში და დუშეთში, გზა და გზა ტურისტები გაეცნობიან ხევსურების ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, მეურნეობას და სხვა. ფეხით გავლილი იქნება დაახლოვებით 160 კილომეტრ. დუშეთიდან ტურისტები წავლენ ლინეიკით მცხეთაში მოგზაურობა გაგრძელდება პირველ აგვისტოდან 15 აგვისტომდე. მთელი მოგზაურობა დაუჯდება თითო მონაწილეს 35 მან. ამ თანხაში შედის გზის და კვების ფასი.

### სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოები

სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციოთ დაწყებული სამუშაოები სწრაფი ტემპით ვითარდება. ამჟამად უკვე დამზადებულია ელექტრო ხაზისათვის საჭირო რკინის ანძების პირველი პარტია და დაწყებულია ანძების დასადგამ ადგილების მომზადება.

### საქ. წითელი ჯვრის იუბილეს გადადება

საქ. წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტში ჩვენი თანამშრომლის მიერ მიღებულ ცნობებით, საქ. წითელი ჯვრის 10 წ. იუბილე, რომელიც უნდა ჩატარებულიყო ა.-წ. სექტემბერში გადადებულია.

### ა.-კ. მებამბეობის რაიონების შესაწავლად

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამო[illegible] საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ ა.-კ. მებამბეობის რაიონების შესასწავლელ კომისიის თავმჯდომარე ამხ. ან. პრიდტეჩენსკი. მას დავალებული აქვს ჩაატაროს ა.-კ. მებამბეობის რაიონების შესასწავლი სამუშაოები და დამუშაოს ამ მიმართულებით შეგროვილი მასალები.

### თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი ქარხნები.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა მაზრის რაიონებში ადგილობრივ მეურნეობის პირობებთან შეფარდებით გახსნას სოფლის ნაწარმოების გადასამუშავებელი პატარა ქარხნები.

◆ **ექსკურსია.** ჯანმრთელობის სექციის ბიურო ამავე სექციის წევრებისათვის 15 ივლისს აწყობს ექსკურსიას მაზრაში.

### სხვადასხვა

◆ თბ. აღმასკომის წითელ დარბაზში 12 ივლისს საღამოს 6 ს. შესდგება „ბავშვების მეგობართა“ მე-4 საქალაქო კონფერენცია.

◆ ბორჯომში 20 ივლისს გაიგზავნება ავადმყოფთა მესამე ჯგუფი.

◆ სახალხო სამხატვრო სტუდია თავის 6 წლის მუშაობის აღსანიშნავად 12 ივლისს პროფსაბჭოს დარბაზში აწყობს სტუდიის მოწაფეთა სურათების გამოფენას.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო სილიორეანსკის ლექსების მესამე კრებული: „შემოდგომიდან ქარიშხალამდე“. გვ. 32. ფასი 30 კ.

# დაიწყო მუშაობა ქსანის ველის მოსარწყავად

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაამტკიცა სად. ქსანის მახლობლათ მდებარე მიწების მორწყვის პროექტი. სულ მორწყული იქნება 300 დესეტინაზე მეტი მიწა.

წყალი გამოყვანილი იქნება მდ. ქსანიდან ტურბინის საშუალებით. ტურბინის დადგმა, შესაფერი არხების გაყვანა და საჭირო ნაგებობათა აგება სულ დაჯდება 30.000 მანეთამდე. მიწის სამუშაოები უკვე დაწყებულია. სამუშაოების შესასრულებლათ უფასოდ გამოდის ადგილობრივი გლეხობა.

მუშაობა დამთავრებული იქნება მომავალი სამეურნეო წლის დაწყებამდე. დამთავრებული სარწყავი სისტემის საზეიმო გახსნა მოხდება ოქტომბრის მე-11 წლისთავის დღესასწაულების დროს.

სამუშაოების ხელმძღვანელად წყალთა მეურნეობის სამმართველომ დანიშნა ინჟ. ა. ჯაფარიძე.

# სასამართლო

### მძარცველების გასამართლება

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით გაარჩია ნიკოლოზ მჭამელაშვილის, შაქრო მჭამელაშვილის, ნურალი ისმაილ ოღლის და ჰასან ნოვრუზ ოღლის საქმე.

უკანასკნელნი წარმოადგენდნენ გარეწართა ერთ ჯგუფს, რომელიც სხვისი ნაშრომ-ნაოფლარის გატაცებით აპირებდა თავის გატანას.

ამა წლის მარტის ბოლო რიცხვებში გლეხებმა შაქრო ქებრიაშვილმა, თეთრაძემ, ხურიშვილმა და სხვებმა თბილისში გასაყიდათ ჩამოიტანეს შეშა და ნახშირი.

გლეხებმა მალე გაიცალეს ხელი, აღებული ფულით ცოტა რამ შეიძინეს ოჯახებისათვის, ხოლო ფულის ნაწილი შეინახეს შავი დღისათვის და საღამოს გაემგზავრნენ ისევ სოფლისაკენ.

ს. დილომის ბოლოს რომ მიუახლოვდნენ, გლეხებს შემოესმათ იარაღების ჩხარუნი. ერთი წუთი და ყაჩაღებმა ალყა შემოარტყეს გლეხებს.

გამოჰყვეს ჯერ ერთი ჯგუფი, გაიყვანეს მოშორებით და წაართვეს რაც კი რამ გააჩნდათ. შემდეგ მეორე ჯგუფი გასწმინდეს მძარცველებმა. ბავშვებისათვის ნაყიდი გალეტებიც კი არ დაუტოვეს გლეხებს.

ყაჩაღები გაიქცნენ და თავი შეაფარეს ტყეს, მაგრამ დიდ ხანს ვერ იპარპაშეს მსუნაგებმა.

ყაჩაღები მალე შეპყრობილი იქნენ. ისინი აღმოჩნდნენ ზემოდ დასახელებული პირები: ნიკოლოზ მჭამელაშვილი, შაქრო მჭამელაშვილი, ნურალი ისმაილ ოღლი და ჰასან ნავრუზ ოღლი.

**სასამართლომ თვითეულ მათგანს მიუსაჯა რვა-რვა წლით თავისუფლების აღკვეთა და სამოქალაქო უფლებების აყრა 5 წლის ვადით.**

### ქალის მოტაცება

— კოხტიაშვილებს ვანახვებ ჩემს ვაჟკაცობას! მაგათ ვანანებ ჩემს ასე აბუჩად აგდებას! სად დამიმალავენ ქალს? მიწაშიაც რომ ჩამარხონ ცოცხლად, მაინც ამოვიყვან;—იმუქრებოდა გრიგოლ ჩხუტიაშვილი, რომელსაც დაეჟინებ ა, რაც არ უნდა დამიჯდეს ივანე კოხტიაშვილის სიძე უნდა გავხდეო.

ქალიც და მისი ჭირისუფლებიც უარით ისტუმრებდნენ ჩხუტიაშვილს, მაგრამ უკანასკნელი მაინც არ ცხრებოდა და ზედი-ზედ უგზავნიდა მათ მუქარას.

ამბავი ხდება სოფელ მლაშეში (დუშეთის მაზრა).

არ გასჭრა მუქარამ. „შიშმა ვერ შექმნა სიყვარული“, ჩხუტიაშვილი ვერ გახდა სიძე.

„ტრფობით დადაგული“ გრიგოლი გაამხნევეს ამხანაგებმა და აღუთქვეს ყოველგვარი დახმარება საჭირო შემთხვევაში.

ჩხუტიაშვილმა გადასწყვიტა ქალის მოტაცება.

დეკემბრის ღამე იყო, როცა გრიგოლი წინ მიუძღოდა შეიარაღებულ „რაზმს“ და მიამღეროდა: „მოგიტაცებ წაგიყვან, გულში ჩაგიხუტებო“.

კოხტიაშვილის ოჯახში ყველას ეძინა, როცა თავდამსხმელებმა კარები შემოამტვრიეს და ხანჯლები იშიშვლეს ქარქაშიდან.

გასათხოვარი ქალი კიდევ ნახევრად ძილში იყო, როცა ის „საქმრომ“ გადმოითრია ლოგინიდან და ტომარივით გაათრია გარეთ.

ატყდა ტირილი და ზრიალი. ქალმა მოიკრიფა ძალ-ღონე და შეუტია მოძალადეებს. რას გაბედავდა ოთხ შეიარაღებულ მამაკაცთან!

მიათრიეს თავდამსხმელებმა თეთრეულისამარა ქალი, რომელიც ჯერ შიშისა და შემდეგ ზამთრის სიცივისაგან თრთოდა და ჰკანკალებდა.

გაიარეს კარგა მოზრდილი მანძილი. ქალი იბრძვის, რაც ძალი და ღონე აქვს.

მოისმა ჭირისუფლების მიერ გამოგზავნილი მადევრების ყიჟინა.

ამან თითქოს ძალა შემატა ქალს, რომელმაც ერთი ისეთი მაგარი მუჯლუგუნი უთავაზა „სასიძოს“, რომ უკანასკნელი ფეხზე ძლივს დამაგრდა.

პატარა ხანი და ქალის ძმაც გამოჩნდა. მას უკან სხვები მოსდევდენ საშველად.

ჩხუტიაშვილმა იგრძნო, რომ ძალით ვერ წაიყვანს ქალს. იშიშვლა ხანჯალი და დაიყვირა:

— ჩემი თუ არ იქნები, სხვას მაინც არ დაგუთმობ შენ თავს...მოკვდი!

ჩხუტიაშვილმა რამდენიმეჯერ დაჰკრა ქალს ხანჯალი პირის სახეზე. ქალი გაიღვარა სისხლში. ჩხუტიაშვილმა აღმართა მახვილი ქალის საბოლოოდ განსაგმირავად, მაგრამ ამ დროს „სასიძოს“ შეება ქალის ძმა. გაძლიერდა მშველელი რაზმი.

თავდამსხმელები შედრკნენ. გადასწყვიტეს გაქცევა.

ქალი მიატოვეს სახე დაჩეხილი. ქალის ძმასაც დაუზიანეს თავი თოფის კონდახით.

მიზანს კი ვერ მიაღწიეს. ქალი ცოტა ხნის მკურნალობის შემდეგ გამოჯანმრთელდა.

შეიპყრეს თავდამსხმელები: **გრიგოლ ჩხუტიაშვილი, ილო ჩხუტიაშვილი, შაქრო ნოვლიაშვილი და ახანა აგაშენაშვილი.**

საქმე გაარჩია დუშეთის სასამართლომ. გრიგოლ ჩხუტიაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და სამოქალაქო უფლებების აყრა სამი წლით, შაქრო ნავლიაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით და სამი წლით უფლებების აყრა, ილო ჩხუტიაშვილს—ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით უფლებების აყრა, აგაშენაშვილს, როგორც ყველაზე პასიურ მონაწილეს, მიუსაჯა პირობითი სასჯელი 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

ვერ.

# შემთხვევები

### თავდასხმა ნაქერალას უღელტეხილზე

◆ როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, 9 მაისს ნაქერალას უღელ-ტეხილზე (რაჭის მაზრა) ტყიბულიდან მიმავალ მგზავრებს თავს დაესხა სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომლებმაც სიკვდილის მუქარით მგზავრებს წაართვეს 500 მანეთი ფულად და 600 მანეთის ნივთები.

რაჭის მაზრის მილიციის უფროსი ამხ. **გურგენიძე** შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს გადმოგვცემს თავდასხმის შესახებ.

ბოროტ-მოქმედებმა ძარცვის დროს ერთ-ერთ მგზავრს—**სოსო ნეფარიძეს** შეამჩნიეს რევოლვერი და მოუნდომეს მისი წართმევა მაგრამ ნეფარიძეს არ უნდოდა ნებით ჩაებარებია იარაღი ბოროტმოქმედებისათვის.

სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად მეორე მგზავრმა მოჯამაგირე **აკაკი ვარდოსანიძემ** (17 წლის) ნეფარიძეს ურჩია ჩაებარებია რევოლვერი თავდამსხმელებისათვის, ვინაიდან ვიცნობ ბოროტმოქმედებს და მილიციის საშუალებით შეიძლება რევოლვერის უკან დაბრუნებაო. ამას ყური მოკრეს ბოროტმოქმედებმა და მგზავრების გაძარცვის შემდეგ თან წაიყვანეს აკაკი ვარდოსანიძე, რომელიც უკან აღარ დაბრუნებულა.

ამხ. **გურგენიძე** იტყობინება, რომ ბოროტმოქმედნი უკვე შეპყრობილია. ისინი აღმოჩნდენ შორაპნის მაზრის მცხოვრებნი **რობაქიძე და ქათამაძე**, რომელთა საშუალებითაც ნაპოვნი იქნა მათ მიერ მოკლული აკაკი ვარდოსანიძის გვამი. თავდასხმის მესამე აქტიური მონაწილე **ვასილ აბესაძე** წინააღმდეგობის გაწევის გამო ჩხარის მილიციის მიერ მოკლული იქნა სოფ. მუხურში (შორ. მაზრა).

შეპყრობილნი არიან აგრეთვე მძარცველების ხელის შემწყობნი—რიცხვით 4 კაცი.

ბოროტმოქმედთა აღმოჩენაში აქტიური მონაწილეობა მიიღო როგორც რაჭის, ისე ჩხარის, ხრესილის და ტყიბულის მაღაროების საუწყებო მილიციამ.

დამნაშავეთა დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მათ აკაკი ვარდოსანიძე მოუკლავთ ბოროტმოქმედების დაფარვის მიზნით.

### ხანძარი

გუშინწინ ღამის 11 საათზე მოქ. კვანტალიანის ოთახში (კარუზის ქუჩა № 16) მაგიდიდან გადმოვარდა ანთებული ლამპა და დაეცა ანთებულ პრიმუსს, რის გამო იატაკს გაუჩნდა ცეცხლი.

ცეცხლის ჩაქრობის დროს მოქ. ვლადიმერ და მიხეილ კვანტალიანები დაშავდნენ და გაგზავნილ იქნენ ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

### ყალბი ჩეკები

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გრიგოლ აკიმისძე წერეთელი, რომელმაც კოოპერატივ „მეომარი“-ს მაღაზიიდან № 1 ყალბი ჩეკებით გამოიტანა საქონელი.

### ქურდობა

გაქურდეს მოქ. გიორგი ვახტანგიძე ულონტის ბინა (პირველ საარტ. ლეგიონის შენობაში), საიდანაც მოიპარეს 161 მან. ნივთები;—10 ივლისს მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მოქ. ლიდა მანუკოვას ბინა (ეორესის ქუჩა № 15), მოპარულია 260 მან. ნივთები;—ამავე დღეს გაქურდეს მოქ. გრამიტონ სხირტლაძის სასადილო „რაჭა“ (სადგურის ქუჩა № 30), მოპარულია 140 მან. ფულათ და 65 მან. ნივთები.

# ვის ჩამოერთმევა სახლები

**შულევსკაიას** (მაგისტრალის ქ. № 30), **ელიოზოვს** (პრიუტის ქ. № 8), **ზურაბოვს** (მაგისტრალის ქ. № 17), **იაკუშევსკის** (მალაკნის ქ. № 36), **უტეშოვას** (მაგისტრ. ქ. № 29), **ჩხენკელს** (მოსკოვის ქ. № 7), **არეშოვს** (პრიუტის ქ. № 20), **პავლიაშვილს** (მალაკნის ქ. № 34) **კრიჩევსკის** (გოგოლის ქ. № 53), **გოპაძეს** (დავითაშვილის ქ. № 4), **ჭიჭინაძეს** (მაგისტრალის ქ. № 23), **დვალს** (მაგისტრალის ქ. № 27), **ფარსადანოვს** (პლეხანოვის პრ. № 183), **ტყეშელაშვილს** და სხვ. (ყიფიანის ქ. № 10), **ძულიაშვილს** (ნაზარეთის ქ. № 5), **ბიბილეიშვილს** (გორის ქ. № 10) **მაზანს** (გოგოლის ქ. № 5), **გუნცაძეს** (ბათომის ქ. № 32), **პორტნოვს** (19 თებერვლის ქ. № 15), **ხურშუმოვს** (არარატის ქ. № 12), **კალანდიას** (მალაკნის ქ. № 20), **საათაშვილს** (კარუსელის ქ. № 1), **წოწოლაშვილს** (გოგოლის ქ. № 19), **პანომაროვებს** (გოგოლის ქ. № 47), **მამაცაშვილს** (გოგოლის ქ. № 13), **ბადრიაშვილს** (ბელინსკის ქ. № 23), **მაკაროვას** (მალაკნის ქ. № 6), **სამადაშვილს** (გოგოლის ქ. № 3), **გუნიაშვილს** (გოგოლის ქ. № 7), **სამსონიანს** (გოგოლის ქ. № 49), **ბარათაშვილს** (ბესიკის ქ. № 33) **გრიქუროვს** (ბესიკის ქ. № 35), **ზარდიაშვილს** (გოგოლის ქ. № 59), **პლინეს** (იურიევის ქ. № 50), **ლობკოს** (იურევის ქუჩა № 52), **რუდაკოვას** (მალაკნის ქ. № 17), **ბალდასაროვს** (გონჩარის ქ. № 14), **ლოსკუტოვას** (მალაკნის ქ. № 16), **ყაზბეგიშვილს** (მალაკნის ქ. № 3), **ანფიმოვს** (მალაკნის ქ. № 15), **აბრამიძეს** (იურევის ქ. № 14), **ჟაბინას** (მალაკნის ქ. № 54), **ბუტულოვებს** (მოგნინის ქ. № 9), **როკეტლიშვილს** (მოგნინის ქ. № 17), **პატალოვს** და სხვ. (მალაკნის ქ. № 56), **მიკირტუმოვს** (გოგოლის ქ. № 57), **აპრესოვს** (ანტონოვის ქ. № 16) **ჯანაშვილს** (სომხის ბაზარი № 11), **მდივანოვას** (ბოჭორიშვილის ქ. № 2), **ნარსიას** (მალაკნის ქ. № 46), **ტერ-სტეპანოვს** (ენგელსის ქ. № 9), **ჩიჯავაძეს** (სანაპირო ქ. № 3), **ზოლნიკოვს** (გროზნოს ქ. № 7), **მაცაბერიძეს** (მაგისტრალის ქ. № 31), **არაქელოვს** და სხვ. (არსენას ქ. № 25), **მესროპოვებს** (პლატონის ქ. № 4), **ხვედელიანს** (მაგისტრალის ქ. № 33), **ბაჟბეუკ-მელიქოვს** (ყიფიანის ქ. № 12), **კატანიანს** (ლომინაძის ქ. № 12), **ი. გომართელს** (პეროვის ქ. № 21), **გრიქუროვს** (ლაზარევის ქ. № 88). **მხითარიანს** (ლაზარევის ქ. № 88), **ამირეჯიბს** (კრილოვის ქ. № 3).

# ჭ ა დ რ ა კ ი

## ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

### ბრძოლის შედეგები

ამიერ - კავკასიის საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელიც ეხლახან დამთავრდა, საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. პირველად შეხვდენ ამიერ - კავკასიის რესპუბლიკები ერთმანეთს საჭადრაკო ასპარეზზე. ამ შეჯიბრებაში განსაკუთრებით ძვირფასია სომხეთის მოჭადრაკეთა მონაწილეობა, ვინაიდან სომხეთში საჭადრაკო ცხოვრება მხოლოდ ეხლა იწყება, თუ საქართველოსა და აზერბეიჯანში საკმაოდ ცნობილი მოჭადრაკეები არიან, სომხეთი ამ მხრივ სრულიად უცნობ ქვეყანას წარმოადგენს. აქ, თბილისში, ამიერ - კავკასიის ჩემპიონატზე სომხეთი პირველად შევიდა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა ოჯახში. ამიერ - კავკასიის ჩემპიონატი, რომელმაც განამტკიცა საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის მოჭადრაკეთა ძმური კავშირი, უეჭველად დიდად შეუწყობს ხელს საჭადრაკო ხელოვნების განვითარებასა და აყვავებას ამ რესპუბლიკებში.

გარდა იმისა, რომ ამიერ - კავკასიის ჩემპიონატს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ის დიდ მოვლენას წარმოადგენს წმინდა საჭადრაკო თვალსაზრისითაც. ჩემპიონატის ორგანიზატორებში შესძლეს ამიერ-კავკასიის კვალიფიკაციური ძალების მოწვევა და უნდა ითქვას, რომ ამ მხრით ამიერ-კავკასიის ჩემპიონატი არ ჩამოუვარდება ამას წინად უკრაინაში გამართულ ჩემპიონატს და საგრძნობლად უსწრებს წინ ყველა დანარჩენ საოლქო საჭადრაკო შეჯიბრებას. საკმარისია ითქვას, რომ ტურნირში მონაწილეობას იღებდა 3 მაესტრო და 7 საკავშირო მასშტაბით, პირველ ხარისხოვანი მოჭადრაკე. ზოგიერთი მათგანი თავის დროზე მონაწილეობას იღებდა საკავშირო ხასიათის საჭადრაკო შეჯიბრებებში.

ძველ მოჭადრაკეებთან ერთად ტურნირში მონაწილეობა მიიღო ნიჭიერმა ახალგაზრდა მოჭადრაკეებმაც. ზოგიერთმა მათგანმა სულ ცოტა ხნის წინად ისწავლა ჭადრაკის თამაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი უკვე საშიშ მებრძოლებს წარმოადგენენ და მათი მონაწილეობა ყოველ ტურნირს დაამშვენებს.

ტურნირის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია არც ერთ ინცინდენტს. თავიდანვე სწრაფად დაწინაურდნენ და ტურნირის დამთავრებამდე წინ მიდიოდნენ მაესტროები მაკაგონოვი და ილინ-ჟენევსკი და ახალგაზრდა მოჭადრაკე გოგლიძე. ტურნირის დამთავრებამდე შეუძლებელი იყო იმის გამორკვევა, თუ რომელი მათგანი გაუსწრებდა წინ კონკურენტებს. გამძლეობამ და სატურნირო გამოცდილებამ ხელი შეუწყვეს მაკაგონოვსა და ილინ-ჟენევსკის მიეღოთ პირველობა: მათ გაინაწილეს პირველი და მეორე ადგილი. გოგლიძე გამარჯვებულთ მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა და მან მესამე ადგილი დაიკავა. ეს დიდი გამარჯვებაა, რომელიც გოგლიძეს საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოჭადრაკეების რიგებში აყენებს. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და მისი ტუტური ნიჭი თავდებია იმისა, რომ მას მნიშვნელოვანი მიღწევები ექნება. სასურველია იგი საბჭოთა კავშირის უახლოეს ჩემპიონატის მონაწილეთა რიგებში ვნახოთ.

მეოთხე ჯილდო აიღო ბაქოს მოჭადრაკემ, სავსებით მომწიფებულმა და გამოცდილმა მოთამაშემ, როსტოვცევმა, რომელმაც შედარებით მარცხით დაიწყო ტურნირი, მაგრამ ბოლოს ზედი-ზედ მოიგო 7 (!) პარტია და მით უზრუნველჰყო თავისთვის მეოთხე ადგილი.

ახალგაზრდებიდან საუკეთესო შედეგს მიაღწიეს ბაქოელმა აბრამიანცმა (გაიყო მე-5 და 6 ჯილდო ტალვიკთან) და თბილისელმა ებრალიძემ (დაიკავა მე-8 ადგილი). ორივე ამ მოჭადრაკემ სხვათა შორის, ყაიმით დაამთავრეს პარტიები სამივე მაესტროსთან. აბრამიანცმა დიდი გამძლეობით ჩაატარა მთელი ტურნირი. ებრალიძეს უფრო დიდი ადგილი უნდა დაეკავებია, მაგრამ ბოლოს დაიღალა; სულით დაეცა, წააგო ორი უკანასკნელი პარტია და მხოლოდ მერვე ადგილი შეხვდა.

თავის ძალასთან შედარებით უფრო სუსტად ითამაშეს მაესტრომ სმოროდსკიმ (მე-7 ადგილი) და საქართველოს ერთ-ერთმა ჩემპიონმა სოროკინმა (მე-9 ადგილი). პირველი მათგანი ძლიერ დატვირთული იყო სამსახურის მოვალეობით, მეორეს კი ხელს უშლიდა ავადმყოფობა.

ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატის მონაწილენი

უკანასკნელი სამი ადგილი დაიკავეს სომხეთის წარმომადგენლებმა — კარჩიკიანმა, ტერ-მატევოსიანმა და ტოტევიანმა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სომხეთი, როგორც უკვე აღვნიშნე, საჭადრაკო საქმეში ყველაზე უფრო ახალგაზრდა ქვეყანაა და ამიერ - კავკასიის ჩემპიონატი მისი წარმომადგენლებისათვის პირველ გამოცდას წარმოადგენდა. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ყველა ისინი საუცხოვოდ თამაშობდნენ დებიუტში და კარგად ერკვეოდნენ პარტიაში. ტოტევიანიც კი, რომელიც ყველაზე უფრო სუსტი აღმოჩნდა ტურნირში, ხშირად ღებულობდა უკეთეს პარტიას ჩემპიონატის უძლიერეს მონაწილეებთან. მას, ისევე, როგორც მის ამხანაგებს, სერიოზული ვარჯიშობისა და სატურნირო გამოცდილების უქონლობა უშლიდა ხელს, გამოეყენებია თავისი უპირატესობა.

ტურნირი დამთავრდა. გაკეთდა დიდი კულტურული საქმე. ეხლა ჩემპიონატის მონაწილენი დაუბრუნდებიან თავიანთ ადგილებს, რათა შეძენილი გამოცდილებით მოჭადრაკე მუშათა მასებთან ერთად განახორციელონ მე-3 საკავშირო საჭადრაკო — საშაშო ყრილობის მიერ გამოსროლილი ლოზუნგი: „გზა ჭადრაკს მუშათა მასებში“!

**ა. ილინ-ჟენევსკი.**

## უკანასკნელი (მე-15) ტური

უკანასკნელ ტურამდე ძნელი აღმოჩნდა წინასწარ გამორკვევა იმისა, თუ ვინ აიღებდა პირველ სამ ადგილს ჩემპიონატში. მართალია, მაესტროები ი.-ჟენევ. და მაკაგ. ნახევარი ქულით წინ იყვნენ გოგლიძეზე, მაგრამ თვითეულ მათგანს უკანასკნელ ტურში მაინც ყავდა ძლიერი მოწინააღმდეგე, რომელთაც შეეძლოთ პარტიის არა მარტო ყაიმით დამთავრება, არამედ მოგებაც. ჟენევსკი თამაშობდა სმოროდსკისთან, მაკაგონოვი—სოროკინთან, გოგლიძე კი შედარებით უფრო სუსტ მოწინააღმდეგესთან—მალუნცევთან.

**სმოროდსკი—ილინ-ჟენევსკი** (სიცილიური). სმოროდსკიმ ფრთხილად გაითამაშა დებიუტი. შესწირა პაიკი და პარტიის მისცა განვითარება, მაგრამ შემდეგ დაიწყო უფრო სუსტი სვლების გაკეთება, შესწირა ფიგურა, რომ იერიში მიეტანა მოწინააღმდეგეზე, მაგრამ მოსტყუვდა. ჟენევსკიმ კარგათ გამოიყენა თეთრების შეცდომა და ენერგიული თამაშის წყალობით პარტია დაამთავრა თავის სასარგებლოთ.

**მაკაგონოვი—სოროკინი** (ლაზიერის პაიკების დებიუტი). სოროკინი უსაფუძვლოდ წავიდა პარტიის გამწვავებაზე, შეეცადა მდგომარეობის გართულებას, მაგრამ მაკაგონოვი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა შავების ყოველგვარ ცდას. მაკაგონოვმა ლაზიერის ფლანგზე პაიკების ენერგიული სვლით უარყო პარტიის საყაიმო ვარიანტი და თამაში მოიგო.

**გოგლიძე—მალუნცევი.** საათ-ნახ. ბრძოლის შემდეგ დამარცხდა მალუნცევი. გოგლიძემ მოწინააღმდეგეს შესწირა ფიგურა, სამაგიეროდ მისი მეფე მოაქცია საშამათო ქსელში და აიძულა დანებებულიყო.

**ტალვიკი—აბრამიანი** (ფრანგული). ორივე მოწინააღმდეგე დამშვიდებით თამაშობდა. პარტია დამთავრდა ყაიმით.

**ებრალიძე—ავეტისოვი.** ენერგიული შეტევის შემდეგ ავეტისოვმა მოუგო ებრალიძეს.

**იმენიტოვი—ტოტევიანი.** იმენიტოვმა მალე მოუგო მოწინააღმდეგეს.

**როსტოვცევი-მატეოსიანი.** როსტოვცევმა გამარჯვებით დაამთავრა ფინიში. პარტია მოხდენილად მოუგო მატეოსიანს.

**ბადაი—კარჩიკიანი.** პარტია დამთავრდა ყაიმით.

ამრიგად, ხუთმეტი დღის ბრძოლის შემდეგ დამთავრდა ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი.

**პირველი ადგილი** დაიკავეს მაესტროებმა **ილინ-ჟენევსკიმ და მაკაგონოვმა.** თითეულმა მათგანმა შეკრიბა +12 ქულა 15 პარტიიდან. მეორე ადგილი დაიკავა ვ. გოგლიძემ. შეკრიბა +11 ნახ. ქულა მესამე როსტოვცევმა +10 ნახ. ქულა, მეოთხე და მეხუთე ადგილი დაიკავეს აბრამიანმა და ტალვიკმა. თითოეულმა მათგანმა შეკრიბა +9 ნახ. ქულა. მეექვსე ადგილი დაიკავა—მაესტრო სმოროდსკიმ—შეკრიბა +8 ნახ. ქულა, მეშვიდე ადგილი ხვდა ა. ებრალიძეს +7 ნახ. ქულა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩემპიონატში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ახალგაზრდა მოთამაშეებმა.

მაესტრო ვლ. მაკაგონოვს, რომელმაც ამ ჩემპიონატში დაიკავა პირველი ადგილი (ჟენევსკი თამაშობდა კონკურსის გარეშე) ენიჭება ამიერ-კავკასიის ჩემპიონის სახელწოდება. ჩემპიონატის პირობების თანახმად, ვ. გოგლიძეს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა სრ. საკავშირო ჩემპიონატში.

**ვ. გოგლიძე.**

## „კომუნისტი“-ს ანკეტა

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ა.-კ. მოჭადრაკეთა ჩემპიონატში მონაწილეებს, რომლებმაც გაუზიარეს მას თავიანთი შთაბეჭდილებანი ჩემპიონატის მიმდინარეობის შესახებ.

### ვლ. მაკაგონოვი

(ბაქო)

როგორც მოსალოდნელი იყო, ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი დამთავრდა მაესტროების გამარჯვებით. აღსანიშნავია, რომ შემდეგი (მესამე) ადგილი დაიკავა შედარებით ახალგაზრდა მოჭადრაკემ ვ. გოგლიძემ, რომელმაც ჩემპიონატში გამოიჩინა თამაშის მაღალი კლასი და საჭირო მომზადება. რაც შეეხება დანარჩენ მონაწილეებს, უნდა ითქვას, რომ როსტოვცევმა ჩემპიონატში სრულიად მოულოდნელად დაიკავა მაღალი ადგილი (მეოთხე), რაც უნდა მიეწეროს მის მოწინააღმდეგეების მიერ დაშვებულ მთელ რიგ შეცდომებს. ახალგაზრდა მოჭადრაკეებიდან ყურადღებას იპყრობს აბრამიანი და ებრალიძე. მათ შეეძლოთ უფრო საპატიო ადგილი დაეჭირათ ჩემპიონატში, რომ უფრო ყურადღებით ეთამაშათ და მეტი მოფიქრება გამოეჩინათ. შედარებით სუსტად თამაშობდნენ სოროკინი, მაესტრო სმოროდსკი და ძველი ლენინგრადელი მოჭადრაკე ტალვიკი.

### გოგლიძე

(თბილისი)

ა.-კ. ჩემპიონატი ჩვენი სიძლიერის გამოცდა იყო. აქ გამოჩნდა ჩვენი ნიჭი და გამძლეობა, აგრეთვე ყველა ის ბუნებრივი ნაკლულოვანებანი, რომელიც ხშირად ახლავს ახალგაზრდა მოთამაშეებს. პირადათ მე შესაძლებლობა მქონდა პირველ ადგილზე გამოვსულიყავი, რომ ჩემი შეხვედრა ავეტისოვთან და ბადაისთან არ დამთავრებულიყო ყაიმათ, როცა მე მოსაგები მდგომარეობა მქონდა. დანარჩენი მონაწილეებიდან პასიურად თამაშობდა მაესტრო სმოროდსკი. ბოლო ხანებში ებრალიძეს დაეტყო მოღლილობა, შვიდი უკანასკნელი პარტიიდან მან გააკეთა ორი ყაიმი. სოროკინი სუსტად თამაშობდა. როსტოვცევი არ არის მესამე ადგილის ღირსი. უკანასკნელ 8 ტურში მისი მოწინააღმდეგენი მოსაგებ მდგომარეობაში უშვებდნენ უხეშ შეცდომებს, კარგავდნენ ან ლაზიერს, ან ეტლს, ან უფრო მსუბუქ ფიგურას, რის წყალობით როსტოვცევი იგებდა პარტიებს.

### აბრამიანი

(ბაქო)

მაესტროებისაგან მე უფრო მეტს მოველოდი. ამათმად ეჭვი მეპარება მათ ძალაში. პირადათ მე არ მყოფნის მოთმინება. მოსაგებ პარტიას ხშირად ყაიმით ვამთავრებ. გოგლიძე ძლიერი მოთამაშეა. ის ყოველთვის ცდილობს ინიციატივის გამოჩენას. უფრო ხშირად შეტევას აწარმოებს მეფისა და ლაზიერის ფლანგზე. ამ ჩემპიონატში როსტოვცევს „ბედმა“ გაუღიმა. მან პარტიები მოიგო მხოლოდ იმ ძლიერ მოთამაშეებთან, რომლებმაც დაკარგეს ფიგურები. სოროკინს, ბადაის და იმენიტოვს შეეძლოთ უფრო კარგათ თამაში, მაგრამ ამ ჩემპიონატში ვერ გამოიჩინეს თავისი ძალა. ებრალიძე უთუოდ ნიჭიერი და კარგი მოთამაშეა. მაგრამ გოგლიძესთან პარტიის წაგებამ იმოქმედა მის გამძლეობაზე.

### ტალვიკი

(თბილისი)

უხერხულ დროს მოეწყო ჩემპიონატი. ზაფხულის სიცხემ და შესაფერისი ბინის უქონლობამ თავისი გავლენა მოახდინეს გათამაშებულ პარტიების ხარისხზე. სტუმრებიდან კარგათ თამაშობდა მაესტროები მაკაგონოვი და ილინ-ჟენევსკი, თუმცა მათ უფრო მეტის მიღწევა შეეძლოთ, გოგლიძემ ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ნიჭი და გამძლეობა თამაშში. ებრალიძემ ძალიან კარგათ დაიწყო, მაგრამ შემდეგ მოტყდა, მასზე უთუოდ იმოქმედა გოგლიძესთან პარტიის წაგებამ. მაესტრო სმოროდსკი შედარებით სუსტად თამაშობდა. სოროკინის სისუსტე მოულოდნელი აღმოჩნდა. როსტოვცევმა შემთხვევით მოიგო მთავარი პარტიები. აბრამიანი ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეა.

### როსტოვცევი

(ბაქო)

ჩემპიონატის მეორე ნახევარი მოდუნებულად მიმდინარეობდა. სუსტ მოწინააღმდეგეებთან ყაიმები გააკეთეს ისეთმა ძლიერმა მოთამაშეებმა, რომელთაც ეს არ ეპატიებათ. მაესტროებმა ვლ. მაკაგონოვმა და სმოროდსკიმ ვერ გამოიჩინეს თავისი ძალა. ჟენევსკისაგან მე უფრო მეტს მოველოდი. პირადათ მე თამაში დავიწყე მთელი რიგი ყაიმით და წაგებით. შემდეგში მდგომარეობა გამოვასწორე. უკანასკნელ ჩემპიონატში მე დავამყარე რეკორდი. ზედიზედ მოვიგე შვიდი პარტია, რამაც ასწია ჩემი შანსები.

### ებრალიძე

(თბილისი)

თბილისელებს ცუდ დროს მოგვიხდა სტუმრებთან შეხვედრა. ა.-კ. მოჭადრაკეთა 1-ლი ტურნირი ჩვენთვის საშიში აღმოჩნდა, რადგან ჩვენ მოველოდით საქართველოს ჩემპიონატში ბრძოლით. ამას ამტკიცებს სოროკინის თამაშიც. მას შეეძლო უფრო სერიოზული ბრძოლის გადატანა, მაგრამ ამ ჩემპიონატში მან დამარცხება განიცადა. პირადათ მე ვფიქრობდი, რომ უკეთეს ადგილს დავიკავებდი, მაგრამ შემდგომი ბრძოლის ხალისი დამეკარგა გოგლიძესთან პარტიის მოულოდნელად წაგების გამო. საერთოდ, ჩემპიონატმა ბევრი რამ მასწავლა. საჭიროა სიდინჯე, მეტი მოფიქრება, მოთმენა და ძლიერი ნებისყოფა, რომ მომავალში წინ წავიდე.

## ილინ-ჟენევსკის ლექცია ჭადრაკზე

დღეს, 12 ივლისს მბეჭდავთა კავშირის ინიციატივით მუშათა ახალ კლუბში შესდგება მუშათა საჭადრაკო ინტერნაციონალის ჩემპიონის ილინ-ჟენევსკის ლექცია შემდეგ თემაზე: ბრძოლა მსოფლიო პირველობისათვის ჭადრაკში. ლექციის შემდეგ გაიმართება ერთდროული სეანსი.

# ბიბლიოგრაფია

### ლ. ფრიდლანდ

### „გამოკეტილ ოთახში“

გამომცემლობა „შრომა“— გვ. 191, ფასი—1 მ 25 კაპ.

ფრიდლანდის წიგნი საინტერესოა მით, რომ იქ მთელი სიგრძე-სიგანით წამოჭრილია საკითხი სქესობრივი ურთიერთობის მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ, რომელზედაც დამოკიდებულია წარმატებით ბრძოლა ვენერიული სნეულებათა წინააღმდეგ. ავტორი სცდილობს გაუზიაროს ფართო საზოგადოებას თავისი პირადი გამოცდილება და ყველასათვის თვალსაჩინო გახადოს ვენერიულ ავადმყოფობათა ეპიდემიურად გავრცელების რეალური საფრთხე.

ბევრისათვის გასაკვირია ის ფართო გამოძახილი, რომელიც პოვა ფრიდლანდის წიგნმა. და მართლაც, რაშია ამ წიგნის დიდი პოპულარობის საიდუმლოება? განა ვენერიულ ავადმყოფობაზე ცოტაა სერიოზული მეცნიერული შრომები? სრულებითაც არა. ლიტერატურა ამ საკითხზე საკმაოდ მდიდარია, მაგრამ იგი არ გასცილებია მკითხველთა ვიწრო წრეს. ფრიდლანდის წიგნი კი ხელიდან ხელში გადადის, წიგნში წამოჭრილ საკითხების გარშემო იმართება საჯარო დისპუტები, მოხსენებები. და ეს მიუხედავად იმისა, რომ კოლეგებ ძალიან ცივად შეხვდენ ამ წიგნს. ბევრი მათგანი აღნიშნავს, რომ ავტორი განზრახ ართულებს საკითხს, მეტად პესიმისტურ სურათს იძლევა, რომ წიგნში მრავალი ფაქტი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია და სხვა. წიგნის მასიური გავრცელება და ფართო საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც მან გამოიწვია, აიხსნება მით, რომ ავტორი ეხება მეტად მტკივნეულ და მნიშვნელოვან პრობლემას და რაც მთავარია წიგნი დაწერილია მეტად პოპულარული, ფართო მკითხველისთვის მისაწვდომი ცოცხალი ენით.

საკმარისი იყო, რომ ერთ რომელიმე ექიმ-ვენეროლოგს ოდნავად მაინც აეხადა ფარდა იმისათვის რაც ხდება ექიმის კაბინეტში, დახურულ კარს იქით. გამოემზეურებია რამოდენიმე ფაქტი, რომ საზოგადოების წინაშე გადაშლილიყო გულშემზარავი სურათი. საზოგადოებამ იგრძნო თუ რა დიდ საფრთხეს უქადის მის არსებობას ვენერიული სნეულება, თუ როგორ არღვევს იგი ოჯახის მყუდროებას, მრავალ შემთხვევაში იწვევს მწვავე კონფლიქტებს, ჯამნადგურებლად მოქმედებს ახალგაზრდობაზე. ფართო საზოგადოებისათვის ეს პრობლემა მთელი თავისი სიდიდით ხომ უცნობი იყო. მეცნიერული ტრაქტატები ამ ბრძოლების შესახებ მისთვის მიუწვდომელი იყო, ხოლო ექიმის კაბინეტის კარები მაგრად იყო გამოკეტილი და ის რაც იქ ხდებოდა შეადგენდა ექიმის პროფესიონალურ საიდუმლოებას, რომლის გამხელა ისჯებოდა კანონით.

ფრიდლანდის დამსახურება იმაშია, რომ მან საკითხი **ექიმის პროფესიონალური საიდუმლოების შესახებ გახადა საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად**—შეუძლია თუ არა ექიმს საიდუმლოთ შეინახოს ისეთი ფაქტები რომელიც განადგურებას უქადის საზოგადოებას, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაზე იხარჯება უდიდესი სულიერი და ფიზიკური ენერგია, ხელშეუხებლად დასტოვოს ბურჟუაზიული მორალის მიერ დაკანონებული პროფესიონალური საიდუმლოება თუ მან საჯაროდ უნდა გამოიტანოს ყოველი ასეთი ფაქტი. უმრავლესობამ ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხა, სანამ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ძლიერია ძველ ზნე-ჩვეულებათა გავლენა, უვიცობა, სიბნელე, სანამ ოჯახი ჯერ კიდევ დატვირთულია ძველი მორალური ტრადიციებით, პროფესიონალური საიდუმლოების გაცემა შეუძლებელია, ვინაიდან ექიმის ასეთი საქციელი დააფრთხობს ავადმყოფებს და მაშინ იმის საშუალებაც აღარ გვექნება, რომ საექიმო დახმარება აღმოუჩინოთ მათ, ხოლო ფრიდლანდის წიგნმა გამახვილა ჩვენი ყურადღება და პრაქტიკულად დასვა საკითხი ამ უვიცობის, სიბნელის, ძველ ბურჟუაზიულ ეტიკურ მოსაზრებათა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისა.

ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიღებთ იმ შეხედულებას, რომ ვინაიდან სქესობრივი სფერო წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების ინტიმურ მხარეს, არავის არ აქვს უფლება გადალახოს ეს ინტიმობის საზღვარი. ჩვენთვის მიუღებელია პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება იმ სახით, რომ არსებობს რაღაც მიჯნა ამ ორ ფენომენს შორის, რომლის გადალახვა იწვევს მათ შორის კონფლიქტს. ახალი საზოგადოება მოითხოვს სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღ ადამიანს, რომელიც სავსებით გამსჭვალული იქნება სოციალური ინსტინქტებით. ვენერიული ავადმყოფობა ეს მარტო პიროვნების უბედურება კი არაა, იგი უაღრესად სოციალური მოვლენაა და ამიტომ საჭირო ხდება მის წინააღმდეგ სოციალური ზომებით ბრძოლა. ჩვენ უნდა გადავლახოთ უვიცობისაგან გამომდინარე მოსაზრება „ინტიმიური სფეროს“ შესახებ. ვენერიულ ავადმყოფობას უნდა შევხედოთ არა როგორც პირად სამარცხვინო მოვლენას, არამედ როგორც სოციალურ ბოროტებას. ექიმის პროფესიონალური საიდუმლოება ისე როგორც იურისტის უნდა მოისპოს, მაგრამ ეს მომავლის საკითხია და დამოკიდებულია ჩვენი ბრძოლის ინტენსივობისა და ნაყოფიერებისაგან კულტურულ ფრონტზე.

ფრიდლანდის შრომას აქვს მეორე ღირსებაც. ავტორი ვენერიულ სნეულების საკითხს უდგება არა ვიწრო პროფესიონალური, არამედ სოციოლოგიური თვალსაზრისით, დასმულ პრობლემას იხილავს დაკავშირებით სხვა სოციალურ მოვლენებთან.

წიგნში გარკვეულია ყველა მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ სნეულების გავრცელებას — **პროსტიტუცია, ოჯახური ურთიერთობის არანორმალობა, ალკოგოლიზმი.** დღემდის, საზოგადოების ფართო წრეში გავრცელებულია ვეინინგერის მიერ წამოყენებული დებულება თითქოს პროსტიტუცია ადამიანის ბუნების თავისებურებაში უნდა ვეძიოთ ავტორი ცხადყოფს ამ დებულების უნიადაგობას და აშკარავებს პროსტიტუციის სოციალურ პირობებისაგან წარმოშობას.

საინტერესოა თავი რელიგიის როლის შესახებ პროსტიტუციის გავრცელების საქმეში. ავტორს მოყავს მრავალი ფაქტი ეკლესიის ცხოვრებიდან საიდანაც სჩანს, რომ **„უწმინდეს დაწესებულებას“ ხშირად იყენებდნენ, როგორც საროსკიპოს და საერთოდ როსკიპთა ექსპლოატაცია ეკლესიის შემოსავლის ერთ-ერთ დიდ წყაროს წარმოადგენდა.**

აღსანიშნავია, რომ ავტორი არსებითად არაფერს ახალს არ ლაპარაკობს. ის ტრიალებს იმ წრეში, რომელიც უკვე საკმაო საფუძვლიანობით დამუშავებულია მედიცინაში და სოციოლოგიურ ლიტერატურაში. მაგრამ ამ წიგნის მნიშვნელობას ეს სრულებითაც არ ამცირებს. მიზანი, რომელსაც ავტორი ისახავდა სავსებით გამართლებულია. **მკვეთრმა და ხმამაღალმა გაფრთხილებამ** უკვე ჰპოვა ფართო გამოძახილი. წიგნი ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს ყოველ მკითხველზე და იძლევა თავშეკავებისა და თავის თავისადმი ფხიზელი ყურადღების მძლავრ იმპულსს და ამავე დროს აღვივებს საზოგადოებრივ თვითმოქმედებას ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

თარგმანი დამაკმაყოფილებელია და ფასიც შედარებით წიგნის მოცულობასა და ტირაჟთან, ზომიერია.

**მკითხველი.**

## მოდელების შეჯიბრი

კვირას, 8 ივლისს, საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა თბილისში ჩაატარა მოდელების სრულიად საქართველოს შეჯიბრი.

შეჯიბრზე წარმოდგენილ იქნა 30 მოდელი, რომლებიც დაყოფილ იქნა საინსტრუქტორო და მასიურ ჯგუფებათ.

საინსტრუქტორო ჯგუფიდან გამარჯვება ხვდა ამხ. **კრუპინის** (თბილისი) მოდელს რომელმაც 34 წამის განმავლობაში გაიარა 380 მეტრი, რაც საკავშირო რეკორდს წარმოადგენს.

ამავე ჯგუფიდან პირველი ჯილდო მიიღო ამხ. **ჩეკულაევის** მოდელმა, რომელმაც 800 მეტრი დაფარა 3 წუთსა და 2 წამში. მეორე ჯილდო მიიღო ამხ. **ჯიოევის** მოდელმა, რომელმაც 450 მეტრი დაფარა 2 წუთსა და 35 წამში.

მასიური ჯგუფიდან გამარჯვება ხვდა ქუთაისის მოდელებს. ამხ. **ცაგარეიშვილის** და **დარახველიძის** მოდელებმა გაინაწილეს 1-ლი და მეორე ჯილდო.

ამხ. ცაგარეიშვილის მოდელმა 1 წუთის და 43 წამის განმავლობაში გაიარა 518 მეტრი, ამხ. დარახველიძის მოდელმა კი 51 წამში დაფარა 267 მეტრი.

ამავე შეჯიბრზე გამოცდილ იქნა 12 წლის პიონერის **შმიდტის** მიერ დამზადებული მოდელი, რომელმაც დაამყარა საკავშირო რეკორდი. მოდელი გაფრინდა 1000 მეტრის მანძილზე მხოლოდ მიწაზე დაშვების დროს იგი საგრძნობლად დაზიანდა.

## მეცნიერება და ტეხნიკა

### ახალი ასაფეთქებელი ნივთიერება

ამერიკის ოფიცერმა **ციმერმა** აღმოაჩინა ახალი ასაფეთქებელი ნივთიერება, რომლის შემადგენლობას საიდუმლოდ ინახავენ. იციან მხოლოდ, რომ მასში შედის რადიო-აქტიური ნივთიერებანი, რამაც საფუძველი მისცა გამომგონებელს ახალი ასაფეთქებელი ნივთიერებისათვის ეწოდებია „რადიუმის ამფეთქებელი“. გაზეთების ცნობით, ახალ ასაფეთქებელ ნივთიერებას აქვს მთელი რიგი უპირატესობანი და განმანადგურებელი ძალით სჯობნის ყველა არსებულ ნივთიერებებს, თუმცა მათზე იაფი ჯდება: მისი დამზადება ორჯერ იაფი ჯდება, ვიდრე დინამიტის.

შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ მოახდინა ახალი ასაფეთქებელი ნივთიერების გამოცდა. გამოცდის დროს ახალი ასაფეთქებელი ნივთიერების, დინამიტის და ტრინიტროტოლუოლის ერთგვარი რაოდენობა მოათავსეს ტყვიის დაფაში ამოჭრილ ნახვრეტში. ნახვრეტების სიდიდე სამივე ტყვიის დაფაში ერთნაირი იყო—125 კუბ. სანტიმეტრი. ორმოები, რომლებიც წარმოიშვა აფეთქების შემდეგ ასეთი სიდიდის იყო: ტრინიტროტოლუოლის—1.000 კუბ. სანტ., დინამიტის—1250 კუბ. სანტიმეტრი, ახალი ასაფეთქებელი ნივთიერების—1400 კუბ. სანტიმეტრი. ცდებმა, რომელიც მოახდინეს აფეთქების გავრცელებაზე ასაფეთქებელი ნივთიერება მასში, ასეთი შედეგი გამოიღო: აფეთქების ტალღა დინამიტის შემთხვევაში ვრცელდება 16.000 ფუტის სისწრაფით წამში. ტრინიტროტოლუოლის—8.000 ფუტის და ახალი ასაფეთქებელი ნივთიერების—10.000 ფუტის სისწრაფით წამში.

### ბამბუკის აყვავების საიდუმლოება

ბამბუკის აყვავება დღემდე წარმოადგენს მცენარეთა სამეფოს ერთ-ერთ საიდუმლოებას. ბამბუკი ყვავის ერთხელ 120 წელიწადში, ამავე დროს შენიშნულია შემდეგი უაღრესად საინტერესო მოვლენა: ერთი და იმავე სახის ბამბუკის ყველა ბუჩქები გაფანტული ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში, ყვავის ერთდროულად განურჩევლად ჰავასის, სიცხისა, ნიადაგისა და კლიმატიურ თავისებურობათა.

იაპონელი მეცნიერი **კავამურა** ამ რამოდენიმე ხნის წინად გამოვიდა ორიგინალური თეორიით ამ მოვლენის მიზეზების შესახებ. კავამურა მიუთითებს, რომ ბამბუკი ნორმალურ პირობებში მრავლდება ფესვების საშვალებით. ფესვები სწრაფად ვრცელდება მიწის-ქვეშ და გამოყოფს ახალ-ახალ ღეროებს. ამრიგად ბამბუკს შეუძლია „გადასახლება“ ძლიერ შორ მანძილზე. კავამურას აზრით ერთი სახის ყველა ბამბუკის ბუჩქები ერთი ძირიდან წარმოიშვა და თუმცა შემდეგში განშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ თითქო წარმოადგენენ ერთი ორგანიზმის ნაწილებს. ამით ხსნის კავამურა ერთი სახის ბამბუკის ერთისა და იმავე დროს აყვავებას ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში.

## ნარევი

### უდიდესი გემი

გემების საამშენებლო ფირმამ „ხარლანდ და ვოლფ“-მა მიიღო დაკვეთა სამგზავრო გემის აგებაზე საოკეანო რეისებისათვის.

თავისი სიდიდით ეს გემი უდიდესი იქნება მთელს მსოფლიოში. მისი სიგრძე იქნება 1,000 ფუტი (თითქმის ერთი მესამედი კილომეტრის), წყალწყვა კი—60.000 ტონა.

გემის მანქანები იმუშავებს ნავთით. შე[illegible]ებულია მასზე დასდგან ელექტრონის ტურბინა.

### „აგარაკი“ ზოოლოგიური ბაღის ცხოველებისათვის

ლონდონის ზოოლოგიური ბაღის დირექცია თავისებურ „აგარაკს“ აწყობს ბაღის ცხოველების დასასვენებლად. „აგარაკი“ მოთავსებულია 40 კილომეტრის მანძილზე ლონდონიდან და უჭირავს 480 აკრი. ცხოველებს „აგარაკზე“ გზავნიან ორჯერ წელიწადში. „ძალების აღსადგენად და დასასვენებლად ზოოლოგიური ბაღის არანორმალური პირობების შემდეგ“.

## იშვიათი სიმახინჯე

ახალციხის მაზრის სოფ. ტაძრისში ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: მაკე ღორმა შვა იშვიათი სიმახინჯის გოჭი: ორი გოჭი შეზრდილია მკერდებით, თავი კი საერთო აქვთ, ხოლო თავს ოთხი ყური აქვს, რომელთაგან ორი ერთმანეთთან შეზრდილია. მუცელს ქვევით, გავა და მთელი უკანა ნაწილი განცალკევებულია.



მოგვყავს გოჭის ტანის ცალკე ნაწილების აღწერა, რომელიც გოჭის განკვეთის დროს იქნა შედგენილი:

**თავი**—ქალა და სახე დინგით ჩვეულებრივი გოჭისა აქვს.

**ყურები**—ორი თავის ადგილზე აქვს (მარჯვნივ და მარცხნივ), ხოლო ორი დანარჩენი კისერზე აქვს იქ, სადაც ქეჩო იწყება; ეს ყურები ძირებით შეზრდილია. სასმენი ხვრელი არა აქვს.

**კისერი**—საერთოა, ხოლო შეხებით განირჩევა ორი ხერხემალი, რომელიც თავის ქალისაკენ ერთდება.

**მკერდი**—ერთი ქვედა უბის ქვეშ, ხოლო მეორე—კისრისაკენ, ყურების ქვეშ აქვს.

**ხერხემალი**—ერთისა მიიმართება მარჯვენა ყურისაკენ, მეორე—მარცხენა და უკანა ყურს შუა.

**წინა ფეხები**—ორი უკანა ყურების ქვეშ აქვს კისერზე; ორიც ქვედა უბის ქვეშ.

**ტანის უკანა ნაწილი**—მუცელი, გავა, უკანა ფეხები და კუდები ცალ-ცალკე აქვთ.

**გულის ღრუ** საერთოა, ხოლო შიგ მოქცეულია ორი გული, ერთი ნორმალური სიდიდის, მეორე ცოტა მომცრო. კუჭი (დარჩენილია მხოლოდ ნაწილი) მდებარეობს შუაზე, ეტყობა ერთი ყოფილა.

ნაწლავები და მუცლის ღრუს დანარჩენი ორგანოები აღარ აღმოჩნდა, რადგან ექიმის მისვლამდე გოჭი გამოეშიგნათ.

**ექ. ჯ—ლი.**

## რადიო-გადაცემა

### ხუთშაბათი, 12 ივლისი.

გადაცემა ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის სტუდიიდან.

### პარასკევი, 13 ივლისი

პარასკევს, 13 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება, რუსულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.

მოხსენება ტრიპერზე—რუსულ ენაზე.

სიცოცხლის წარმოშობა—მოხსენება რუსულ ენაზე.

მოაწყვეთ მასიური კრიტიკა ქვევიდან—მოხსენება თურქულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

სისუფთავე ჯანმრთელობის საწინდარია—მოხსენება თურქულ ენაზე.

რადიო-გაზეთი ოსურ ენაზე.

მოხსენება ოსურ ენაზე.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

## ჩვენი ფოსტა

**ქ. სიღნაღი. ამხ. ვ. ხ-შვილს.** წერილი მივიღეთ. სრულიად ვიზიარებთ თქვენს თვალსაზრისს და შევეცდებით გამოვასწოროთ თქვენ მიერ აღნიშნული ნაკლი. სასურველი იქნებოდა თქვენი წერილიც.

## შრომის ბირჟაში

### მოთხოვნილება: [illegible]

დღეს, 12 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ პროფესიის უმუშევართ: **კვალიფიცურ მუშაკთა პირველ სექციიდან:** ვასილი ელისეევს, სტეფანე ტოლსტიკოვი, და ლევან რაზალსკი; **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** სიმონ ცირილლაძე, ოგანეზ მიკირტუმოვი, თამარ ავეტისოვა, ელენე მიხაილოვა-ალექსეევას, ანატოლი ზარინსკი, ანნა გოლუბევა, ფლორინა ტუმსათაბეგოვა, ნიკ. ტესიხოვი, მარიამ ეიტნიცკაია, ალექსანდრე აბუშაძე, მიხეილ საგანელოვი, დავით შარაშიძე, თამარ ავეტისოვა, პელაგია იოსელიანი, ქეთევან თალაკვაძე, ნინო ტოგონიძე, ს. არუთინოვი, მიხეილ მელიქოვი, მირიანაშვილი, ელენე რჩეულიშვილი, მიხეილ გაბუნია, ფარიკ ნერსესოვი, ვლადიმერ ბეჟანი, ტერ-აკოპოვა, ალექსი ტომსოვი, ალექსი ლეონტიევი, სერგო ქარციეაძე, სოფიო ჩიქოვანი, ელისაბედ რამიშვილი, ევგენია ხვედელიძე, თ. მაისურაძე, არსენ მეგრელი, ბაბილინა კანდელაკი, ალექსი უსეინაშვილი, ივანე გეი, ა. ჯანეჯალოვა, ანნა ბელიჩანსკაია, ნატალია აბესაღომოვა; ლიუბა აგარონოვა; მარიამ ზალდასტანიშვილი, სოფიო კოგანი, ოლღა მახაბელი, როზიტა შანტინი, ოლია აბრამიანი, ზინაიდა ლუკასი კატერევა, მალიანცისა, თამარ ანდრონიკაშვილი, ნინო გედევანიშვილი და ალექსანდრა კალანტაროვა; **რკინის გზელთა მეშვიდე სექციიდან.** ეკატერინე ბონდარენკო. **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** ლევან არუთინოვი, ალექსი იანოვსკი და ასკარ ხან ოღლი.

# ოფიციალური განყოფილება

## დადგენილება № 46

### სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

### მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეთა ყოფა-ცხოვრებისა და სამსახურის გასაუმჯობესებელ საჭირო ღონისძიებათა შესახებ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დაარსების 7 წლის თავის აღსანიშნავად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, აღნიშნავენ რა მუშათა და გლეხთა მილიციის მუშაობას რევოლუციონური წესრიგისა და უშიშროების დაცვის საქმეში და მის მომუშავეთა ყოფა-ცხოვრებისა და სამსახურის გასაუმჯობესებლად—ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს მილიციის სამწყობრო შედგენილობისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აქტიური შედგენილობის მომუშავეთა სამუშაო ხელფასი 1928-29 ს. ბიუჯეტო წლიდან გაადიდონ იმდენად, რომ მილიციონერის ძირითადი თვიური განაკვეთი ქ. თბილისსა, სოხუმსა, ბათომსა და ცხინვალში არ იყოს 40 მანეთზე ნაკლები, სამაზრო ქალაქებში—37 მან. 50 კაპ. ნაკლები და სხვა ადგილას—34 მან. ნაკლები.

გადიდებულ იქნეს თანაბრად უფროსი მილიციონერებისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის უფროსი აგენტების სამუშაო ხელფასი. სამუშაო ხელფასის რაოდენობა სამაზრო მილიციის უფროსისათვის დაწესებულ იქნეს არა ნაკლებ 125 მანეთისა თვეში, თანაშემწესათვის—არა ნაკლებ 90 მან. თვეში, ხოლო სარაიონო მილიციის უფროსისათვის და სარეზერვო მილიციის უფროსისათვის—არა ნაკლებ 50 მან. თვეში.

2. წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს—მიიღონ ღონისძიება, რათა მათ ბიუჯეტში შეტანილ იქნეს სათანადო ხარჯი მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავეთა სამოსით, საპურველით და იარაღით მომარაგებისათვის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ტაბულების მიხედვით.

3. სასამსახურო და ოპერატიული წარვლინებით გამოწვეული ხარჯი მილიციის უფროსსა და სამწყობრო შედგენილობის თანამშრომელს აენაზღაუროს საერთო საფუძველზე; სარაიონო მილიციის თანამშრომელს აენაზღაურება რაიონის ფარგლებს გარედ წარვლინებით გამოწვეული ხარჯი, ხოლო სამაზრო მილიციის უფროსს და მის თანაშემწეს—მაზრის ფარგლებს გარედ წარვლინებასთან დაკავშირებული ხარჯი.

4. ზედმეტი მუშაობა შეიძლება ოპერატიული დავალებისა (ბრძოლა ბანდიტიზმთან, ხანძართან და სხვ.) და სამსახურებრივი სინჯვის დროს. აღნიშნული ზედმეტი მუშაობისათვის სასყიდლის გაცემა მოხდება საერთო წესით. დასვენების დღეს და უქმე-დღეს მუშაობისათვის სასყიდლის ფულად გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ შეუძლებელი იქნება, რომ აღნიშნული დღეების ნაცვლად მომუშავეს სხვა დასვენების დღეები მიეცეს.

5. მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავეთა აქტიური სამწყობრო შედგენილობის საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს შეიმუშაონ საკითხი იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც საჭიროა მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავეთა ბინებით უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნულ მომუშავეთა ბინების მშენებლობისათვის ყოველწლიურად, 1928-29 წლიდან დაწყებული, მუშათა საბინაო მშენებლობის ადგილობრივი ფონდიდან, რაც მუშათა საბინაო მშენებლობისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულების (ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1927 წ. 36 №-ი, მუხ. 369) მე-14 მუხლის თანახმად შეიქმნება, გამოყოფილ იქნეს განსაზღვრული პროცენტი, რომლის რაოდენობასაც განსაზღვრავენ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები, შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ამასთან ერთად აღნიშნულ მომუშავეებზე და მათი ოჯახის წევრებზე საბინაო შეღავათებისა და უპირატესობის სფეროში გავრცელებულ იქნეს „ს. ს. რ. კავშირის მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათების კანონთა კოდექსის“ (ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1924 წ. № 21, მუხ. 198) მე-11 კარის მე-4 თავში და მე-111 კარის მე-4 თავში გათვალისწინებული შეღავათები.

6. წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს უახლოესი წლის განმავლობაში განახორციელონ მილიციის სამწყობრო შედგენილობისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აქტიური შედგენილობის მომუშავეთა სახელმწ. დაზღვევა სიკვდილისა ან ინვალიდობის შემთხვევისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ მოვალეობის შესრულების გამო.

7. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს კანონდებულებათა პროექტი მილიციის მომუშავეების სხვა შეღავათების შესახებ.

8. მიენდოს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ამა დადგენილების საფუძველზე გამოსცენ სათანადო დადგენილებანი ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დაევალება გამოსცეს, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, სათანადო დადგენილება და შემდგომ წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის**
**თავმჯდომარე ფ. მახარაძე.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე**
**ლ. ქართველიშვილი.**

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი**
**ი. ვარძიელი.**

1928 წლის მაისის 30.
თბილისი—სასახლე.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**დღეს, 12 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება საკვალიფიკაციო კომისიის სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: სერგო მეგრელიშვილი, (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისია), მინასი (საქ. პროფსაბჭო), კოზაკოვი, საჯაია (თბილისის აღმასკომის ადმინ. განყ.), ჯავახიშვილი (მილიცია), ლიცინოვი (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.). კუდრიავცევი (მეოთხე რაიკომი).

**საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას საკონფლიქტო კომისია** წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ ცეკას საკონფლიქტო კომისიაში დღეს, 12 ივლისს დილის 10 საათზე, შალვა ხარიძე, მიხეილ ურჩანიშვილი, ივანე შარაშიძე, მიხ. ჯანიაშვილი, პოლოსოვი, თომა დაშნიანი; არუთინოვი; არჩვაძე; მახარობლიძე, მ. საკაშვილი და თედორე ბროლი.

შვილები: აკაკი, კოდრატი, სიმონი, ნიკო, ფუცაცი და ანტოსია; რძლები: ნუშიკო, მეტია და თამარი შვილიშვილებით მწუხარებით აუწყებენ, მეგობართ და ნათესავებს — პირველნი დედის, მეორენი დედამთილის, მესამენი საყვარელ ბებიას

**თათი ებრალიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება ქ. ლანჩხუთში 12 ივლისს. 2987

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბუზუ, შვილი შალვა, რძალი ქსენია, დები: შოშა და ზინობია და შვილიშვილი ბაჟიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 ივლისს, სოფ. ობუჯში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

**ევგენი შენგელაია**

დაკრძალვა მოხდება სოფ. ობუჯში, შაბათს, 14 ივლისს. (ე)

დღეს და ყოველდღე საზაფხულო კინო - თეატრებში
პალასი — დარბაზი — ეთერი
ბარი პილ ტრიუკებიან კინო-რომანში **უნერვო კაცი**
უცხოეთის მხატვრული სურათი პიერ ბენუას რომანის მიხედვით **ღამის გუშაგი** როკელ მელერის მონაწილეობით
სამხატვრო თეატრის დამსახურებული არტისტი ლეონიდოვი სურათში **მისი აღმატებულება**
სალარო ღიაა 6 ს. 45 წუთიდან 1 სეანსის დასაწყისი 7 ს. 45 წუთზე. სიმებიანი ორკესტრები

ორჯონიკიძის სახელობის კლუბი
დღეს, 12 ივლისს,
**დიდი სიმფონიური კონცერტი**
სახალხო არტისტის ი. პ. ფალიაშვილის ხელძღვან. და ნ. ქუმსიაშვილის მონაწილ.
პროგრამაში: ზაქ. ფალიაშვილი, აბესალომ და ეთერი და საზეიმო კანტატა; კილაძე, თაქთაქიშვილი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ბაღში კინო. ბილეთები სიმფ. კონცერტზე გამოდგება კინოსთვისაც.
შემოღებულია სტუდენტ. და მოწაფეთა ბილეთები
ხვალ, 13 ივლისს, კონცერტი მედსანშრომის კლუბში.
15 ივლისს დირიჟორ ხეიფეცის პირველი გასტროლი. ნ. 1376

| კინო-თეატრების პროგრამა | | | |
|---|---|---|---|
| ბანთიადი | მხატვრული ფილმი თეატრში გაძლიერებულია ვენტელიაცია | მიკოლა ჯერია |
| საზაფხულო ეთერი | სამხატვრო თეატრის დამსახ. არტისტი ლეონიდოვი | მისი აღმატებულება |
| საზაფხულო დარბაზი | უცხოეთის მხატვრული ფილმი | ღამის გუშაგი | პ. ბენუას რომანის მიხედვით |
| საზაფხულო პალასი | ბარი პილი სურათში | უნერვო კაცი |
| მინიონი | უკანასკნელი 3 და 4 სერია | ზღვის გმირი |
| პროლეტარი ავლაბარი | მხატვრული დრამა | უხამი |

ანონს: ძალიე ორი ხალი სურათი „გადატეხილი ზაქგახი და „ნინიშ“ 0—36

**მათემატიკის მასწავლებელი** ამზადებს ქართულ და რუსულ ენაზე უმაღლეს სასწავლებ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის, აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 4—1 2974

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებელი ა. ბიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ის 16 ივლისს 1928 წ. დღის 3 საათზე სახლში № 39 არაგვისპირველის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ნიკოლოზ ჯავროვის მოძრავ ქონებას: მარმარილოს პირსაბანს სარკით და ნიკელის ონკანით და ბუფეტის შკაფს შეფასებულს 96 მანეთად, მოქ. ვართან ალმოევის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4-ე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 18 თებერვალს 1928 წ. თარიღით, № 833 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2988

მიხეილ ბედიანიშვილის სახელობის **სამკურნალო** ნაწილებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8. ქალების: დილით -8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—2

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

ექიმი **ს. ა. გალუსტიანი**
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები. ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დილის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინას ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

## ს ი ა

გაზეთ „კომუნისტის“ იმ ხელისმომწერთა, რომლებიც არ იღებენ გაზეთ „კომუნისტი“-ს სწორი მისამართების უქონლობის გამო.

1. ოქროპირიძე გიორგი
2. მაისურაშვილი გიორგი
3. კიტუნაშვილი დიმიტრი
4. მამედ-ასან ოღლი
5. კახეთელიძე არტემ
6. ოლატოვა
7. მარშანია
8. ცომაია
9. აშიაშვილი ვასო
10. გელაძე ისაკი
11. ბორაზდენ სერგო
12. სილაგაძე კოსტა
13. მაშანაშვილი სიმონ
14. ჩ. ბანავა

ზემო აღნიშნული ხელისმომწერლებს სთხოვენ აცნობონ გაზეთ „კომუნისტი“-ს ექსპედიციას თავიანთი სწორი მისამართი.

გაზ. „კომუნისტის“ ექსპედიცია.

მისამართი: კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 68.
ტელ. 5—43. 2—1

ექიმი **კ. ს. ფონ-ირტელი**
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღ 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10
13—1

ლოგოპედი **ტ. კაიშაური**
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის აბ ნ ტისა
**ასწორებს**
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 132

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

**თმის მკურნალობა**
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი
**ნ. გ. კანტოროვიჩისა**
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის ოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

**დავკარგე:** მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 16966 გაცემული ეკატერინე კვირკველიას სახელზე. ჩ. გ.

**დავკარგე:** შავი-ზღვის რკ. გ. სამმართველოს მიერ გაცემული სასურსათო ბილეთი № 0026988 და პირადობის მოწმობა შავი-ზღვის რკ. გ. 1 უბნის მიერ გაცემული ნიკანორა გრიგოლიას სახელზე. ჩ. გ. 2986

**დავკარგე:** ლომბარდის ქვითარი № 044839 ჩ. გ. 2984

**დავკარგე:** კავშირის საწევრო წიგნაკი მოცემული საქართვ. მეტყევეთა პროფკავშირის მიერ გრიგოლ ცხვედიანის სახელზე. ჩ. გ. 2989

**დავკარგე,** უვადო პასპორტი № 2258 არტემ გოზალოვის სახელზე ჩ. გ. 2991

**დავკარგე:** სამთო-მადნო პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 23С გიორგი აბენდაძის სახელზე. ჩ. გ.

ძთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.